



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675 /
1980/2

10

ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის
სერია

3. 1980

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის
სერია

СЕРИЯ
ФИЛОСОФИИ И
ПСИХОЛОГИИ

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца



3. 1980

გამომცემლობა „მეცნიერება“
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

თბილისი
ТБИЛИСИ

ს ა რ ე დ ა კ ტ ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

- ა. ბოჭორიშვილი, თ. ბუაჩიძე, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), გ. თევზაძე,
ვ. კეშელავა, ზ. მიქელაძე, რ. ნათაძე, შ. ნადირაშვილი, ა. ფრანგიშვილი,
ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი), თ. ჯიოევი (რედაქტორის მოადგილე).

პასუხისმგებელი მდივანი ც. შალამბერიძე

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

- Бочоришвили А. Т., Буачидзе Т. А., Григолава В. В. (зам. редактора), Джioев О. И.
(зам. редактора), Кешелав В. В., Микеладзе З. Н., Натадзе Р. Г., Надирашви-
ли Ш. А., Прангишвили А. С., Тевзадзе Г. Б., Чавчавадзе Н. З. (редактор).

Ответственный секретарь Ц. А. Шаламберидзе

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1980.

რ ე დ ა კ ტ ი ო ს მ ი ს ა მ ა რ თ ი : თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-95-46 телефон

გადაცემა წარმოებას 30.5.80; ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.10.80; შეკვ. № 1926;
ანაწილების ზომა 7×11¹/₂; ქაღალდის ზომა 7×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი
თაბახი 8,5; საარტიცხოვან-საგამომცემლო თაბახი 7,8; უე 13970; ტირაჟი 600;
ფასი 70 კაპ.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

ფილოსოფია

| | |
|---|----|
| ვ. ზოგოპერიშვილი, ისტორიული აუცილებლობის და ჰუმანიზმის რევიზიონისტული გაგების კრიტიკა | 5 |
| ნ. ელოშვილი, ესთეტიკური მსჯელობის შესაძლებლობა და ფუნქცია | 20 |
| ნ. უიფიანი, შემოქმედების ესთეტიკურ-ფსიქოლოგიური კვლევის პრობლემისათვის | 26 |
| ბ. ბანძელაძე, ეთიკისა და მისი ისტორიის საგანი, მეთოდი და ამოცანები | 37 |

ფსიქოლოგია

| | |
|--|----|
| რ. საპვარდიძე, არაცნობიერის ფსიქოლოგიური თეორია და ფსიქოთერაპიის მეთოდთა დასაბუთება | 43 |
| დ. ჩარაქვიანი, შრომითი განწყობების მნიშვნელობა ორგანიზაციის ფსიქოლოგიური კლიმატის გამოკვლევაში | 52 |
| ბ. მირაზიშვილი, ადამიანის ფსიქიური აქტივობის იერარქიული სტრუქტურა | 62 |
| რ. ჯვარციანიშვილი, მხატვრული თარგმნის ფსიქოლოგიური პრობლემისათვის | 71 |

სახლი თარგმანები

| | |
|---|----|
| ივ. კანტი, ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება (გაგრძელება. გერმანულიდან თარგმნა ლ. რამიშვილმა) | 81 |
|---|----|

კრიტიკა და გიგლიოგრაფია

| | |
|---|----|
| ა. ფრანგიშვილი, ფ. ბასინი, ა. შერიშვილი, გაუგებრობები არსებობენ, რათა ისინი... ავიცილოთ | 98 |
|---|----|

СОДЕРЖАНИЕ

ФИЛОСОФИЯ

| | |
|--|----|
| В. Г. ГОГОБЕРИШВИЛИ, Критика ревизионистского понимания исторической необходимости и гуманизма | 5 |
| Н. В. ЭЛОШВИЛИ, Возможности и функции эстетического суждения | 20 |
| Н. В. КИПИАНИ, К проблеме эстетико-психологического исследования творчества | 26 |
| Г. Д. БАНДЗЕЛАДЗЕ, Предмет, метод и задачи этики и истории этики | 37 |

ПСИХОЛОГИЯ

| | |
|--|----|
| Р. Т. САКВАРЕЛИДЗЕ, Психологическая теория бессознательного и обоснование методов психотерапии | 43 |
| Д. А. ЧАРКВИАНИ, Значение трудовых установок в исследовании психологического климата организации | 52 |
| Г. М. МЕРАБИШВИЛИ, Иерархическая структура психической активности человека | 62 |
| Р. Г. ДЖВАРИШЕИШВИЛИ, К психологической проблеме художественного перевода | 71 |

НОВЫЕ ПЕРЕВОДЫ

| | |
|---|----|
| Им. КАНТ, Обоснование метафизики нравов (Продолжение. Перевод с немецкого Л. Рамишвили) | 81 |
|---|----|

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

| | |
|---|----|
| А. С. ПРАНГИШВИЛИ, Ф. В. БАССИН, А. Е. ШЕРОЗИЯ, Недоразумения существуют, чтобы их... устранять | 99 |
|---|----|

ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა

ვაჟა გოგოპარიშვილი

ისტორიული აუცილებლობის და ჰუმანიზმის რევიზიონისტული
გაზეზის კრიტიკა

კომუნისტური და მუშათა მოძრაობა დღევანდელ პირობებში რომ დიდი თავისებურებებით გამოირჩევა, ეს საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია. ამ თავისებურებათა სათავედ უნდა ვაღიაროთ ის გარემოება, რომ მარქსისტულ-ლენინური კომუნისტური მოძღვრების ავტორიტეტი მსოფლიოს პროგრესული ძალების თვალში დიდად დამოკიდებული აღმოჩნდა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში მიმდინარე პროცესებისაგან. ოქტომბრის რევოლუციით დაიწყო ერა, რომელსაც პრაქტიკულად უნდა დაემტკიცებინა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ჭეშმარიტი ხასიათი და სიცოცხლისუნარიანობა. დღევანდელის ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ ოქტომბრის დაწყებულმა საქმემ ისეთი ნაყოფი გამოიღო, რომელმაც სოციალური პროგრესის ჭეშმარიტი გზები გამოაჩინა. ასეთ ვითარებაში ანტიკომუნისტურ თეორიებს ძველი ცხოვრებით აღარ ეცხოვრებათ. თვით უკიდურესი რეაქციული ბურჟუაზიის თეორიული ძალებიც კი იძულებული გახდნენ ანგარიში გაუწიონ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას, „მონახონ“ მასში თავისუფლების ჭეშმარიტი კონცეფციის „ელემენტები“.

3989/1689

და მაინც, ასეთ ვითარებაშიც, „მარქსიზმის“ შიგნით მარქსიზმისადმი მტრული ძალების ბრძოლა“, როგორც ვ. ი. ლენინი იტყვოდა, ჯერაც არ დამცხარალა. მარქსიზმ-ლენინიზმის რევიზია დღესაც ძალაშია და იგი იმასხურებს, ყოველ შემთხვევაში, ორი კუთხით შეფასებას და კრიტიკას:

1) ვ. ი. ლენინი 1911 წელს ერთ-ერთ თავის სტატილაში („მარქსიზმის ისტორიული განვითარების ზოგიერთი თავისებურების შესახებ“) წერდა: „...მარქსიზმი არ არის მკვდარი დოგმა, არ არის რომელიმე დასრულებული, მზამზარეული, უცვლელი მოძღვრება, არამედ მოქმედების ცოცხალი სახელმძღვანელოა; სწორედ ამიტომ მას არ შეეძლო არ აესახა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების გასაოცარი მკვეთრი ცვლა. ამ ცვლის გამოხატულება იყო ღრმა რღვევა, დაბნეულობა, ყოველგვარი მერყეობა, ერთი სიტყვით, — მარქსიზმის უაღრესად სერიოზული შინაგანი კრიზისი. გადამწყვეტი წინააღმდეგობის დაწევა ამ რღვევისათვის, გადამწყვეტი და შეუღოვარი ბრძოლა მარქსიზმის საფუძვლებისათვის ისევ დღის წესრიგში დადგა“ [1,326].

ყოფილების ღირსია ამ კონტექსტში ის გარემოება, რომ მარქსიზმს თვით შესწევს უნარი აღიაროს გარდუვალობაც კი „უაღრესად სერიოზული შინაგანი კრიზისებისა“, რომელთაც პერიოდულად იწვევს სოციალიზმისა და კომუნისიზმისათვის ბრძოლის პირობებში „საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების გასაოცარი მკვეთრი ცვლა“. იმიტომ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი არ არის დოგმა, მას ყოველი „მკვეთრი ცვლილების“ პირობებში არ მოეპოვება

ქ. მარქსიზმის საბჭოთავო
საბჭოთავო
საბჭოთავო

მზა, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული პასუხი. ამის გამო მარქსიზმს საყვედური კი არ ეთქმის, პირიქით, იგი კემშარიტად ღია სისტემაა კემშარიტი საფუძვლებით და როდესაც მის საფუძვლებს არ დალატობენ, იძლევა ყველა გარანტიას იმისათვის, რომ „მკვეთარ ცვლილებათა“ პირობებში კემშარიტი პასუხები მოუძებნოს დროის თუ ეპოქის მიერ დასმულ ყველა პრობლემას. აქედან ცხადია, რომ მარქსიზმი თვითგანვითარების მკაცრ მოთხოვნას თვითონვე შეიცავს. ვინაიდან რევოლუციონიზმი არაა შემთხვევითი მოვლენა და იგი ყოველთვის თავს შეგვასხნებს „მკვეთარ ცვლილებათა“ ისტორიულ მონაკვეთებში, მარქსისტებისათვის რევოლუციონიზმის კრიტიკა და დაძლევა ერთსა და იმავე დროს უნდა ნიშნავდეს ისტორიული პირობებისადმი ანგარიშის გაწევას და, შესაბამისად, მოძღვრების კორექტირებას თუ გამდიდრებას.

2) მარქსიზმი, როგორც ერთიანი მოძღვრება თავისი ფილოსოფიით, პოლიტიკური ეკონომიითა და მეცნიერული კომუნიზმით, ათეული წლების განმავლობაში ყალიბდებოდა, პირველ რიგში, საკუთრივ ბურჟუაზიული იდეოლოგიის, ხოლო შემდეგ, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, „...მუშათა კლასის მოძრაობასთან დაკავშირებული მოძღვრებების წინააღმდეგ ბრძოლაში. ვ. ი. ლენინი გარკვევით აფიქსირებს იმ ვითარებას, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებისათვის მარქსიზმი უკვე უეჭველად იმარჯვებს მუშათა მოძრაობის ყველა დანარჩენ იდეოლოგიაზე. ამ გამარჯვებას დაემთხვა სწორედ რევოლუციონიზმის გამოჩენა თავისი სრული გამოხატულებით და დაკავშირებული იყო იგი ერთ დროს ორთოდოქსალური მარქსისტის ედ. ბერნშტეინის სახელთან. მარქსიზმთან ბრძოლის სათანადო სკოლა ბერნშტეინს უკვე გავლილი ჰქონდა და ეურნალ „ცუკუნფტ“-ის ხელმძღვანელობის დროს შრამთან და ხეხებერთან ერთად მარქსისა და ენგელსის უშეღავათო საყვედურები დაიმსახურა. მართალია იგი შემდეგ რევოლუციური სოციალ-დემოკრატი გახდა და ამ პოზიციისათვის არ უღალატა ფ. ენგელსის გარდაცვალებამდე, მაგრამ „მკვეთარ ცვლილებათა“ ეპოქაში მთლიანად შეიცვალა პოზიცია და ხელი მიჰყო მარქსიზმის ფუნდამენტური მოძღვრების რევოლუციონიზმს. ე. წ. „მკვეთარი ცვლილებები“ ამ დროისათვის შესაბამისად მეთივ დაგროვდა. ეს გამოიხატა, პირველ რიგში, იმით, რომ კაპიტალიზმმა აშკარად იცვალა სახე და იმპერიალიზმში ძალაში შემოდის თავისი საომარი დამუხტულობით. მეორეც, ქვეყანა, რომელიც თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე ევროპული რევოლუციების ქანდაკმად გამოდიოდა, თვით იქცა რევოლუციური ქართველების არენად, რაც „მყარი აღმოსავლური დესპოტიზმის“ საფუძვლების შერყევად აღიქვა პროგრესულმა კაცობრიობამ. მესამეც, აღსრულდა კ. მარქსის წინასწარმეტყველება: ამერიკის შეერთებული შტატებში, როგორც თავისებური „მკურნალი“ ევროპული კაპიტალიზმისა, იქერნ საერთაშორისო კაპიტალიზმის ფლავმანის როლს და ამასთან, ამქვეყნებენ „უმადლესი კაპიტალიზმისათვის“ დამახასიათებელი დავადების ყველა სიმბტომს. ცხადია, ამ მკვეთარ ცვლილებებს არ შეიძლება დალი არ დამეჩნია მუშათა მოძრაობისათვის ისტორიის ამ მონაკვეთში. ეს ასეც მოხდა და სათანადო იდეოლოგიურმა რეაქციამაც არ დაიგვიანა სწორედ რევოლუციონიზმის სახით. რადგან მარქსიზმში მზა პასუხები ვერ იპოვეს შექმნილ ვითარებაში გასარკვევად, ეს მის ძირეულ ნაკლად მიიჩნიეს და იწყეს მოძღვრების გადახალისება „უახლეს მიღწევათა“ გამოყენებით. გადახალისება შეეხო მარქსიზმის ყველა ნაწილს, მაგრამ განსაკუთრებული თავდასხმის ობიექტად იქცა ისტორიული მატერიალიზმი და დიალექტიკური მეთოდი. იმ დროის ბურჟუაზიულ



ფილოსოფიაში უახლეს მიღწევად ნეოკანტიანური მოძღვრება ითვლებოდა და პირველმა რევოლუციონისტებმაც „მარქსიზმის ხსნა“ მასში დაინახეს. თუ როგორ დაძლიეს ეს რევოლუციონიზმი, ისტორიაში ცნობილია. ჯერ ნაწილობრივ გ. პლენხანოვმა, ხოლო შემდეგ მთელი სრულყოფით ვ. ი. ლენინმა და ბოლშევიკებმა ბოლომდე ამხილეს ბერნშტეინიანელობა და მახიზმი. ვ. ი. ლენინმა დაიკვა მარქსიზმის ჭეშმარიტი საფუძვლები და ამ საფუძვლებზე დაყრდნობით განავითარა იგი ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად, აჩვენა რა ამით ნიშნში მარქსიზმის რევოლუციონისტული კრიტიკის კრიტიკისა.

არის ერთი მნიშვნელოვანი ფილოსოფიური პრობლემა, რომლის მარქსისტულ-დიალექტიკური გადაწყვეტის გაუგებრობა იწვევდა და დღესაც იწვევს რევოლუციონიზმის გააქტივებას მუშათა მოძრაობის ისტორიაში. უფრო ზუსტად, ამ პრობლემის დიალექტიკური გაგების იგნორირება ბადებდა რევოლუციონიზმს ამ საკითხში. საქმე ეხება ისტორიული აუცილებლობისა და ადამიანთა თავისუფლების თავსებადობის შესაძლებლობას. ედ. ბერნშტეინმაც ამით დაიწყო და მისი ცნობილი კლასიკურ-რევოლუციონისტული ფორმულაც — „მოძრაობა ყველაფერია, მიზანი კი არაფერია“ — დასკვნა, რომელიც აღნიშნული პრობლემის ნეოკანტიანური გადაწყვეტიდან გამომდინარეობს. საკუთრივ ეს თვალსაზრისი კი სათავეს იღებს კანტის ერთი ცნობილი ანტინომიის ცალმხრივი გაგებიდან. კერძოდ, კანტი თანაბარ დამტკიცებადად თვლიდა ორ თითქოსდა საპირისპირო დებულებას: 1) სამყაროს მოვლენები არ გამოიყვანებიან მხოლოდ ერთი აუცილებელი მიზეზობრიობის კანონებიდან, რის გამოც საჭიროა დაუშვა თავისუფალი (დამოუკიდებელი, არაიძულებითი) საწყისი მოვლენათა რიგისათვის და 2) არ არსებობს არავითარი თავისუფლება და რომ სამყაროში ყოველივე ხდება ბუნების კანონების (აუცილებელი განპირობებულობის, მიზეზობრიობის) მიხედვით. კანტი მიაჩნდა, რომ მან მართლაც თანაბარი ლოგიკური ძალით დამტკიცა ორივე საპირისპირო დებულების უფლებამოსილება, მაგრამ ასევე ლოგიკური მოთხოვნით გამოიციხა რომელიმე მათგანის ჭეშმარიტება. კანტმა ვერ გაართვა თავი თავისუფლებისა და აუცილებლობის დიალექტიკას, მაგრამ იმის უფლება მაინც დაიტოვა, რომ ლოგიკური პირობების სანქციით რომელიმე მათგანი არ დაეტოვებინა. ამ მხრივაც საინტერესო სწორედ კანტის ნეოკანტიანური გაგრძელების შესაძლებლობა. ანტი-თეზისის დასაბუთებაში კანტი პირდაპირ წერს: „თავისუფლება (დამოუკიდებლობა) ბუნების კანონებისაგან წარმოადგენს განთავისუფლებას არ იხელმძღვანელონ რაიმე წესებით... ვინაიდან ეს წესები იქნებოდნენ თავისუფლების კანონები, მაშინ როდესაც კანონებით შეპირობებული თავისუფლება აღარ იქნებოდა თავისუფლება... თავისუფლების მაძიებელს ხელიდან გაუღრბის წესების სახელმძღვანელო ძაფი, ურომლისოდაც შეუძლებელია ერთიანი ცდა“ [2,421].

ჯერ ნეოკანტიანელებმა, ხოლო შემდეგ ბერნშტეინმა საზოგადოების ისტორიას კანტის ამ ცალმხრივი მტკიცების თვალთ შეხედეს და შედეგად სწორედ მივიღეთ ე. წ. „სახელმძღვანელო ძაფის“ დაკარგვა — ბრძოლა თავისუფლებისათვის იქცა „თვითმიზნად“ და რაკი ამგვარი ბრძოლა მოკლებულია კანონზომიერ ხასიათს (კანტის ერთი მტკიცებით), მაშინ მიზანი ცდის სფეროში მიუღწევლად იქნება მიჩნეული — იქნებაო მუდამ ბრძოლა თავისუფლებისათვის და არასოდეს — მიღწეული თავისუფლება.

მთელი გაუგებრობა ბერნშტეინისეულ რევიზიონიზმში მხოლოდ იმას კი არ ეფუძნება, რომ ისტორიაში იგნორირებულია ბუნებრივი რიგის კანონზომიერება, არამედ და უფრო მეტწილად იმას, რომ თვით თავისუფლებაც არაა განსახლერული თავისი ქეშმარიტი უფლებით; ეს იქმის არა მარტო ბერნშტეინზე და ნეოკანტიანელებზე, არამედ თვით კანტზეც. კანტი თითქოს მიადგა აუცილებლობის და თავისუფლების დიალექტიკას, მაგრამ ცდებოდნენ და ცდებიან ისინიც, ვისაც მიაჩნია, რომ თეზისის და ანტითეზისის მტკიცებათა სინთეზი თითქოს იძლეოდეს უკვე დიალექტიკას. ვერც თავისუფლების კანტთან მოცემული განსახლერება და ვერც მისივე კაუხალური დეტერმინაციის დეფინიცია მართლაც ვერ შეითავსებენ ერთმანეთს, ვინაიდან ცალ-ცალკე ორთავე მცდარია. ათასჯერ მართალი იყო ჰეგელი, როცა კანტისეული თეზისისა და ანტითეზისისათვის გამორიცხა რაიმეგვარი სინთეზი. აუცილებლობა (დეტერმინაცია) თუ თავიდანვე გამორიცხავს თავისუფლებას (გაუპირობებულობას), მაშინ თავიდანვე მოჭრილია გზა სინთეზისათვის.

აქვე შევნიშნავთ, რომ კაცობრიობის ისტორიაში თავისუფლების ამგვარი გაგებაც და თავისუფლებათა გამომრიცხველი დეტერმინისტული თვალსაზრისიც ერთნაირად უმიზნოდ დატოვებს ისტორიას, თუ მოშველიებული არ იქნება ზებუნებრივი ძალის ელემენტი. ჩანს, ისტორიის დატოვება სტიქიურობის ტყვეობაში მაინც უკმარ ვითარებად განიცადეს და მარქსიზმის რევიზიის ისტორიამ ისეთი მაგალითებიც შემოგვინახა, როცა ღროთ წართმეული უფლებები აღუდგინეს ზებუნებრივ საწყისს. ეს ვითარებაც საგანგებო კრიტიკის საგნად იქცა მარქსიზმ-ლენინიზმში და კვლავ იმ გარემოებაზე მინიშნებით, რომ ჰეშმარიტად გაგებული და ათვისებული თავისუფლება ადგილს არ უნდა ტოვებდეს არც ღმერთისათვის, და არც ბედის ანაბრად ტოვებდეს „ადამის მოდემას“.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მკვეთრი ცვლილებები მოხდა მსოფლიო მასშტაბით, რომელმაც უსათუოდ თავისი კვალი დააჩნია საერთაშორისო მუშათა მოძრაობასაც; მსგავსი რამ მანამდე კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვდა. დამარცხდა თავისუფლებისა და დემოკრატიის ყველაზე საშიში მტერი—ფაშიზმი; შეიქმნა სოციალისტური ქვეყნების მძლავრი ბანაკი; საბოლოოდ შეირყა მეტროპოლიების გაბატონებული მდგომარეობა, რამაც დააჩქარა კოლონიალიზმის სისტემის დაშლა; ყოფილი კოლონიალური ქვეყნება ეზიარენ დამოუკიდებლობას; საყოველთაო მშვიდობისათვის ბრძოლა იქცა თავისუფლებისა და სოციალური განახლებისათვის ბრძოლის განუყოფელ ნაწილად. ყოველივე ამან მოითხოვა მთელი რიგი პრობლემების ახლებურად გააზრება და გადაწყვეტა თვით კომუნისტურ მოძრაობაში. კვლავ წინა პლანზე დადგა თავისუფლებისა და, საერთოდ, ჰუმანიზმის საკითხები. საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში კიდევ უფრო გამახვილდა ყურადღება ამ პრობლემებზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ ი. სტალინის პიროვნების კულტის დაგმობის შემდეგ. მოკლედ, ნიადაგი და საბაბი ახალი რევიზიონისტული გამოსვლებისათვის საკმაო აღმოჩნდა და მანაც არ დააყოვნა. კვლავ ეჭვის თვალთ შეხედეს თავისუფლების მარქსისტულ-ლენინურ გაგებას და საშველად თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის „მიღწევებს“ მიმართეს. ასეთი „მიღწევები“ კი მიაკვლიეს ბურჟუაზიული ფილოსოფიური ანთროპოლოგიისა და ეგზისტენციალიზმის წარმომადგენლებთან. მარქსის ადრინდელი „ეკონომიურ-ფილოსოფიური ხელნაწერების“ გამოქვეყნების შემდეგ კი საქ-



მე ისე შეატრიალეს, რომ ჭეშმარიტი მარქსი და მარქსიზმი დაუპირისპირეს საანამედროვე მარქსიზმს. მარქსის ჭეშმარიტ ჰუმანიზმს, თურმე, შესაფერი გაგორძელება ვერ მოუნახავს, უფრო მეტიც, ჰეგელიანიზმის ხარჯზე მომხდარა თითქოს მარქსიზმის დეჰუმანიზაცია. ჰეგელის ეგზისტენციალისტური კრიტიკა, ამიტომ, „დეჰუმანიზირებულ“ მარქსიზმის კრიტიკადაც მიიჩნის. ის, რაც თავისთავად სიცოცხლეში მარქსმა და ენგელსმა არა ერთხელ დაგვეს, როგორც მათი მოძღვრების არასწორი გაგების შედეგი, დღეს ახალი ფორმით გამოიტანეს რევიზიონისტებმა აზრის სამსჯავროზე. ცნობილია, რომ მარქსიზმს ადრევე უსაყვედურეს „სოციალური თუ ეკონომიური“ დეტერმინიზმის გამო, დანახეს ამაში თავისუფლების შეზღუდვა; საზოგადოებრივი მოვლენების ისტორიული გარღვევალობის და ადამიანთა ყოველგვარი მოქმედების ეკონომიურად განპირობებულობის მტკიცება ადგილს აღარ ტოვებსო ინდივიდის თავისუფლებისათვის. დღესაც მარქსის შემდგომ მარქსიზმს იმავე საბაბით საყვედურობენ თავისუფლების შეკეცას, მაშინ როდესაც თავიდანვე იგი (მარქსიზმი) ჩაფიქრებული ყოფილა თავისუფლების ფილოსოფიად, ნამდვილ ჰუმანიზმად. ილგოს-ლავე ფილოსოფოსი მარკოვიჩი ასე აყენებს საკითხს: მარქსის „ეკონომიურ-ფილოსოფიურ ხელნაწერებთან“ შეხვედრამ გამოიწვია ამ ბოლო ხანებში მარქსისტული ჰუმანიზმის აზრის აღორძინება; გაირკვა, რომ მარქსიზმში მხოლოდ მატერია და დეტერმინიზმი, კოლექტივი და კლასი კი არ ყოფილა მთავარი; მასში ყოფილა ადგილი ადამიანური ინდივიდისათვის, ეთიკისათვის, ადამიანური ღირებულებისათვის, თავისუფლებისათვის. საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს ამ ხელნაწერების გარეშე მთელი მარქსიზმი მართლაც იძლეოდა საბაბს მისი მხოლოდ დეტერმინისტული გაგებისათვის, რომელიც არ ტოვებდა ადგილს თავისუფლებისათვის.

უდავოა ის ფაქტი, რომ მარქსიზმი გარკვეულ ისტორიულ პირობებში აღმოცენდა როგორც პასუხი არა მხოლოდ ამ ისტორიული ვითარებისათვის დამახასიათებელ საჭირობოტო კითხვაზე. მარქსიზმი თვითვე აღიარებს, რომ მხოლოდ ამ პირობებმა და ვითარებამ გახადა შესაძლებელი ჭეშმარიტად ამოხსნილიყო მთელი საკაცობრიო ისტორიის ამოცანა — მოწოდებულია ადამიანი თავისუფლებისათვის, თუ განწირულია იგი სამუდამო მონობისათვის. მთელი მარქსიზმი თავისი ფილოსოფიით, პოლიტიკონომიური მოძღვრებით და სოციალიზმის თეორიით სრულიადც არაორტოფულად ხსნის ამ ამოცანას: ადამიანი მოწოდებულია თავისუფლებისათვის, მაგრამ თავისუფლად ადამიანს მისი ისტორია აღგენს. არ არსებობს თავისუფლება ისტორიის გარეშე; ადამიანთა ისტორია გარკვეულად თავისუფლების ისტორიაა და თავისუფლება თვითაა ისტორია; ისტორიაში დგინდება ადამიანი თავისუფლად. ყველა „შეფერხება“ თავისუფლების გზაზე ისტორიულად დაძლეულია. თავისუფლება სწორედ ადამიანისათვის ისტორიულად აუცილებელი და ეს აუცილებლობა გზას იკვლევს „ყველა ისტორიულ უკულმართობათა“ შორის. მარქსიზმმა ყურადღება გამამხვილა იმაზე, რომ საზოგადოების კლასებად გათიშვას მოჰყვა ჭეშმარიტი ადამიანური ბუნების „დაჩრდილება“, ადამიანმა „გაითხროვა“ საკუთარი ძალები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს ადამიანმა თავისი ნებით დამონა თავი „ქიმერად ქცეულ“ მისსავე ქმნილებას. ასეთ ვითარებაში მარქსიზმი თავს იზღუევს სენტიმენტალობისაგან და კი არ იწყებს ადამიანთა ისტორიის ამ დიდი მონაკვეთის კიცხვას და კრულვას. მართალია, ეთიკისი შემფასებლის თვლით დანახული ეს ისტორია ხშირად იმსახურებს გაკიცხვას — ბო-

როტება და არანორმალურია ვითარება, როდესაც მცირეოდენი თავიანთ ბედნიერებას აგებენ მრავალთა უბედურებაზე. ჭეშმარიტი ჰუმანისტი დღეს სხვაგვარად ვერც მოიქცევა, მაგრამ იმავე ჭეშმარიტ ჰუმანისტს, რომელიც ისტორიის ერთი რომელიმე მომენტით კი არ უნდა იზღუდებოდეს, არამედ ზრუნავდეს კაცობრიობის მომავალზე, მოეთხოვება გარკვეულად „იცვი“ მეცნიერის თვალთაღებულ შეხედოს ისტორიის. მარქსიზმი აქაც მთელი თავით მალა დადგა მისი დროის ყველა მოძღვრებაზე, რომელსაც კი პრეტენზია ჰქონდა ყოფილიყო ჰუმანიზმი. იმ გარემოებამ, რომ ისტორიის ამ უდიდეს მონაკვეთში (კლასობრივი საზოგადოება) ადამიანი არანორმალურად, არა თავისი ბუნების შესაბამისად გამოიყურება, არ უნდა გვაფიქრებინოს იმის დაშვება, რომ ამ „უბედურების“ გასწორება თავიდანვე შესაძლებელია. ეს იქნებოდა ისტორიული „მეტაფიზიციზმი“. ისტორია დღევანდელი გულშემმატყერის ჩარევას არ საჭიროებს; არც ერთ წინაურ ეპოქას არ შემოიღვია თავისი „გულშემმატყეარა“, მისი საკუთარი „უბედურების“ თუ „არანორმალურობის“ განმცდელი. სწორედ „ადამიანურად ყოფის“ უქმარობა“ იწვევდა დიდ რევოლუციურ ქართველებს, წარმოშობდა ახალ ფორმაციებს. იმიტომ, რომ თავისუფლება არ არის აბსტრაქტი, მასთან მისასვლელ გზამკვლევად მხოლოდ ისტორიის უნდა მივმართოთ. ისტორიაში გაუცხოებული ადამიანი კი თავისებური „საყმაწვილო სენია“ ადამიანობის დადგენის გრძელ გზაზე, აუცილებელი მშაობის საფეხურია „დიდი თავისუფლების“ საზიარებლად, თვითაა თავისუფლების ისტორიული კომპონენტი, ისტორიული იმ გაგებითაც, რომ იგი გარდამავალია, დაძლევალია.

აი, ამ კონტექსტის ყალბი ინტერპრეტაციის შედეგად ცხადდება საეჭვოდ მარქსისტული ჰუმანიზმი. რაღა თავისუფლებაა ის თავისუფლება, რომელიც ბოლოს ემართება ადამიანს! ან, რაღა ფასი აქვს თავისუფლებას, რომელიც ისტორიულად (თუ ეკონომიურად) მომზადებულ-შეპირობებულია? თუ არის ადამიანი, მაშინ თავისუფლება მასში და მასთან უნდა იყოს ყოველთვის; თუ ისტორია ადამიანთა ისტორიაა, მაშინ თავისუფლება ამ ისტორიის თავშიც უნდა იყოს და ბოლოშიც. საქმე იქამდე მიჰყავთ ხოლმე, რომ ლამის მარქსისტულ მოძღვრებაში ამოიკითხონ კომუნისმის ადამიანთა ბედნიერების აბოლოგია ისტორიის უამრავ თაობათა უბედურების ხარჯზე. იძლევა კი მარქსიზმი ამდაგვარი ინტერპრეტაციის უფლებას? ამის გარკვევაში დავეხმარება ცნებების—„ჰუმანიზმი“, „თავისუფლება“, „გაუცხოება“, და „სოციალ-ეკონომიური დეტერმინიზმი“ — შინაარსობრივი მოხმარება რევიზიონისტებთან და მარქსიზმში.

„ჰუმანიზმი“ რომ ერთი მნიშვნელობით არ იხმარება, ამას უეჭველად ისტორიული მასალით ვადგენთ. მარკოვიჩი სადემონსტრაციოდ მოიტანს ტოლსტოველობასა და განდიხმს, რომელთა „ჰუმანიზმი“ დაიყვანება მოძღვრებაზე— „არა წინაღობად ბოროტისა“; მსგავსივე „ჰუმანიზმით“ ლეონ ბლუმი მისულა კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული გაგების უარყოფამდე. რომ არაფერი ვთქვათ იმათ შესახებ, ვინც „ჰუმანიზმის“ სახელით აურაცხელი ტყვილი მიაყენა კაცობრიობას, ამ ცნების ყოვლად გაუმართლებელი ხმარებით თავი გამოიჩინეს დღეს ნეიტრონული ბომბის ამერიკელმა დამცველებმა. ისინი ჰუმანურად მიიჩნევენ შედეგს, თუკი მატერიალურ ფასეულობათა გადარჩენას მთელი ადამის მოდგმა შეეწირება. ცხადია, ასეთ ვითარებაში „ჰუმანიზმის“ მოხმარება უზუსტეს კორექციას საჭიროებს.



მოვიყვან იმავე მარკოვიჩის მიერ ჩამოყალიბებულ ამ ცნების სამ მნიშვნელობას: 1) არის ფილოსოფიური პრობლემები (ადამიანის არსება, მისი არსებობა და თავისუფლება, ცხოვრების აზრი, სოციალური სინამდვილის საერთო შეფასება, კულტურა, მომავლის პერსპექტივები და სხვ.), რომლებიც გადაჭრას და პასუხს მოითხოვენ. თეორია, რომელიც იძლევა პასუხს ამ პრობლემებზე, იწოდება ჰუმანიზმად. დღეისათვის, ამტკიცებს მარკოვიჩი, მარქსისტულ ჰუმანიზმში ჩამოთვლილი პრობლემების გასაღებს გაუცხოების ცნება წარმოადგენს; 2) ჰუმანიზმად იწოდება ისეთი ფილოსოფია, რომელიც ადამიანურადაა ორიენტირებული მთელ სინამდვილეზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ფილოსოფიური (ონტოლოგიური იქნება ის, გნოსეოლოგიური თუ დსიქოლოგიური) პრობლემა დანახული უნდა იქნეს ადამიანური კუთხით, „ათელის წერტილად“ ადამიანი უნდა იგულისხმებოდეს; 3) ამ ტერმინს თვითონ აქვს „ღირებულებათი ხასიათი“, როცა მას გამოვიყენებთ სხვათა მიმართ, მაგ., რამდენად ჰუმანურია ესა თუ ის პიროვნება, მწერალი, ან რამდენად შეიძლება იწოდებოდეს ჰუმანიზმად ესა თუ ის მოძღვრება და ა. შ.

ვერ ვიტყვით, რომ აქ ამოწურავად იყოს წარმოდგენილი ტერმინ „ჰუმანიზმის“ შესაძლო მოხმარება, შესაძლო შინაარსებით „დედგირთვა“. უფრო მეტიც, თვით წარმოდგენილი ფაქტიური შინაარსები არ შეიძლება ასე მკვეთრად გაიმიჯნონ ერთი მეორისაგან: მაგ., შეიძლება ამოშავებდე „ჰუმანურ პრობლემებს“, და ამავე დროს იყო ადამიანურად ორიენტირებულად სამყაროზე; ასევე შეიძლება პარალელურად აფასებდე ყველას, ვისაც კი ამ პრობლემებზე ხელი მიუწვდება; ან პირიქით, სამყაროზე ადამიანურად ორიენტირებული ფილოსოფოსი ვერ გავეტყვევ „ჰუმანურ პრობლემებს“ და იმათი ნაღველის შეფასებასაც, ვინც ჰუმანისტობს. მარკოვიჩი მართალია, როდესაც მარქსიზმს ახასიათებს, როგორც ჰუმანიზმს ამ სიტყვის აქ წარმოდგენილი მნიშვნელობით, მაგრამ ჰუმანიზმის ეს მნიშვნელობები ამოწურავენ კი ამ ცნებას? ხომ არ რჩება კიდევ „ღიად კარები“, საიდანაც შეიძლება კვლავ ესაყვედუროს მარქსიზმს „არაჰუმანურობა“. მარკოვიჩი თავს იზღვევს იმით, რომ აკრიტიკებს ყველას, ვისაც მარქსიზმი არაჰუმანურ და ამორალურ მოძღვრებად მიაჩნია, მაგრამ იმასაც იტყვის, რომ მარქსიზმის ამგვარად ინტერპრეტირებისათვის საბაზს თითქოს თვით თანამედროვე ბევრი მარქსისტი იძლევა სოციალიზმის გარდუვალობის და საზოგადოების კანონთა მკაცრი ხასიათის მტკიცებით. ამგვარ მტკიცებებს იგი უპირისპირებს მარქსისა და ენგელსის მოძღვრების ისეთ წყობას, რომლის მიხედვითაც საზოგადოების კანონები გარეგანად როგორც ტენდენციები, ხოლო სოციალიზმი იმდენდაა აუცილებელი, რამდენდაც ადამიანთა მოღვაწეობა წარიმართება მის განსახორციელებლად. რომ შეიძლება ზოგჯერ ადამიანთა მოღვაწეობა არ წარიმართოს ამ მიმართულებით, ამის მაგალითად მოყვანილია ისტორიული ფაქტი: სოციალისტური რევოლუციები თითქოს უნდა მომხდარიყო დასავლეთში, მაგრამ მოხდა კი პირიქით — აღმოსავლეთის ჩამორჩენილ ქვეყნებში, ე. ი. იქ, სადაც ადამიანთა მოღვაწეობა ამ მიმართულებით წარიმართა.

განა ეს გამორიცხავს სოციალიზმის გარდუვალობის მტკიცებას, ან კანონთა აუცილებელ მოქმედებას? ანდა მარქსისტულ დეტერმინიზმს პრინციპულად რამეს ჰმატებს დებულება თეზისიდან — „აღმზრდელი თვითონვე უნდა აღიწაროს“.

ჩანს, მარქსისტული დეტერმინიზმი თავიდანვე არ ყოფილა სწორად გა-

გებული, ან უკეთ — ვაგებული ყოფილა როგორც ტრადიციული დეტერმინისტული თეალსაზრისი, რომელთანაც მიმართებაში მოყვანილი დებულება მარტოაც კონტრასტს ქმნის. ნამდვილად კი, მარქსის ეს დებულება მხოლოდ ფიგურალურად მიგვაჩვენებს მოძღვრების ერთ-ერთ საყვანძო პუნქტზე, რომლითაც მარქსიზმი რევოლუციად მოგვევლინა ფილოსოფიის ისტორიაში. ის, რაც აქ ფიგურალურადაა ჩამოყალიბებული, მოძღვრების ქვაკუთხედი და მთელი მოძღვრებით საბუთდება¹. ამ საკითხს კვლავ დავეუბრუნდებით, ახლა კი ისევ ჰუმანიზმის შესახებ.

როგორ შემოვიღო ისტორიაში სიტყვა „ჰუმანიზმი“? რა მნიშვნელობით იხმარებოდა იგი თავიდანვე? თუ „იზმ“-ით ვიმსჯელებთ, იგი მოძღვრების, ან მიმართულების აღმნიშვნელია და უპირისპირდება არაჰუმანიზმს ან ანტი-ჰუმანიზმს. ისიც ფაქტია, რომ ეს სიტყვა ადამიანიდან იღებს სათავეს და აღნიშნავს ადამიანურს. ხომ არ უპირისპირდება ეს ტერმინი გარეშე ადამიანურს ან ზეადამიანურს, საერთოდ? კერძოდ, ხომ არ ნიშნავს „ჰუმანიზმი“ მოძღვრებას ადამიანთა მოდგმაზე, საპირისპიროდ მოძღვრებისა ბუნებისა თუ ბუნებრივის შესახებ?

მარკოვიჩის წარმოდგენილი „ჰუმანიზმის“ სამი მნიშვნელობის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ნამდვილად ასეა: „ჰუმანიზმი“ ადამიანური პოზიციაა გარეშე ადამიანურის საპირისპიროდ. არის ამაში გარკვეული ჭეშმარიტება, მაგრამ ჰუმანიზმის არსებას იგი მაინც ვერ ადგენს. ჰუმანიზმი როგორც პრობლემა ისტორიულად დადგა მაშინ, როდესაც „ადამიანობას“ საფრთხე თვით „ადამიანმა“ შეუქმნა, როდესაც ადამიანს დაჭირდა დაცვა და ქომაგი თვით ადამიანთა შორის. აქსიოლოგიური ტერმინოლოგიით რომ ვიმსჯელოთ, ვის შეუძლია უარყოს ის ფაქტი, რომ სიკეთეც და ბოროტებაც ადამიანურია, ადამიანისეულია? ასეთი ეთიკური მახასიათებლებით მხოლოდ ადამიანები არიან წარმოდგენილი. ისტორიულად ჰუმანიზმი აღმოცენდა, როგორც ადამიანში სიკეთისეული საწყისის ქომაგი, იმის დამსაბუთებელი და პრაქტიკული დამკვივრელი, რომ ადამიანურის ჭეშმარიტი არსება კეთილია და „კეთილარსება გრძელდება“, მარადიულად ღირებულია, ისტორიის ვალდამწვდომია. ჰუმანიზმი, ჰუმანიზმობა თავიდანვე ნიშნავდა, და უნდა ნიშნავდეს კიდევ, ჭეშმარიტ ადამიანურ ღირებულებათა დადგენას, დაცვას და განვითარებას.

აქ დაისმის სწორედ კითხვა: რად ჭირდება ქომაგი, დამცველი და შენახვა, იმას, რაც ადამიანურია? გარეშე ძალები ხომ არ ჩაერივნენ ადამიანის ყოფაში, დაურღვეეს „კეთილი ისტორია“, რამაც გამოიწვია „ჰუმანიზმად დარაზნება“. ისტორიამ შემოგვიანხა ასეთი თეალსაზრისებიც: ბუნება (ან ღმერთი) სჯის ადა-

¹ არ შეიძლება ამასთან დაკავშირებით არ გავიხსენოთ თანამედროვე ე. წ. ჰუმანიტების ბრალდება მარქსიზმის მისამართით, რომ თითქოს მარქსიზმი თავისი მატერიალიზმით აუქმებს თავისუფლებას, ჰუმანიზმს. ეს საყვედური რომ ძველი მატერიალიზმის მისამართით თქმულყო, კიდევაც გასაგები იქნებოდა, მაგრამ ვანამარქსიზმმა იდეალიზმზე ნაკლებ კრიტიკულად შეხედა ძველ მატერიალიზმს? პირიქით, იმ პუნქტში, რითაც მატერიალიზმი აფელგარებდა, ამდებლებდა ჰუმანურს, მარქსმა იდეალიზმი უფრო მაღლა დააყენა. საქმე ეხება ადამიანს, როგორც მოღვაწეს, თავისუფალ შემოქმედს, აქტიურ სუბიექტს. სწორედ ასეთი ადამიანი, მხოლოდ არა მარტო თეორეტიკოსი, არამედ როგორც უპირველესად პრაქტიკოსი, დააყენა მარქსმა თავისი ყურადღების ცენტრში. ამით მატერიალიზმმაც სრულად იცვალა სახე — არა მატერიალ და ცნობიერება, არამედ ადამიანური ყოფიერება გასაღები ყოველივესი, ხოლო ადამიანური ყოფიერების ავტორებად თვითონვე ადამიანები გამოდიან. აქ უნდა ამოვიკითხოთ მარქსიზმის ღრმა დიალექტიკა, რომელიც აფუძნებს ჭეშმარიტ ჰუმანიზმს.



მიანებს თავბეღობისათვის, განდგომისათვის, „განთავისუფლებისათვის“. გაამაყებული და ერთხელეუ „განდგარ-განთავისუფლებული“ ადამიანი იძულებულია თვითონვე უპატრონოს თავს, დაიარაღოს „ჰუმანურად“, დაიცვას თავისი ამგვარად ყოფნა, ან მოინანიოს ცოდვა.

მარქსიზმი შორსაა იმის მტკიცებისაგან, რომ, თითქოს, ადამიანი თავისი ყოფით სრულიად მოწყდა ბუნებას, ან რომ ბუნება საერთოდ ვეღარ ზემოქმედებს ისტორიაზე. მარქსიზმი აღიარებს და ამტკიცებს იმას, რომ ადამიანი ბუნებიდან განდგომით, განთავისუფლებით უფრო ჩასწვდა და დაუცავს შორდა ბუნებას, ხოლო ბუნებრივი გარემოს გავლენა უფრო „საბატანი“ გახდა მისთვის. ის კი, რაც დაემართა ადამიანს, დაემართა საკუთარივე ისტორიით, საკუთარი მოღვაწეობის შედეგად; ჰუმანიზმის აუცილებლობა თვით ადამიანთა გარემოში წარმოიშვა და ამის ჰუმარიტ ახსნას ისევე მარქსიზმ-ლენინიზმი იძლევა².

ადამიანი იწყება იქ, სადაც მთავრდება ბუნების წყალობით სარგებლობა, ანუ მშინ, როდესაც იქმნება იარაღი — თვითდარჩენის საშუალება. უკვე ამ აქტში, იარაღის შექმნაში ამქვანებს ადამიანი თავის თავს, როგორც თავისი მდგომარეობის საკუთარი შემოქმედი. სწორედ ის, რომ თვითონ არჩევს და ქმნის თავის გარემოს, ადგენს პირველად ადამიანს ადამიანად. დებულების — „შრომამ შექმნა ადამიანი“ — ღრმა აზრი იმაშია, რომ სწორედ იარაღის შექმნით და შრომით ამქვანებს პირველი ადამიანი თავის განსაკუთრებულად „მოსვლას სამყაროში“. აქ იღებს სათავეს ადამიანი-თავისუფალი და ეს იმდენად მისეულია, იმდენად მისი ბუნებისაა, რომ შემდგომში, როდესაც შეილახება შრომის ღირსება თვით ადამიანთა თვალში, ეს გარემოება ისტორიულად შეფასდება არანორმალურად. წარმოების იარაღებზე და საშუალებებზე კერძო საკუთრების ინსტიტუტის წარმოქმნამ გათიშა საზოგადოება კლასებად, მჭონებლად და უჭონებლად. საზოგადოების მცირე ნაწილი აბსოლუტურად მოსწყდა ფიზიკურ შრომას, რომლითაც დაიწყო საერთოდ ადამიანი. ფიზიკური შრომიდან გამოთავისუფლებულ კასტას თავისი ქონებრივი მდგომარეობის გამო გაბატონებული მდგომარეობა უპირავს, მის ხელშია წარმოების ყველა საღვეები, მის ხელშივეა წარმოებული დოვლათი. დროთა ვითარებაში „შრომისაგან განთავისუფლებული“ ჰუმარიტად თავისუფალი ადამიანების ეტალონებად იქცნენ საზოგადოების თვალში. თვით ამ კასტისათვის რომ შრომა ადრევე გაუცხოვდა, ისტორიული ფაქტია. მონათმფლობელურ თუ შემდგომ ფორმაციებში გაბატონებული კლასების წარმომადგენლები თეორიულად ადასტურებენ იმ ვითარებას, რომ შრომა არაა სპეციფიკურ-ადამიანური, შრომა არ შეიძლება იყოს ადამიანური ღირსების საქმე. თავისუფალი შეიძლება იყოს მხოლოდ შრომისაგან თავისუფალი ადამიანი, თეორეტიკოსი, გონით განმგებელი. ის, რაც ასე ბუნებრივად მოჩანდა ადამიანისათვის თავიდან, როგორც მისი თავისუფლების სათავე, გამოცხადდა არაადამიანურად. ამას კი არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა შრომის საერთო გაუცხოება. როდესაც საზოგა-

² ისინი, ვინც საზოგადოება წარმოადგინეს „ომად ყველასი ყველას წინააღმდეგ“, ან დაინახეს ადამიანი ადამიანისთვის მკლად“, მარქსიზმის მიხედვით, ცდებიან იმიტომ, რომ ასეთი ვითარება მათ მიერ კანონიერად და მარადიულადა ჩათვლილი, თორემ, ისტორიის გარკვეული მონაკვეთი ისეთი მტკიცებებისათვის საბაბს მართლაც იძლეოდა. მართლაც „დაემართა“ ადამიანს ისეთი რამ, რაც, თითქოს, მისი ბუნებიდან არ მომდინარეობდა.

დღების ამდაგვარად გათიშვის გამო შრომის ავტორი ვერ აღწევს „შრომით ჩანაფიქრ თავისუფლებას“, ხოლო, მეორეს მხრივ, თავისუფლების ტიპს ახორციელებს შრომისაგან თავისუფალი, თვით მშრომელის თვალშიც შრომა იქცევა დამამცირებლად, არაადამიანურ საქმედ. ჰემარტი თავისუფლების უკანასკნელი წარმომადგენელიც აუჯანყდა თავის ბუნებას, შეიძულა ის, რითაც იგი ადამიანად მოვიდა ქვეყანაზე; აქედან იწყება ყოველგვარი გაუცხოება ადამიანისა და მთავრდება მისი ღმერთში გაუცხოებით.

ამ ცნებაშიც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია როგორც ბურჟუაზიულ, ისე მარქსისტ ფილოსოფოსებთან „ეკონომიურ-ფილოსოფიური ხელნაწერების“ გამოქვეყნების შემდეგ. ზოგმა მარქსიზმში ამოიკითხა გაუცხოების ისეთი გაგება, რომლის მიხედვითაც თითქოს ადამიანი უკვე არსებობდა მთელი თავისი არსებით, ხოლო შემდეგ გაუცხოვდა (დაკარგა, გარეთ გაიტანა, „სხვას ჩააბარა“) იგი კლასობრივ საზოგადოებაში. ბოლოს ადამიანი იპოვის თავის დაკარგულ არსებას და ეს ფაზა დაკავშირებულია კომუნისმის სახელთან.

უფრო „თანმიმდევრულნი“ მარქსის გაგებაში ცდილობენ მიაწერონ მარქსს იმის მტკიცება, რომ გაუცხოება თვითაა ადამიანური არსების მოუცილებელი კომპონენტი. ორივე ამ გაგებაში არის ისეთი რამ, რომელიც მიანიშნებს გაუცხოების მარქსისტული გაგების რომელიმე დავებით მომენტზე, მაგრამ ცალ-ცალკე ორივე ცალმხრივი და მცდარია. ასეთი ცალმხრიობანი წარმოშობენ სწორედ მარქსიზმის რევიზიის ნაირსახეობებს. ერთნი კი ფიქრობენ, რომ კომუნისმის აუცილებლობა მარქსთან მოტივირებულია „ჰუმანური მოსაზრებით“, კერძოდ, უცდიაო გაუცხოებული მდგომარეობა და უნდა მოიხსნას იგი. თავისმა ოპტიმისტურმა განწყობილებამ მიიყვანა მარქსი კომუნისმის ისტორიულად აუცილებლობის მტკიცებამდე. ეს თვალსაზრისი კი მიიჩნევს, რომ ამ ორი მომენტის (კომუნისმის ისტორიული აუცილებლობა და მისი ჰუმანური გამართლებლობა) თანაარსებობა მარქსიზმში ლოგიკურად შეუთავსებადია. ჰუმანური რევოლუციური საქმიანობა თითქოს უნდა გამორიცხავდეს მკაცრ ისტორიულ აუცილებლობას. ვ. ი. ლენინსაც კი საყვედურობენ იმას, რომ მან ვერ შეამჩნია, თითქოს, მარქსის ისტორიული დეტერმინიზმი და ჩათვალა შესაძლებლად დამდგარიყო „აქტივობის პოზიციამზე“, ანუ უკეთ, შეათავსა კომუნისმის ისტორიული აუცილებლობის მტკიცება და რევოლუციური აქტივიზმის პოზიცია.

მეორეთა აზრით, თუ მარქსისათვის გაუცხოება ადამიანური არსების თანამგზავრია, გაუმართლებლად მოჩანს სოციალიზმის პირობებში „ყველა უბედურებათა მიზეზის“ თვით სოციალიზმის გარეთ ძიება. გაუცხოებული მდგომარეობა თვით სოციალიზმისათვისაც დამახასიათებელი უნდა იყოს. მეცნიერებისა და ტექნიკის დიდ მიღწევათა მიუხედავად, ადამიანთა მდგომარეობა მაინც არადამაკმაყოფილებელია; ნეგატიური პროცესები, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას მოსდევს, კვლავ გაუცხოების ცნებაში მოქცევიან. სოციალიზმის უპირატესობა იმაში უნდა დავინახოთ, რომ იგი მეტ თავისუფლებას იძლევა გაუცხოებული მდგომარეობის დაძლევისათვის, აახლოებს ადამიანს იმასთან, რაც უნდა იყოს, ხელს უწყობს ჰუმანურ მოთხოვნათა რეალიზაციას.

მოყვანილ თვალსაზრისთა ცალმხრივობაზე უკვე ითქვა. ამ ცალმხრივობებმა კი ისეთ შედეგამდე მივიყვანა, რომ, ვფიქრობთ, მარქსიზმს ამით ბევ-



რი დააკლეს, დააკლეს კი სწორედ ის, რითაც მარქსიზმი მოგვევლინა — სრულად ახლებური დიალექტიკით და მანამდე არნახული მატერიალიზმით.

როდესაც მარქსიზმი ამტკიცებს ადამიანთა გაუცხოების ფაქტს საზოგადოებაში, უსათუოდ თავისუფლების თავისებურ გაგებას ეყრდნობა. ჯერ ერთი, მარქსს მიაჩნია, რომ თავისუფალი შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანი; მეორეც, თავისუფლების განმსაზღვრელ ნიშნად მარქსს მიაჩნია ქმნა. შექმნა — შემოქმედება საკუთარი სინამდვილისა, სინამდვილისა, რომელიც მხოლოდ ადამიანური სინამდვილეა. აქვე ისიც იგულისხმება, რომ ეს სინამდვილე სრულყოფილი სახით ადამიანს იმთავითვე როდი აქვს „მოცემული“; ასეთი სინამდვილის შექმნა თვით ადამიანის ქმნადობის პროცესს ემთხვევა და ადამიანიც თავისუფლად ამ პროცესში რეგინდება. სათავე ადამიანი-თავისუფლებისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იაზრის კეთებით და შრომით იწყება. მარქსის აზრით, ვიდრე ადამიანი არ „გაშლილა ისტორიაში“ მთელი თავისი ბუნებით (ისტორია თვითაა ამ ბუნების „დადგენა-გამქლავება“), მანამდე უკვე შრომის პირველი დანაწილების ფაქტში შეიძლება აღმოვაჩინოთ გაუცხოების შესაძლებლობა. ვთქვათ, როდესაც მეჭოგეობა გაეთქვა მიწათმოქმედებას, ან ხელოსნობა გამოეყო ორთავეს, ე. ი. მოხდა შრომის ვიწრო სპეციალიზაცია, ერთს მიეცა საშუალება შეხედოს მეორეს, როგორც არამისეულს; ადამიანურად ჩათვალოს მხოლოდ ის, რასაც ის აკეთებს. ასეთმა დანაწილებამ და სპეციალიზაციამ საბოლოოდ კლასობრივ საზოგადოებაში მიგვიყვანა შრომის გონებრივ და ფიზიკურ შრომად გათიშვამდე, სადაც მთელი სისრულით გამოვლინდა გაუცხოების ფაქტი. გაუცხოებითი მდგომარეობა, მარქსის მიხედვით, არაა დამახასიათებელი ამ საზოგადოების მხოლოდ ნაწილისათვის; გაუცხოებამ ერთნაირად მოიცვა მთელი საზოგადოება. გაუცხოება როგორღაც ნიშნავს თავისუფლების დაკარგვას, სენს, რომლითაც დაავადებულია ყოველი კლასობრივი საზოგადოება. ჩვენ უკვე ვთქვით იმის შესახებ, რომ მარქსიზმისათვის ეს სენი გავებულია თავისებურ „საყმაწვილო სენად“, რომელიც აუცილებლობით ემართება საზოგადოებას და, ამდენად, ისტორიის „სრულუფლებიანი წევრია“. რაკი ადამიანი მარქსისათვის ეს თვით ადამიანის ისტორიაა, ამდენად გაუცხოებაც შემოდის ადამიანში მისი არსების დამდგენ კომპონენტად. აქ გვმართებს სწორი პოზიციის დაპერა საკითხის დიალექტიკურად გაგებისათვის ისე, როგორც ეს მარქსს ესმოდა.

გაუცხოება, მართალია, ჯერ ერთი, თავისუფლების დაკარგვა გარკვეული აზრით, მაგრამ თუ ეს გავიგეთ უკვე სრულყოფილი თავისუფლების დაკარგვად, მაშინ თავისუფლების აღსადგენად შემდგომ ბრძოლას აზრი ეკარგება და საერთოდ ისტორიაც კარგავს ამით აზრს (თუ ერთხელ გაუშვი ხელიდან თავისუფლება, რა გარანტიაა რომ მას კვლავ არ დაკარგავ შექმნის შემდეგ და ა. შ.). ამიტომ, მარქსთან გაუცხოება არ გულისხმობს სრულყოფილი ადამიანური ბუნების დაკარგვას; რა ჰქონდა ადამიანს დასაკარგავი, როდესაც იგი მხოლოდ ფეხს იდგამდა სამყაროში, როგორც თავისუფალი არსება! მაგრამ შეიძლება თქვან: ხომ იყო მაინც როგორღაც თავისუფალი ადამიანი (ვთქვათ, საწყის მდგომარეობაში, თავისუფლების ისტორიულ სათავეში); მაშინ, გაუცხოება ნიშნავს კი მის დაკარგვას? აქაც იგივე მდგომარეობას ვღებულობთ: ჯერ ვერც კი მოუსწრია ადამიანს მოსვლა თავისუფლად და მაშინვე დაკარგა იგი. რა გარანტიაა იმისა, რომ კვლავაც თავისუფლებისათვის აღ-

მდგარი ადამიანი ისევ არ დაკარგავს მას და ა. შ. ამგვარი ვითარებაც ატუქნებს ისტორიულ უპერსპექტივობას. მარქსისტული პასუხი ამ, ერთი შეხედვით პარადოქსულ, ვითარებაზე სრულიად გარკვეულია. მართალია, გაუცხოება თავისუფლებას თავისებური დაკარგვაა, მაგრამ გაუცხოებული ადამიანიც ადამიანად რჩება იმის წყალობით, რომ იგი მინც განაგრძობს „თავისუფალის სახით“ არსებობას (მაგ., შრომამ იძულებითი ხასიათი მიიღო, მონას იძულებით ამუშაებენ, მაგრამ ვინაიდან იგი „უნებურად“ მ ა ი ნ ც შ რ ო მ ო ბ ს, თავის თავად ღირებული შრომა, როგორც სათავე თავისუფლებისა, ადამიანის სახით ტოვებს მონას). ადამიანს ამ გაუცხოებულ მდგომარეობაშიც არ შეუძლია არ შექმნას, არ აწარმოოს. ადამიანი მინც ანეითარებს იარაღებს, რომელთა თავდაპირველი დანიშნულება ყველგან და ყოველ დროში იყო შრომის პირობების გაუმჯობესება და მეტი მატერიალური დოვლათის წარმოება, „მეტი თავისუფლების“ მოტანა. სხვა საკითხია, თუ უწყვეტად განვითარებადი წარმოების იარაღები დროდადრო „გამოაჩენენ თავის ბრწყალებს“, როგორც შრომის აირობების არა შემამსუბუქებელნი, არამედ დამამძიმებლები, თავისუფლების არა მომტანნი, არამედ წამართმევენი. ეს გარემოებაც სწორადაა შეფასებული-გაგებული მარქსიზმში და ამ მდგომარეობიდან გამოსავალიც ნაჩვენებია. რას უნდა ნიშნავდეს ვითარება: არ შეიძლება არ ქმნიდ, მაგრამ, მეორეს მხრივ, შემოწმებელი ვიპირისპირდება როგორც მტრული ძალა, თავისუფლების შემსუბუქებელი; სწორადაა კი დანახული შემოქმედების პროდუქტი ე. წ. „მტრული ძალა“, ან შეიძლება კი შეიძლება ადამიანური შრომის პროდუქტი ასეთ ძალას? აქ ამბობს მარქსი თავის გადამწყვეტ სიტყვას და ამ ფაქტის ახსნაშივე უნდა დავინახოთ მარქსისტული ჰუმანიზმისა და დეტერმინიზმის თავსებადობის შესაძლებლობა, რომელიც ასე გაუგებრად მიაჩნათ რევოიონისტებს.

გავიხსენოთ ორთქლის მანქანის გამოგონების ისტორია. იცოდა თუ არა გამოგონებელმა რა შედეგებს გამოიღებდა მისი მანქანის „დანერგვა“ წარმოებაში? ან რა მიზანი ამოძრავებდა მას, როდესაც ასეთ საქმეს მოკიდა ხელი. მარქსი აღასტურებს იმ ვითარებას, რომ გამოგონება, ამ შემთხვევაში (და საერთოდ), უშუალო მიზნად ისახავდა შრომის პირობების შემსუბუქებას, ეკონომიურ ეფექტს და, საბოლოო ჯამში, ადამიანებისათვის კეთილ სამსახურს. სოციალური ძვრები და ცვლილებები, რაც ამ გამოგონებას მოჰყვა, არ შეიძლებოდა თავიდანვე გათვალისწინებული ყოფილიყო. კეთილმა ჩანაფიქრმა საპირისპირო შედეგი გამოიღო. ადამიანის გონების, ფანტაზიისა და შემოქმედების პროდუქტმა უფრო გააუარესა თითქოს მუშათა შრომის პირობები. ეს ისე „თვალსაჩინოდ“ აღიქვეს მუშებმა, რომ, როგორც ცნობილია, მთელი თავისი გულისწყურება ორთქლის მანქანებს დაატეხეს თავს, მათ დააბრალებს თავისი უმწურო მდგომარეობა. ეს მუშათა მოძრაობის ისტორიაში აღიარებული ფაქტია და მარქსიზმში შეფასებულია, როგორც მცდარი მოქმედება. ასეთი თავგადასავლები ვერ აიციდინა ვერც ერთი ქვეყნის პროლეტარიატმა, სადაც კი მოხდა ტექნიკური რევოლუცია. ამ გამოცდილებით რუსეთში ერთი ყაიდის სოციალისტებმა საერთოდ სცადეს წინ აღსდგომოდნენ კაპიტალიზმის განვითარებას, მაგრამ ცნობილია ისიც, რომ ვერც მუშების თავდასხმამ ფაბრიკა-ქარხნებზე ვერ შეაჩერა ტექნიკური პროგრესი, და ვერც რუსეთში მოხერხდა კაპიტალიზმის განვითარების შეფერხება. საქმე იმაშია, რომ ადამიანური გაუცხოება სოციალური უთანასწორობის შედეგად აღმოცენდა და როდესაც ეს მიზეზი „ზედაპირზე არ ჩანს“ თავდასხმის ობიექტად იქცევა „უპუღ-




მართი ცნობიერების³ პროდუქტი³. ამგვარი ცნობიერების პროდუქტი არ ემთხვევა იმ ჭეშმარიტ შემონაქმედს, რომელსაც ადამიანი ქმნის თავისი ბუნების მიხედვით. აქ მოტანილი მარტივი მაგალითის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თითქოს ეს პროდუქტი ერთი და იგივეა; ტექნიკური სიახლე როგორც თავისუფალი შემოქმედების შედეგი და იგივე სიახლე, როგორც თავისუფლების დამორგუნველი, ერთ სახელს ატარებს, ერთ საგანდაა წარმოდგენილი; მაგრამ ეს ასეა მხოლოდ ერთი შეხედვით. შემონაქმედი საგანი, რომელიც მტრულ ძალად ევლინება ადამიანს, მართლაც ასეთი რომ იყოს, იგი მუდმივი უარყოფის ობიექტი იქნებოდა და ისტორიაში აღვიღს ვერ დაიდგება, მაგრამ კვლავ ამ მაგალითის მიხედვით ცხადია, რომ უარყოფით იგი არ ისპობა მხოლოდ იმიტომ და იმდენად, რამდენადაც თავისთავად ღირებულების მქონეა, როგორც სწორედ თავისუფალი შემოქმედების პროდუქტი. თავისუფლება გზას იკვლევს თვით უკიდურესი გაუცხოების პირობებშიც, მაგრამ ჭეშმარიტ თავისუფლებას, მარქსის მიხედვით, ადამიანი ეზიარება მხოლოდ გამაუცხოებელი გარემოს მოხსნით, კერძო საკუთრებაზე დამყარებული სოციალური უთანასწორობის მოხსნით.

16863

ერთი გარემოება იქცევა ყურადღებას რევიზიონისტებთან. მარქსიზმი ისეა ხოლმე გაგებული, თითქოს მასში თავისუფლებისათვის ანტაგონისტურ საზოგადოებაში დატოვებულია ადგილი „თავისუფლად“ წოდებული გაბატონებული კლასისათვის, ხოლო თავისუფლებამოკლებულად აღიარებულია უქონელი, მორჩილებაში მყოფი კლასი. ასეთი გაგებიდან ერთი ნაბიჯიღაა დარჩენილი იმის მტკიცებამდე, რომ გაბატონებული კლასის „თავისუფლება“ ეტალონად დავსახოთ საერთოდ თავისუფლებისა და თავისუფლებას მოკლებულთ მოვუწოდოთ ელტვოდნენ ამ თავისუფლებას. მართლაც დღეს ბევრი ბურჟუაზიული სოციოლოგის მხარდამხარ რევიზიონისტებიც ამტკიცებენ, რომ მუშათა მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა, მუშა უახლოვდება კაპიტალისტის კეთილდღეობის დონეს და ამით, თითქოს დგება დრო მარქსისტული სოციალისტური თეორიის გადასინჯვისათვის. კაპიტალისტურ გარემოში ყოველი მუშა პოტენციალური ბურჟუაა და ამდენად... თავისუფლებისაკენ გზა გახსნილია თითქოს.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ დღევანდელი მუშის მდგომარეობა კა-

³ უდგოლო არ იქნება აქ გაიხსენოთ ადამიანის ამოხეხვა „ღმერთების წინააღმდეგ“, რომელსაც თავისი ისტორია აქვს. რელიგიაში გაუცხოებულ ადამიანს ტერორად დააწვა თავისივე „უკუღმართი ცნობიერების“ პროდუქტი, რამაც განაპირობა ჯერ რეფორმაციის აუცილებლობა, ხოლო მოგვიანებით ე. წ. „ღმერთის სიკვდილი“. ამის გამო კი მარქსიზმში შენიშნავს: თავისთავად ეს ამოხეხვა წინააღმდეგულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს იმ მიმართულებით, თუკი მიკვლეული იქნება „უკუღმართი ცნობიერების“ მიზეზი, რომლის აღმოფხვრითაც ადამიანი შეძლებს პირდაპირ გაუსწოროს თვალი თავის შემოქმედებით უნარებს და პროდუქტებს; თვით ღმერთში კი ყველაფერი როდია მხოლოდ „უკუღმართი ცნობიერების“ შედეგი. უდგოდ ჭეშმარიტების მატარებელია ბიბლიური დებულებები („ღმერთის შექმნა ადამიანი მსგავსად თვისა“) საპირისპირო მოსახრება — „თვით ადამიანმა შექმნა ღმერთი მსგავსად თვისა“. საუკუნეები დასჭირდა, მაგალითად, ქრისტიანობას იმისათვის, რომ ათი შესწორებული მცნება ადამიანებთან მიეტანა, როგორც მათი სასიცოცხლო წამალი. არადა, ექვს არ იწვევს ის ვითარება, რომ ამ „ათი მცნების“ შემოქმედი სწორედ ადამიანური ცნობიერებაა. სწორედ ის, რაც აღაძრა ამ იანუარში მასში, თავისთავად ღირებულოა და ამის გამო გაუძლო ისტორიის გამოცდას, მიუხედავად იმისა, რომ გაუცხოებული ცნობიერების ადამიანი ჯიუტად გაურბოდა და ხშირად დღესაც გაურბის მის აღიარებას, როგორც ჭეშმარიტი ადამიანური თავისუფლების ყველა ნიშნის მატარებლისა.



პიტაღორას ტეორემაში მკვეთრად განსხვავდება პირველადი კაპიტალიზმის მუშის მდგომარეობისაგან. მარტო იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ დღევანდელ მუშებს აზრადაც არ მოუვთა ორგანიზებულად აღუდგენ წინ ტექნიკურ პროგრესს, მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას, მიუხედავად იმისა, რომ ეს პროგრესიც მასობრივი უმუშევრობის წყაროს წარმოადგენს. ხანგრძლივი რევოლუციური გამოცდილებით მუშათა კლასი უფრო შეგნებული გახდა, მაგრამ ნიშნავს კი ეს, რომ მოიხსნა გაუცხოების ფაქტი? დღეს თვით ბურჟუაზიული კულტურის წარმომადგენლები აფიქსირებენ თანამედროვე საზოგადოებაში გაუცხოების უმაღლეს დონეს.

მარქსიზმისათვის მთავარი იყო და არის ის, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში (და საერთოდ ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში) გაუცხოება საყოველთაო მოვლენა და თვით „თავისუფალი კლასიც“ არ წარმოადგენს ადამიანური თავისუფლების ეტალონს; უფრო მეტიც, გაბატონებული კლასის თავისუფლება „შერყვნილი ადამიანური თავისუფლებაა“ და უფრო შორს დგას ქვეშარტი ადამიანური თავისუფლებისაგან. მარქსიზმმა პროლეტარიატის ისტორიულ მისია იმაში კი არ დაინახა, რომ უნდა გაეთავისუფლებინა მას საკუთარი თავი, არამედ იმაში, რომ მხოლოდ მას შეეძლება უნარ-თავისი განთავისუფლებით გაათავისუფლოს მთელი საზოგადოება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გაუცხოების ტყვეობაში იმყოფებოდა.

ამაშია მარქსისტულ-ლენინური ჰუმანიზმის ღრმა აზრი. ეს ჰუმანიზმია, რომელიც თავისუფლების აუცილებლობით აფუძნებს ადამიანთა რევოლუციური აქტივობის თეორიას და პრაქტიკას.

ლიტერატურა

1. ვ. ი. ლენინი, მარქსი, ენგელსი, მარქსიზმი, თბ., 1953.
2. К а н т И м., Соч., т. 3.

В. Г. ГОГОБЕРИШВИЛИ

КРИТИКА РЕВИЗИОНИСТСКОГО ПОНИМАНИЯ ИСТОРИЧЕСКОЙ НЕОБХОДИМОСТИ И ГУМАНИЗМА

Резюме

К концу 80-х годов прошлого столетия марксизм окончательно одержал верх над всеми учениями, которые были связаны с борьбой рабочего класса, но периодически в особенно критических исторических ситуациях внутри самого же марксизма напоминали о себе враждебные течения. Первая такая ситуация сложилась к концу XIX века, когда возник ревизионизм, который поставил под сомнение истинность почти всех фундаментальных положений марксизма. Русские большевики во главе с В. И. Лениным разгромили ревизионизм, показав пример творческого подхода ко всем проблемам современности.

Новая волна антимарксистских течений возникла после второй мировой войны. Ревизионистским «уточнениям» подверглись марксистско-ленинские понимания свободы, исторической необходимости и гу-



მანიზმა; якобы обнаружено противоречие между задуманным Марксом в гуманных целях коммунизмом и его же положением о неизбежности коммунизма. Ревизионисты считали, что «неизбежность» скрывает активную деятельность человека, его свободу, на чем и базируется подлинный гуманизм. Отсюда и требование новых ревизионистов — восстановить марксистский гуманизм.

На самом деле, для марксизма как человек, так и его «сущность» — свобода — не абстрактны. Свободой не наделен человек с самого начала, а завсегдатаем ее сам; свобода неизбежна для становления человека, но эту неизбежность осуществляет сам индивид. Подлинный гуманизм марксизма основывается именно на таком понимании свободы.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ფილოსოფიის ინსტიტუტმა



Н. В. ЭЛОШВИЛИ

ВОЗМОЖНОСТИ И ФУНКЦИИ ЭСТЕТИЧЕСКОГО СУЖДЕНИЯ

Как известно, кантовская «критика» посвящена выяснению возможностей и границ познавательной, нравственной и эстетической деятельности человека. Эти границы определяются законами сознания, формами представлений о вещах, присущими самому интеллекту, которые имеют характер всеобщности и необходимости, а потому действуют объективно, независимо от человеческого опыта (априори). Такая постановка вопроса предполагала выдвижение на первый план мысли об активности сознания, хотя и путем исследования его деятельности стороны «абстрактно, так как идеализм, конечно, не знает действительной, чувственной деятельности как таковой» [1, 1].

Определяя условия познания, нравственного долга и эстетического восприятия, человеческие способности несут общую методологическую функцию. Метод исследования всякого явления с точки зрения самих (чистых) возможностей сознания, его принципов, правил и категорий становится источником систематизации видов человеческого познания на основе таблицы суждений [10, 445]. Логическую структуру способностей, в том числе и способности суждения, составляет система категорий количества, качества, отношения и модальности. Способность суждения выступает как возможность логической оценки эстетических явлений. Наряду с этим эстетическое суждение выступает как нечто завершающее философскую систему способностей познания и практической деятельности. В этом аспекте способность суждения предстает в качестве формы единства сознания субъекта. Роль способности суждения как возможности оценки эстетических явлений и как связующего звена в философской системе Канта определяет не только проблему границ, но и специфики эстетического суждения. Вызванная стремлением Канта мыслить только в гносеологическом аспекте, проблема выведения эстетического за сферу логического является одной из основных. Несмотря на ряд специфических особенностей эстетического, выделенные особенности касаются лишь функционального отличия от логического, в то время как по своим возможностям и основаниям они оказываются совпадающими. Установлению этого утверждения и посвящена данная статья.

Среди высших познавательных способностей способность суждения занимает особое место. В отличие от разума, создающего всеобщие идеи, и рассудка, который посредством правил образует представления, объединяет эмпирические данные, способность суждения «представляет собой способность только подводить под понятия данные не ею» [7, 107]. Она является способностью определять, подходит ли известный случай под данное правило или нет, это умение правильно распоряжаться своими знаниями, используя правила логического мышления. Способность судить (рефлектирующая способность суждения) определяет возможности обращения с самими правилами, независимо от различных «алгоритмов» и «формализмов» мышления с целью делать выводы и обобщения. Весьма метко эту способность выразил



С. М. Эйзенштейн, когда писал: «Смотрите, как щедр, например, Ставиславский в нагромождении внутри **своей** области и **своих** заданий частных монтажных кусков, наводящих на возникновение обобщающего ощущения... Но смотрите, как он же жесток и педантичен в обороте и отметании того, что качественно **по природе** выбранных слов или лишено наводящих функций, или обладает наводящими функциями, направляющими в другие сферы и задачи» [11, 428]. Потому и интересует Канта не определяющая, а рефлектирующая способность суждения, что она имеет прямое отношение к вкусу.

Несмотря на ряд выделенных специфических особенностей вкуса, эстетическое и логическое, как мы постарались показать, оказываются совпадающими по модальности функциями. Способность суждения имеет определенный механизм функционирования, а ее возможности ограничиваются законом работы сознания. Этим механизмом выступает взаимодействие рассудка и воображения, а законом — принцип целесообразности.

Известно, что сознание «не только отражает объективный мир, но и творит его» [13, 194]. Вопрос творческой способности сознания предполагает раскрытие закономерностей его работы. Эти закономерности складываются исторически в ходе практического преобразования действительности человеком. Воздействуя на внешнюю природу, как показали классики марксизма-ленинизма, и изменяя ее, человек тем самым преобразует и свою родовую социальную сущность. Законы творческой деятельности сознания предполагают поэтому выяснение исторической деятельности людей.

რამდენადაც ზნეობრივი ფენომენი გარკვეული ღირებულების გამოვლენაა, ამდენად, ზნეობის შინაარსის დადგენა შეუძლებელია ღირებულების ცნების ანალიზის გარეშე. ღირებულების ცნებას და ღირებულებათა ბუნებას იკვლევს სპეციალური მეცნიერება — აქსიოლოგია, რომლის შესწავლა ერთ-ერთი მეთოდია ეთიკური კვლევა-ძიებისათვის. ამას შეიძლება ვუწოდოთ აქსიოლოგიური მეთოდი.

¹ უკანასკნელ წლებამდე ჩვენში ანთროპოლოგია იფარგლებოდა ადამიანის როგორც ბიოლოგიური ფენომენის წარმოშობის კანონზომიერებათა კვლევით, ხოლო ადამიანის როგორც სოციალური არსების კვლევას იგი უთმობდა სხვა მეცნიერებას — ისტორიას, ეთნოგრაფიას, სოციოლოგიას, ფსიქოლოგიას და სხვა. ამჟამად კი ინტენსიურად ვითარდება ფილოსოფიური ანთროპოლოგიის დარგი, რომელიც იკვლევს ადამიანის არსებას და სპეციფიკას. საქართველოში ამ დარგის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის აკადემიკოს ანგია ბოჭორიშვილს და მის სკოლას.

ბოლოს, რამდენადაც ზნეობა რთული სტრუქტურის მქონე მოვლენაა და ეთიკის მეცნიერებამ უნდა მოგვეცეს მის ამსახველ ცნებათა მწყობრი ლოგიკური სისტემა, არ შეიძლება რაიმე წარმატებაზე ვილაპარაკოთ ეთიკის მეცნიერებაში აზროვნების მეცნიერული მეთოდის დაუფლების გარეშე, **ლოგიკის** გარეშე. ლოგიკის მეცნიერების დაუფლება უბირველესი და უმთავრესი მეთოდია ყოველი მეცნიერებისათვის, საერთოდ, და ეთიკისათვის, კერძოდ. ამ მეთოდის გარეშე შეუძლებელია, საერთოდ, მეცნიერული აზროვნება და მათ შორის ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და აქსიოლოგიური კვლევა-ძიებანი.

ლოგიკა არის ის მეცნიერება, რომელიც ცვრდნობა სინამდვილის მოძრაობისა და განვითარების უზოგადეს დიალექტიკურ კანონზომიერებას. მეცნიერულ ონტოლოგიას, ობიექტური სინამდვილის შემეცნების დიალექტიკურ კანონზომიერებას — მეცნიერულ გნოსელოგიას და მათ საფუძველზე იკვლევს მოვლენათა შემეცნების, მათ არსებაში ჩაწვდომისა და მეცნიერული ასახვის კონკრეტულ ფორმებს, წესებსა და მეთოდებს. ლოგიკა ადამიანური აზროვნების თეორიაა საერთოდ და, თავისთავად ცხადია, იგი უბირველესი და უმთავრესი მეთოდი უნდა იყოს ყველა მეცნიერებისათვის, მათ შორის ეთიკისათვისაც.

ამრიგად, კვლევა-ძიების ლოგიკური მეთოდი ეთიკის მეცნიერების უმთავრესი მეთოდია. მრავალ შემთხვევაში სწორედ ეს მეთოდი ავსებს იმ ხარვეზებს, რომელიც ჭერ კიდევ არის და დიდხანს იქნება ანთროპოლოგიის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და აქსიოლოგიის დარგებში. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მეცნიერულ ლოგიკას შეუძლია ნაწილობრივ იმ ხარვეზის ამოვსებაც, რომელიც შეიძლება გააჩნდეს ამა თუ იმ ეთიკოსს ზემოთ ჩამოთვლილი დარგების მიერ დაგროვილი მასალის ათვისებაში.

ეთიკური კვლევა-ძიების ძირითად მეთოდად ლოგიკური მეთოდის აღიარება პრაქტიკულად სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ეთიკურ ცნებათა ისტორიის შესწავლას და ამ ცნებათა ლოგიკური სისტემის შექმნას. ეთიკურ ცნებათა ობტიმალური სისტემა ეთიკური კვლევა-ძიების საბოლოო მიზანია და იგი მიიღწევა ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და აქსიოლოგიური მასალის მკაცრი ლოგიკური ანალიზისა და დიალექტიკურ-მატერიალისტური განზოგადების საფუძველზე.

ამრიგად, ეთიკური აზროვნების ისტორიის შესწავლა პრაქტიკულად პირველი და უმნიშვნელოვანესი საშუალებაა ეთიკური კვლევა-ძიებისათვის. ამას შეიძლება ვუწოდოთ ისტორიული მეთოდი.

ასეთია ეთიკური კვლევა-ძიების წყაროები და შესაბამისი მეთოდები.

რაც შეეხება ეთიკის მეცნიერების ამოცანებს, აქ არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს: ეთიკის ამოცანაა ზნეობის მეცნიერული შესწავლა, ამ ფენომენის სტრუქტურისა და შინაარსის დადგენა. ეს ეთიკის მეცნიერების თეორიული ამოცანაა. მაგრამ ამით არ ამოიწურება მისი დანიშნულება. წმინდა თეორიული ფუნქციის გარდა ეთიკას გააჩნია პრაქტიკულ-პოლიტიკური და პედგოგიურ-აღმზრდელითი ფუნქციებიც, როგორცაა, მაგალითად, ზნეობის დაცვისა და განვითარებისათვის ხელის შეწყობა, პოლიტიკის, სამართლის, ხელოვნებისა და საერთოდ ადამიანთა სულიერი ცხოვრების პროგრესისათვის ხელის შეწყობა. ეთიკა იკვლევს ადამიანური ცხოვრების კანონზომიერებას იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს მის შემდგომ განვითარებასა და აყვავებას,

ბოროტების დაძლევისა და სიკეთის გამარჯვებას, მთელ მსოფლოში მშვიდობის, თავისუფლების, თანასწორობისა და შემოქმედებითი თანამშრომლობის იდეების გაბატონებას. ჩვენი თვალსაზრისით, ამას კომუნიზმის გამარჯვება ჰქვია. მარქსისტული ეთიკის ამოცანა კომუნიზმისათვის ხელის შეწყობაა. ამიტომ აქვს ამ მეცნიერებას დიდი პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობა.

თუ ეთიკა არის მოძღვრება ზნეობის შესახებ, ეთიკის ისტორია იქნება მოძღვრება ეთიკური აზრის ისტორიის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ ჩაისახა ეთიკური აზროვნება, როგორ ვითარდებოდა იგი, როგორი იყო მისი განვითარების ხელის შემწყობი თუ ხელის შემშლელი პირობები, მისი შინაგანი იმანენტური კანონზომიერება. ეთიკის ისტორია ფილოსოფიის საერთო ოჯახიდან ეთიკის ცალკე გამოყოფის ისტორიაა, გამოყოფისა, რომლის შედეგად ეთიკა არ წყვეტს კავშირს ფილოსოფიასთან, ისევე როგორც ესთეტიკა, აქსიოლოგია და სოციოლოგია არ წყვეტენ კავშირს ფილოსოფიასთან, რომლის საკუთრივ შინაარსად ახლა უკვე რჩება ონტოლოგია, გნოსეოლოგია და ლოგიკა.

ეთიკის ისტორია, ეთიკურ ცნებათა ჩამოყალიბება-განვითარების ისტორიაა, ამ ცნებათა სისტემების ჩასახვისა და განვითარების ისტორია. ეთიკის ისტორიამ არა მარტო ის უნდა ვეჩვენოს, თუ როგორი იყო ეთიკურ მოძღვრებათა ისტორიული მონაცვლეობა და მემკვიდრეობითი კავშირი, არამედ ამ მონაცვლეობის, ბრძოლისა და მემკვიდრეობითობის განმსაზღვრელი ობიექტურ-სოციალური პირობები და შინაგანი იმანენტური კანონზომიერებანი². ეთიკის ისტორია მაშინ იქცევა სრულყოფილიან მეცნიერებად, როცა ეთიკურ ცნებათა განვითარების ასეთ ფაქტორებსა და კანონზომიერებას დაადგენს. ეთიკური ცოდნის განვითარების ტენდენციებისა და კანონზომიერების დადგე-

² გამოჩენილი ჩეხი ეთიკოსი ირენა პოპელოვა წიგნში „ეთიკა“ (1965 წ.). წერს, რომ „ეთიკის ისტორია შედგება ზნეობის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის ისტორიისაგან და ზნეობის თეორიის ისტორიისაგან. სასარგებლო იქნებოდა განგვეხილა ორივე ისტორია ერთდროულად, ისინი წარმოშობილი არიან საერთო მიზეზებით, ვითარდებიან პარალელურად და ძალიან მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან“ (გვ. 11).

ასეთ მოსაზრებას, ცხადია, უშენიშვნოდ ვერ გავიზიარებთ. ეთიკის ისტორიის საქმე არ არის ზნეობის ისტორია. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ანთროპოლოგიის, ეთნოგრაფიის, ან თვით ეთიკის საქმე. ორივე ისტორიას ერთდროულად ვერ განვიხილავ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არსებობდა, ეთიკის ისტორიას იწყება იმის შემდეგ, რაც არსებობს ზნეობის ისტორია. ზნეობის ძირითადი შინაარსის—ნორმების, პრინციპებისა და სათნოებების უმეტესი ნაწილი ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური საზოგადოების პირობებში, საზოგადოებისა, რომელსაც მრავალი ათეული ათასი წლის ისტორია აქვს, ხოლო ეთიკური ცოდნის ისტორია იწყება მონათმფლობელური საზოგადოების წიაღიდან. მართალია ზნეობა მნიშვნელოვან განვითარებას განიცდის იმის შემდეგაც, რაც აღმართი იწყებს ეთიკურ აზროვნებას და საფუძველი ეყრება ეთიკის ისტორიას. ისიც მართალია, რომ ზნეობის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თვით ეთიკური აზრის განვითარება. მაგრამ მაინც არ შეიძლება ამ ორი მოვლენის ქრონოლოგიური გაერთიანება.

არც ის აზრი უნდა იყოს ზუსტი, რომ „ზნეობის ისტორია და ეთიკის ისტორია საერთო მიზეზებით არიან წარმოშობილი“. ზნეობის წარმოშობა დაკავშირებულია გოგური ცხოვრებიდან აღმართი ცხოვრების წესზე გადასვლასთან, პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესთა შეთანხმებით აუცილებლობასთან, ხოლო ეთიკის წარმოშობა დაკავშირებულია საწარმოო ძალების განვითარების, შრომის დანაწილების, ფიზიკური და გონებრივი შრომის დაპირისპირებისა და აღმართისა საერთო ინტელექტუალური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების პირობებთან. ამრიგად, ერთი და იგივე „საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების“ ცნებაში შეიძლება იგულისხმებოდეს სრულყოფილ სხედისხედავარი შინაარსი, რომელთაგან ერთი ზნეობისა და მისი ისტორიის მიზეზია, მეორე კი ეთიკისა და მისი ისტორიისა.

ნა შესაძლებლობას მოგვეცემს განვეკრიტოთ ამ დარგის მომავალი განვითარების პერსპექტივებიც. ეთიკის მეცნიერული ისტორია ერთ-ერთი წყაროა ეთიკური პროგნოსტიკისათვის, რასაც, თავის მხრივ, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა სულიერი აღზრდისა თუ მკურნალობის პედაგოგიურ-პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტისათვის.

როგორი შეიძლება იყოს ეთიკის ისტორიის შესწავლისა და კვლევა-ძიების მეთოდი? აქაც არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს: ეს მეთოდი ისტორიულ-ეთიკური ინფორმაციის მიღება და გადამუშავება, ისტორიულად ცნობილი ეთიკური მოძღვრებების ანალიზი შესაბამისი პერიოდისა და ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური პირობების გათვალისწინებით.

ეთიკის ისტორიულ კვლევაში გამართლებული არაა ემპირიული მასალის წინასწარ აკვიტებული კონცეპციებით დამუშავება-გადილტვრა, როგორც ამას ჰქონდა ადგილი იდეალისტურ ეთიკურ სისტემებში. მასალის სისტემატიზაციისა და კონცეფციად ჩამოყალიბების საფუძველი უნდა მოგვეცეს თვით მასალამ და ეპოქის სოციალ-ეკონომიური და იდეოლოგიური ვითარების შესწავლამ. კვლევის ასეთი ობიექტურ-მეცნიერული მეთოდი დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, მარქსისტული აზროვნების ლოგიკა, დიალექტიკური ლოგიკა, რომელიც ისტორიული მოვლენების შესწავლაში ყურადღებას ამახვილებს ობიექტურად არსებული კლასობრივი ბრძოლის ფაქტორებზე და მათ გავლენაზე იდეოლოგიური ბრძოლის ყველა სფეროში. ისტორიული მოვლენების შესწავლაში კლასობრივ-ისტორიული მიდგომა მარქსისტული ლოგიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია.

მაშასადამე, ეთიკის ისტორია რომ შევისწავლოთ — საჭიროა შევისწავლოთ იმ ქვეყნისა და ეპოქის ისტორია, სადაც ჩაისახა ესა თუ ის ეთიკური მოძღვრება; საჭიროა შევისწავლოთ ამ ქვეყნისა და ეპოქის საერთო ფილოსოფიური სისტემები, რომ ვიცოდეთ ეთიკური კონცეპციების ადგილი ამ სისტემებში; საჭიროა ვიცოდეთ ამ ქვეყნისა და ეპოქის ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორია, რაშიაც აისახებოდა ეთიკური იდეები და შეხედულებები; ხოლო პირველ რიგში, რა თქმა უნდა, უნდა შევისწავლოთ ამ ქვეყნისა და ეპოქის ეთიკური ლიტერატურა და ყოველივე არსებითი, რაც კი დაწერილია ამ ლიტერატურის შესახებ.

ასეთია ის მოთხოვნები, რომელიც წაეყენება ეთიკის ისტორიის მკვლევარს, თუ მას სურს მეცნიერებასთან ჰქონდეს საქმე და არა თავდასართობი სენტენციების კრებულთან, რომელთა ამოკრეფა ეთიკურ-ისტორიული ლიტერატურიდან დად სიძნელეს არ წარმოადგენს.

ამით უკვე ისიც ითქვა, თუ რა ამოცანები დგას ეთიკის ისტორიისა და ეთიკის ისტორიკოსის წინაშე:

მან უნდა გვიჩვენოს ამა თუ იმ ეთიკური ცნებისა ან კონცეპციის ადგილი მოაზროვნის საერთო ფილოსოფიურ სისტემაში; ამ სისტემისა და ეთიკური კონცეპციის კავშირი საზოგადოების სოციალ-ეკონომიურ ფაქტორებთან; მისი კავშირი წინამორბედ ეთიკურ კონცეპციებთან და მიმართება იმავდროულ სხვა ეთიკურ კონცეპციებთან.

ეთიკურ ცნებათა ასეთი მემკვიდრეობითი განვითარების შესწავლა საუკეთესო საშუალებაა ეთიკურ ცნებათა ობტიმალური სისტემის შემუშავებისა-

თვის. ეს უკანასკნელი არის ეთიკის მეცნიერების მიზანი. ხოლო ეთიკის ისტორია, როგორც მეცნიერება არის მთავარი საშუალება, წყარო და მეთოდი ეთიკის მეცნიერებისათვის.

Г. Д. БАНДЗЕЛАДЗЕ

ПРЕДМЕТ, МЕТОД И ЗАДАЧИ ЭТИКИ И ИСТОРИИ ЭТИКИ

Резюме

Этика есть учение о морали. Мораль как сознание, чувство и практическая способность добродетели возникла в историческом процессе формирования и развития самого человека как разумного существа. В понятии разумности подразумевается не только способность мышления (Homo Sapiens), но и добродетели, моральность (Homo Moralis).

Для всестороннего изучения феномена морали необходимо учесть данные антропологии, этнографии, психологии, социологии, аксиологии, логики и истории этики. Все эти науки являются источниками и соответствующими методами этических исследований.

Предметом истории этики, как науки, являются закономерности зарождения и развития этических знаний, формирования этических концепции и систем. Для всестороннего изучения истории этической мысли необходимо изучение как истории философии, права, литературы, искусства, так и самой истории.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ფილოსოფიის ინსტიტუტმა

ფ ს ი ქ ო ლ ო ბ ი ა

რამაზ სასვარძლიძე

არაცნობიერის ფსიქოლოგიური თეორია და ფსიქოთერაპიის მეთოდთა დასაბუთება

არაცნობიერა ფსიქიკურის პრობლემა თანამედროვეობის აქტუალური პრობლემაა. მის აქტუალობასა და ახალ მეცნიერულ დონეზე აყვანას დიდად შეუწყობ ხელი ამ პრობლემის ფსიქოთერაპიულ პრაქტიკასთან დაკავშირებაში. ეს კავშირი კი იმან განსაზღვრა, რომ ფსიქოთერაპიული მეთოდები არაცნობიერით დეტერმინირებულ ტენდენციათა რეგულაციისათვის არიან მოწოდებულნი. ამდენად, არაცნობიერის ამა თუ იმ თეორიის მართებულობა ფსიქოთერაპიული პრაქტიკათაც შეიძლება შემოწმდეს.

ფსიქოთერაპიული მეთოდები არაცნობიერის მართვის მეთოდებია. მეორეს მხრივ, მათში თვით არაცნობიერი ვლინდება სხვადასხვანაირად (ჩვევის, ლატენტური ემოციური რეაქციის, ფსიქოსომატური ტონუსის და სხვათა სახით). ეს მეთოდები, როგორც არაცნობიერის რეგულაციისა და შესწავლის მეთოდები, თეორიულ დასაბუთებას საჭიროებენ, ვინაიდან „სწორედ თეორიამ უნდა დაადგინოს რას შეიძლება დავაკვირდეთ და რას — არა“ (ა. ენსტეინი, ციტირებულია ე. ზევეციევის მიხედვით [8]). მეთოდთა დასაბუთება მათი ეფექტურობის თეორიულ დასაბუთებასა და დადგენას გულისხმობს. ეს დამოუკიდებელი და მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამ ამოცანის წინაშე დგას მედიცინაც, რომლის აქტუალურ პრობლემათა რიგს მიაკეთებენ ფსიქოთერაპიის ზოგადი თეორიის შექმნის პრობლემას [13].

ფსიქოთერაპიულ მეთოდთა დასაბუთებას, ისევე როგორც ფსიქოთერაპიის ზოგადი თეორიის პრინციპების შექმნას არაცნობიერის ფსიქოლოგიური თეორიისაგან მოვლიან [7]. ამგვარ მოლოდინს ლოგიკურის გარდა ისტორიული საფუძველი აქვს. ცნობილია, თუ რა დიდი როლი ითამაშა ფსიქოთერაპიული პრაქტიკის თეორიულ გააზრებაში არაცნობიერი ფსიქიკურის ფსიქოანალიტიკურმა მოძღვრებამ. თუმცა, თვით ფსიქოანალიზიც მრავალ სირთულეს აწყდება ამ პრაქტიკის კონცეპტუალიზაციის დროს. ერთ-ერთ სირთულეს თერაპიულ მეთოდთა დასაბუთება წარმოადგენს. სამართლიანად აღინიშნება, რომ ფსიქოანალიზი მხოლოდ თავისი საკუთარი მეთოდის დასაბუთებითაა გატაცებული და უყურადღებოდ სტრევის იმ მეთოდებს რომლებიც მის ფარგლებს გარეთ შეიქმნა და ჩამოყალიბდა [22] რა შეიძლება ჩიითვალოს ამგვარი ცალმხრივობის მიზეზად — ფსიქოანალიზის ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიცია, თუ პრინციპული შეუძლებლობა ამ კონცეპციის საფუძველზე მეთოდთა მრავალფეროვნების ახსნისა? ამასთან დაკავშირებით განვიხილოთ რამდენიმე საკითხი.

ფსიქოთერაპია მოწოდებულია ადამიანის არადექვანტური განცდები და რეაქციები ადექვანტური და პროდუქტიული გახადოს ზემოქმედების ფსიქოლოგიურ მეთოდთა გამოყენებით [13]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი მიზან-

ნია ფსიქოლოგიური ზემოქმედების საშუალებით ფსიქიკური ანომალია ფსიქოლოგიური ნორმას დაუბრუნოს. აქედან გამომდინარე, ფსიქოთერაპიის ზოგადი თეორია და მეთოდთა დასაბუთება უნდა ეყრდნობოდეს ძირითადად სამ კონცეპციას — ფსიქიკური ნორმის, ფსიქიკური ანომალიისა და ფსიქიკური ზემოქმედების, კერძოდ, ფსიქოთერაპიული ზემოქმედების კონცეპციებს. აღსანიშნავია, რომ ეს კონცეპციები ზოგადად ურთიერთისაგან გამომდინარე კონცეპციებია, რაც მათ შორის მჭიდრო ლოგიკურ კავშირს გულისხმობს.

ფსიქოანალიზში სამივე ზემოხსენებული კონცეპცია მოცემულია. აღნიშნული ფსიქიკის ნორმად მას ჩათვლილი აქვს ისეთი მდგომარეობა, როდესაც პიროვნება ახერხებს გარემოსა და შინაგანი ტენდენციების ურთიერთშეთავსებას. ამ შეთავსებას ძირითადი მექანიზმი არასასურველი შინაარსების ცნობიერებიდან არაცნობიერში განდევნის მექანიზმია. არაცნობიერში განდევნილი შინაარსები ისწრაფვიან რეალიზაციისაკენ. ფსიქიკურ ანომალიისთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც ეს შინაარსები შენიღბული სახით იკრებიან ცნობიერებაში და ვანსაზღვრავენ ქცევას, აქედანვე გამომდინარეობს თერაპიის არსიც — გაუცნობიერებელი ტენდენციები შესუსტდება მათი რეალიზაციით, სხვაზე გადატანით ან ვაცნობიერებით, ეს პრინციპი ზორციელდება ისეთ მეთოდებში, როგორც არის ფსიქოკათარსის, ფსიქოდრამის, საკუთრივ ფსიქოანალიზის და სხვა მეთოდება. არაცნობიერის, როგორც მხოლოდ გაუცნობიერებელი კოგნიტური წარმონაქმნის გაგება (რაზედაც მიუთითებს ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში არსებული კრიტიკა), მის დეტერმინატებად მხოლოდ რეალიზაციისა, გადატანის და ვაცნობიერების აღიარება შეუძლებელია ზღის ფსიქოთერაპიის ისეთ მეთოდთა დასაბუთებას, სადაც თერაპიული ეფექტი მიიღწევა მოტორული ტონუსის შეცვლით (რელაქსაცია), ახალი პირობითი კავშირის შექმნით (რეფლექსოთერაპია, დესენსიტიზაცია, ფუნქციონალური ვარჯიში) ან შთაგონებით (ჰიპნოზი, თვითშთაგონება). ამდენად, ჩვენს აზრით, ფსიქოანალიზის არსებული თეორიული რესურსებით პრინციპულად შეუძლებელია არაფსიქოანალიტურ მეთოდთა დასაბუთება. ეს მოსაზრება ჰიპოთეტური ხასიათისაა, საკითხი უდავოდ ითხოვს დამატებით კვლევას, მაგრამ სავარაუდლოა რომ ამ თეორიის ცალმხრივობა, რაზედაც ხშირად მიუთითებენ [6], პრაქტიკულ საკითხთა ცალმხრივად გადაწყვეტის საწინდარია.

არაცნობიერის ფსიქოანალიზურ თეორიას მარქსისტული ფსიქოლოგია განწყობის თეორიას უპირისპირებს. ეს სკოლა ისე ვითარდებოდა, რომ ფსიქოთერაპიული პრაქტიკის პრობლემის გადაწყვეტის წინაშე არ მდგარა. ამიტომაც ამგვარ საკითხთა გადაწყვეტის რაიმე კონკრეტული ტრადიცია მას არ გააჩნია. ეს გასაგებს ზღის იმ მდგომარეობას, რომ არაცნობიერის პრობლემისადმი მიძღვნილ ფუნდამენტურ კრებულებში განხილული არაა განწყობის თეორიის მიმართება ფსიქოთერაპიისთან (რიგ შემთხვევებში გამოიყენება მხოლოდ განწყობის ცნება ზოგადთეორიული კონტექსტისა და საკითხთა განზოგადების გარეშე [19]). ამგვარი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ თეორიის არაპროდუქტიულობას ფსიქოთერაპიულ პრაქტიკაში, არამედ მხოლოდ იმის ნიშანია, რომ საჭიროა ეს პრობლემები დაისვას განწყობის თეორიის წინაშე და გამოვლინდეს მისი შესაძლებლობანი. ამგვარი სამუშაოს შესრულების შემდეგ ცხადი გახდება, თუ რაში შეიძლება დაეფუძისპირდეთ არაცნობიერის სხვა თეორიებს და გვაქვს თუ არა უნარი ეს დისკუსია აკადემიური მეცნიერების ფარგლებს გარეთ გავატანოთ. აქვს კი აზრი ფსიქოთერა-

პიის პრაქტიკულ საკითხთა განხილვას განწყობის თეორიის შუქზე? იქნებ ლოგიკურად შეუძლებელია განწყობის თეორიის პრინციპებიდან ამგვარი საკითხების გადაწყვეტა? გვაანალიზოთ ეს შესაძლებლობა.

როგორც უკვე აღინიშნა, ფსიქოთერაპიული თეორია ფსიქიკური ნორმის ანომალიის და რეგულაციის კონცეპციათა შექმნას გულისხმობს.

ფსიქოლოგიური ნორმის დადგენა ძირითადად თანხვედბა ზოგადფსიქოლოგიური თეორიის ამოცანებს. ამასთან დაკავშირებით ყურადღების ღირსია განწყობის თეორიის რიგი დებულებები.

ქცევა ადამიანის მიერ გარემოს რეგულაციის საშუალებაა. თვით ქცევა განწყობით რეგულირდება. განწყობა არაცნობიერი ბუნების მთლიანპაროვნული, სისტემური ხასიათის მდგომარეობაა. ყოველი ქცევა განწყობის რეალიზაციას წარმოადგენს [16]. რეალიზაციის შემდეგ განწყობა არ ქრება, იგი პიროვნებაში ფიქსირდება. შესაბამისად, აქტუალურისაგან განასხვავებენ ფიქსირებულ განწყობებს, რომლებშიც ქცევითი პრობლემის მზა გადაწყვეტა მოცემული [20:14]. აქტუალური განწყობა რეგულირდება მოთხოვნილებითა და სიტუაციით. მოთხოვნილების ორი ტიპი (სუბსტანციონალური, ფუნქციონალური) ქცევის ორ ფორმას წარმოშობს (ექსტროგენული, ინტროგენული). ექსტროგენულ ქცევაში განწყობის ხასიათი ქცევის რეზულტატით და სიტუაციითაა დეტერმინირებული [19]; ისეთ შემთხვევებში კი, სადაც ქცევის რეზულტატი მნიშვნელოვანი არაა, ადამიანი ფუნქციონის, თავის შესაძლებლობათა (ფიქსირებულ განწყობათა) რეალიზაციის მოთხოვნილებას იკმაყოფილებს. ქცევითა ამ ფორმებში (ინტროგენული აქტები—თამაში, გართობა, შემოქმედება, სიზმარი და სხვ.) სიტუაციას აღარ აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა. ფუნქციონალური ტენდენციით დეტერმინირებულ განწყობას თვით შეუძლია შექმნას თავისი რეალიზაციის ობიექტი ფსიქიკურ ფუნქციითა საფუძველზე [1:3]

განწყობის თეორიის მიხედვით, ადამიანის ცენტრალური ტენდენცია თავის შესაძლებლობათა რეალიზაციის, აქტივობის ტენდენციაა [1:4]. ამ ტენდენციით იხსნება თვით დაბადების აქტივ, მაგრამ ყველა შესაძლებლობათა რეალიზაციისათვის ადამიანის ცენტრალური შესაძლებლობის—სიცოცხლის—რეალიზაცია საჭირო. ეს ედება საფუძველად თავდაცვის ინსტიქტის გაჩენას, რომელიც მეორად წარმონაქმნადაა გაგებული [4]. ეს ტენდენციები ხანდახან უპირისპირდებიან ერთმანეთს, მაგრამ მათი ურთიერთშეთავსება შესაძლებელია, რადგან თუკი თავდაცვის ინსტიქტმა რომელიმე განწყობათა რეალიზაციას შეუშალა ხელი ექსტროგენულ აქტში, ისინი ინტროგენულ ქცევებში უმტკივნეულოდ რეალიზდებიან.

ზემოთქმული მოკლე მონახაზია განწყობის თეორიაში განწყობის, მოთხოვნილებისა და ქცევის კონცეფციითა ურთიერთკავშირისა. დასმული საკითხისათვის მნიშვნელოვანია ამ თეორიაში მოცემული განვითარების კონცეფცია. განვითარება დ. უზნაპისათვის მთელის ნაწილებად დიფერენცირებაში მდგომარეობს. განწყობაც დიფერენციური ფორმიდან დიფერენცირებულ ფორმებში ტრანსფორმაციით ვითარდება [1; 3; 4]. განწყობის დიფერენციაციის ერთ-ერთ საშუალებას მისი ქცევაში რეალიზაცია (ფიქსაციის პროცესი) წარმოადგენს. ამდენად, ინტროგენულ აქტივობას კატარსისულ ფუნქციის გარდა განვითარების ფუნქციაც აკისრია (მაგ. თამაშში). განწყობის რეალიზაცია, რაც მისი განვითარების ერთ-ერთი პირობაა, ყოველთვის არაა შესაძლებელი, გარემო

უშლის ხელს ამ ცენტრალური ტენდენციის დაკმაყოფილებას. გარემოს დაძლევის ამოცანა აჩენს ექსტროგენულ ქცევას, ხოლო განვითარების ბოლო ეტაპზე ჩნდება ამოცანის ცნობიერად გადაწყვეტის უნარი [1]. ობიექტივაციის საფუძველზე გაჩენილი ცნობიერების შინაარსი განწყობის დიფერენციაციის უმაღლესი ფორმაა (ალსანიშნავია, რომ ერთ-ერთ შუალედურ ფორმად ემოცია მიჩნეული [3]). ობიექტივაციის ძალით ადამიანს ძალუძს აქტუალური განწყობის მიმდინარეობიდან გამოადიფერენციროს ცნობიერების პროცესი, ამ პროცესში გადაწყვეტის სიტუაციური პრობლემა და შემდეგ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე აავსოს ახალი ქცევა. ამდენად, ცნობიერება განწყობის განვითარების პროდუქტია.

როგორია ფსიქიკური ანომალიის თეორიული გააზრება ამ კონცეფციითა საფუძველზე? დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემაში შეიძლება დავეხმაროთ ერთი ციტატა დ. უზნაძის წიგნიდან „ძილი და სიზმარი“ (1936). ავტორი ცდილობს დაადგინოს სიზმრის ფუნქცია და იგი არკვევს იმას, თუ რა მოუვიდოდა ადამიანს, სიზმარი რომ არა: „ფუნქციონალური ტენდენციის ხანგრძლივი დაუკმაყოფილებლობის გამო, ჩვენს სუბიექტურ განწყობათა შესატყვისად მოქმედების იმპულსის დაძაბულობა იმ დონემდე გაიზრდებოდა, რომ ბოლოს იგი ჩვენზე მოქმედი რეალური სინამდვილის ძალას დაჩრდილავდა, და სუბიექტი ობიექტური სინამდვილის შესაბამისად კი არა, თავისი სუბიექტური განწყობის შესატყვისად დაიწყებდა აზროვნებას, გრძნობასა და მოქმედებას: კავშირი სუბიექტსა და ობიექტურ რეალობას შორის გაწყდებოდა, და ადამიანი თავის სუბიექტური განწყობის ნადავზე აგებულს სამყაროში დაიწყებდა ცხოვრებას, ე. ი მივიღებდით იმას, რაც ფსიქოტურ მდგომარეობისათვისაა დამახასიათებელი“ [1, 76—77]. დასასრულ ავტორი დასძენს, რომ სიზმრებს გარკვეული კატარსისული ხასიათი აქვს.

მოყვანილი ციტატის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ფსიქოტური (ანომალური) მდგომარეობა დ. უზნაძეს ესმის მდგომარეობად, რომელშიც ადამიანს გაწყვეტილი აქვს ფსიქოლოგიური კავშირი გარემოსთან და ცხოვრობს სუბიექტური განწყობების საფუძველზე შექმნილ სამყაროში. შეიძლება დავუშვათ, რომ ამ მდგომარეობის წარმოშობის მიზეზად ფუნქციონალური ტენდენციის გაძლიერებაა დასახული. ფუნქციონალური ტენდენციის გაძლიერება ფსიქიკური ანომალიის დროს უნდა იწვევდეს მის მიერ დეტერმინირებული ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის გაზრდას და ჩაჭრობის გართულებას. ეს პიპოთეზა თითქმის სრულად დასტურდება სულით ავადმყოფებთან ჩატარებულ ფიქსირებული განწყობის ცდებში [3; 18]. თუკი განწყობა ადვილად აგზნებადია პათოლოგიის დროს, იგი დიფუზურობითაც უნდა ხასიათდებოდეს. ადვილად აგზნებადი და ძნელად ჩაჭრობადი განწყობა გარემოს არ უწევს ანგარიშს, ამის ვარაუდები კი მისი დიფერენციაცია არ მოხდება. განწყობის დიფუზური ხასიათი გასაგებს გახდის ობიექტივაციის სისუსტეს პათოლოგიის დროს. ამითვე შეიძლება აიხსნას ანომალური ფსიქიკის რეგრესიული და ინფანტილური ხასიათი [7] და ამავე შემთხვევებში დადგენილი „არაცნობიერის ენის“ ალოგიკურობა [5; 11].

ამდენად, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ განწყობის თეორიის მიხედვით,

¹ ალსანიშნავია, რომ მოგვიანებით ჩატარებული ცდები საკმაოდ კარგად შეესაბამება დ. უზნაძის მიერ წამოყენებულ მოსაზრებებს.

ფსიქიკური ანომალა ფუნქციონალური ტენდენციის (განწყობის ავტონომიური იმპულსის) გაძლიერების შედეგია, რაც ინტროგენული აქტივობის დეფიციტით შეიძლება იყოს გამოწვეული. ფუნქციონალური ტენდენციის გაძლიერება დიფუზური განწყობების არაადეკვატურ სიტუაციებში აქტუალიზაციას უწყობს ხელს და ამ სიტუაციას ილუზიურით ჩაანაცვლებს.

ფსიქოპათოლოგიის ამგვარი კონცეფციიდან გამომდინარე ფსიქოთერაპია უნდა მდგომარეობდეს არარეგულირებადი ფუნქციონალური ტენდენციების, ანუ ფიქსირებულ განწყობათა ავტონომიური ტენდენციების რეგულაციაში. ფიქსირებული განწყობის სპონტანურ ტენდენციათა ფაქტორების ცოდნა საშუალებას იძლევა შეიქმნას ამ ტენდენციათა მართვის ფსიქოთერაპიული მეთოდები და აიხსნას არსებული მეთოდების ეფექტურობა. ამგვარი ცოდნა განწყობის ფსიქოლოგიაში მოცემულია, მაგალითისათვის განვიხილოთ ზოგიერთი საკითხი.

ფიქსირებული განწყობის რეგულაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქცევის ზოგადი სტრუქტურა. თუკი ქცევა ექსტროგენულია, ფიქსირებული განწყობის აქტუალიზაცია ამ ქცევის რეზულტატით იქნება დეტერმინირებული. ე. ი. რაც უფრო ცალსახად იქნება დაკავშირებული ამა თუ იმ ფიქსირებული განწყობის აქტუალიზაციასთან უარყოფითი რეზულტატი, მით ნაკლებადაა მოსალოდნელი მისი აქტუალიზაცია. ცდათა განმავლობაში კი ახალი განწყობა ფიქსირდება. ამგვარ მექანიზმს უნდა ეფუძნებოდეს რეფლექსოთერაპიისა და ქცევითერაპიის მეთოდების ეფექტურობა. პათოლოგიის რიგ შემთხვევებში ხდება ქცევის რეზულტატის ღირებულების არაადეკვატური პიპერბოლიზაცია. არის მეთოდები, რომლებშიც პათოგენური განწყობის აქტუალიზაცია უმნიშვნელო რეზულტატს უკავშირდება (ფუნქციონალური ვარჯიში, დესენსიტიზაციის მეთოდი, იზოლაციის მეთოდი და ა. შ.). ვინაიდან ამ მეთოდებში განწყობის რეგულაცია ხდება რეზულტატის გავლენით, ამ მეთოდთა ერთობლიობას ექსტროგენული ფსიქორეგულაციის მეთოდები შეიძლება ვუწოდოთ (მათ ფიქსაციის მეთოდებიც შეიძლება ვუწოდოთ, რადგან ყველა ამ შემთხვევაში ახალი განწყობა მისი დაფიქსირების წყალობით ხდება პიროვნების საკუთრება).

განწყობის თეორიის მიხედვით, განწყობას აქტუალიზაციის საკუთარი იმპულსი — ფუნქციონალური ტენდენცია — გააჩნია. ამ იმპულსმა დამლუპველ შედეგამდე რომ არ მიიყვანოს ადამიანი, იგი ინტროგენული ქცევის ფორმებში იხარჯება. ინტროგენული აქტივობა სწორედ იმ მექანიზმად შეიძლება ჩაითვალოს, რომელსაც ბუნებრივ ფსიქოთერაპიულ მექანიზმს უწოდებს ზოგი ავტორი [17]. ამავე მექანიზმით შეიძლება აიხსნას ისეთ ფსიქოთერაპიულ მეთოდთა ეფექტურობა, როგორც არის ფსიქოკატარსის, ფსიქოდრამის, თამაშის, იმაგოთერაპიის, მუსიკა-თერაპიისა და სხვა მეთოდები. ამ მეთოდებს ინტროგენული ფსიქორეგულაციის მეთოდები შეიძლება ვუწოდოთ.

ფიქსირებული განწყობა აქტუალიზაციისას აქტუალურ განწყობად ტრანსფორმირდება. აქტუალური განწყობა წარმართავს და მოიცავს თავის თავში პიროვნების ფსიქოფიზიკურ ძალებს (სომატურ სისტემათა მოდიფიკაციის გარეშე მოქმედების გადაწყვეტილება ხომ მოქმედებად ვერ გადაიქცევა). ამ განწყობის მთლიანობითი ხასიათის გამო მისი კომპონენტები, განსხვავებული ბუნების კომპონენტები ერთმანეთზე გავლენას ახდენენ [4,142]. ამიტომაც სომატური კომპონენტების ტონუსის დაცემა ფსიქიკური პროცესების ტონუსის

დაცემისა და ტენდენციათა ინტენსივობის შემცირების ფაქტორია. ამ ფაქტორის მოქმედებით შეიძლება ავსხნათ ისეთ მეთოდთა ეფექტურობა რომლებიც მოტორულ რელაქსაციას (ნაწილობრივს ან სრულს) იყენებენ. ამ მეთოდებს სიმეტრიური ფსიქორეგულაციის მეთოდები შეიძლება ვუწოდოთ.

ფართოდაა ცნობილი, რომ ცალკეულ განწყობათა აქტუალიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია ფიქსირებულ განწყობათა ის სისტემა, რომელშიც განწყობაა ჩართული [14]. ამ ფაქტორის ზემოქმედებით შეიძლება აიხსნას ისეთ მეთოდთა ეფექტურობა, როგორც არის ფსიქოანალიტური ან კალუზალური თერაპია. ჩვენ ვიზიარებთ ზოგიერთი ავტორის [23] მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საეპოკა პათოგენეზის გაცნობიერების ეფექტურობა; ფსიქოანალიზის სხვადასხვა თეორიები სხვადასხვანაირად განსაზღვრავენ ავადმყოფობის გენეზისს, მაგრამ კლინიკურ პლანში დაახლოებით ერთნაირად ეფექტურნი არიან. უფრო მისაღები ჩანს ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ფსიქოთერაპიის ეს მეთოდები სასურველ ეფექტს, ძირითადად, შეხედულებათა და განწყობათა ახალი სისტემის შექმნით აღწევენ [5]. ამ ახალი სისტემის შექმნას ფსიქოანალიზი თვით პაციენტის ქცევათა ანალიზით ახერხებს. საკუთარი ქცევა რომ განწყობის შეცვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, ცნობილია. ასე რომ, იქმნება ახალი სისტემა, რომლითაც პათოგენური განწყობა რეგულირდება. ამ მეთოდებს სისტემური ფსიქორეგულაციის მეთოდები შეიძლება ვუწოდოთ.

ქართული ფსიქოლოგიური სკოლისათვის ცნობილია, რომ განწყობა ცნობიერებთაღაც რეგულირდება (მართალია, სუსტად). ამ მექანიზმით შეიძლება აიხსნას რაციონალური თერაპიის ეფექტურობა და მას ცნობიერი ფსიქორეგულაციის მეთოდი ვუწოდოს.

ფსიქოთერაპიის მეთოდთაგან ინტერპრეტაციისათვის ყველაზე „შუშვალი“, ზოგადად, ალბათ სუგესტოთერაპია (ჰიპნოზი, შთაგონება, თვითშთაგონება) ჩაითვლება. ეს მეთოდები სუგესტიის ფაქტს ეფუძნებიან. სუგესტია განწყობის თეორიაში განწყობის შექმნის ერთ-ერთ ფაქტორად არის მიჩნეული [3, 30]. ეს დებულება დ. ნ. უზნაძემ ექსპერიმენტულად დაადასტურა [2]. არის ცდები, რომლებშიც სუგესტურობა და ჰიპნოზილურობა განწყობის ტიპებთან აღმოჩნდა კავშირში [11; 6; 12]. ამგვარი კავშირი გვაფიქრებინებს, რომ პიროვნების როგორც ერთი, ისე მეორე მახასიათებელი შეიძლება ფორმალურ ხასიათს ატარებდეს და აუცილებლობით არ იყოს დაკავშირებული რომელიმე კონკრეტული განწყობის შინაარსთან. ეს კავშირები გვაიძულებენ იმასაც, რომ გავართულოთ სუგესტიის განწყობისეული მოდელი. სუგესტია აქტია, რომელშიც ჩართულია როგორც სუგესტორი (თერაპევტი), ასევე სუგერენდი (პაციენტი). სუგერენდის ამ აქტივობას, რომლის შედეგადაც მასში ახალი განწყობები საოცრად ადვილად იქმნება, თავისი შინაგანი ლეტერმინანტი, თავისი განწყობა ესაჭიროება. ჩვენ ვუშვებთ, რომ არსებობს პიროვნების განწყობა თავის თავში ახალ დისპოზიციათა ჩამოყალიბებაზე (ცნობილია, თუ რაოდენ არაეფექტურია სუგესტია, თუ სუგერენდი ასე არაა განწყობილი). ამგვარ განწყობათა დაშვება სუგესტიის პრობლემის გარეშეც მოგვიწევს, მაგალითად, ობიექტივაციის მექანიზმის ახსნისას. ობიექტივაცია აქტია, რომელსაც სუბიექტი მაშინ მიმართავს, როცა ძველი განწყობა სრულიად ახლით უნდა შეცვალოს. ამ აქტს თავისი უშუალო ლეტერმინანტი — განწყობა ესაჭიროება, განწყობა რომელიც ახალი განწყობის შექმნისაკენ იქნება მიმართული (განწყო-

ბის შექმნის (განწყობა). ამგვარი განწყობის დამზევა გასაგებს ვახდის როგორც
 ობიექტივაციის აქტზე გადასვლას, ასევე ამ აქტიდან ისევ ქცევის პროცესზე დაბ-
 რუნებას. ამგვარი განწყობისკენ თუკი ექნება პიროვნებას ტენდენცია, მაშინ
 მან კლასიკურ ცდებში მეტი ილუზიები უნდა მოგვეცეს, ერთის მხრივ, და მეო-
 რეს მხრივ — სუბსტრუქტურა უნდა ახასიათებდეს (როგორც აღვნიშნეთ, ამ-
 გვარი კავშირი ექსპერიმენტულად დადასტურდა). სუბერენდის მოქმედების
 განწყობისეულ ბუნებაზე ისიც მიუთითებს, რომ იგი მოსული ინფორმაციის
 სელექციას ახდენს ცნობიერების ჩაურევლად და სუბსტორის ბრძანებებს
 კრიტიკის გარეშე იღებს. ზემოთქმულის გამო ამ მეთოდებს შეიძლება განწყო-
 ბისეული ფსიქორეგულაციის მეთოდები ვუწოდოთ.

ამდენად, განწყობის თეორიის მიხედვით, პათოლოგია განწყობის სპონ-
 ტანური აქტივობის გაძლიერებაა. თერაპია — ამ აქტივობის რეგულაცია. გან-
 წყობის მოქმედების ფაქტორები გასაგებს ხდის, ჩვენის აზრით, რიგი ფსიქო-
 თერაპიული მეთოდების ეფექტურობას. განწყობის თეორიაზე დაფუძნებით
 ამ მეთოდთა გარკვეული სისტემატიზაციაც კი ვახდა შესაძლებელი (რა თქმა
 უნდა, ეს დასაბუთებაც და სისტემატიზაციაც არაა სრულყოფილი და სასინ-
 ჭი მოდელის პრეტენზია შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ).

იზადება კითხვა — რამდენად პერსპექტიულია განწყობის თეორია როგორც
 ფსიქოთერაპიის თეორია — იგი მხოლოდ უკვე არსებულ მეთოდებს ასაბუთებს
 თუ შეუძლია მას ახალი მეთოდოლოგიური პრინციპების შემოთავაზება? ჩვენის
 აზრით, ეს საკითხი დადებითად შეიძლება გადაწყდეს. ჯერ ერთი, განწყობის ცნე-
 ბაზე ფსიქოთერაპიული თეორიის აგება საშუალებას იძლევა ეს თეორია დაუ-
 კავშირდეს ფსიქოლოგიის სხვა დარგებს. განწყობის აქტუალიზაციისა და მარ-
 თვის ფაქტორები ინტენსიური კვლევის საგანია ფსიქოლოგიის ისეთ დარგებ-
 ში, როგორცაა აღქმის, სოციალური, პიროვნების და სხვა ფსიქოლოგიები.
 განწყობის ზოგადფსიქოლოგიური ცნება საშუალებას მოგვეცემს სხვადასხვა
 დარგებში დადგენილი კანონზომიერებანი განვავზოგადოთ და გამოვიყენოთ
 ფსიქოთერაპიულ მეთოდთა გასავითარებლად. მეორეს მხრივ, საკუთრივ გან-
 წყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიას გააჩნია პერსპექტივა — იგი საშუალე-
 ბას იძლევა ახლებურად გავიზროთ ფორმალურ და შინაარსობრივ მომენტ-
 თა ურთიერთ მიმართება. ამავე დროს ფსიქოპათოლოგიის მასში წარმოდგენი-
 ლი კონცეფცია საშუალებას იძლევა შეიქმნას ფსიქოპიგიენტურ და ფსიქობრო-
 ფილაქტიკურ მეთოდთა ახალი სისტემა.

საყურადღებოა, რომ ყოველივე იმას, რაც ჩვენ აღვნიშნეთ განწყობის
 თეორიის პერსპექტივებთან დაკავშირებით, მოკლებულია არაცნობიერის ფსი-
 ქონალიტური კონცეფცია. ამ ორი თეორიის ურთიერთშედარების დროს მოსა-
 ლოდელია გაჩნდეს აზრი, რომ მათ შორის ბევრი ანალოგია (არარეალიზებულ-
 ლი განწყობები — არარეალიზებული შინაარსები, ფუნქციონალური ტენდენ-
 ცია — არაცნობიერის ტენდენციები, შესაძლებლობათა რეალიზაციისკენ სწრაფ-
 ვა — სიცოცხლის ინსტიქტი და ა. შ.) და არაა პრინციპული განსხვავება. ამგვარ
 განსხვავებათა გამოვლენას მრავალი გამოკვლევა ემსახურება [21] და კიდევ
 მრავალი შეიძლება მიეძღვნას. ჩვენ გვინდა მხოლოდ ერთ განსხვავებას გაუხს-
 ვათ ხაზი, განსხვავებას, რომელსაც, ჩვენის აზრით, პრინციპული მნიშვნელობა
 აქვს პრაქტიკული საკითხების გადაჭრისათვის. თუ ფსიქონალიზისათვის პი-
 როვნების ჩამოყალიბება 5 წლის ასაკში მთავრდება, განწყობის თეორიის

ლოგიკით ეს განწყობათა დინამიკის უსასრულო პროცესია. ამგვარი თანამედროვე ფსიქოთერაპიულ პრაქტიკაში უფრო პროდუქტიულ პოზიციად დასდება [7;13].

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა, ჩვენის აზრით, გვიჩვენებს რომ განწყობის თეორიას, როგორც არაცნობიერის თეორიას, პრინციპულად შესწევს უნარი მოგვეცეს ფსიქოთერაპიულ მეთოდთა დასაბუთება და ამ პრაქტიკის ერთიან კონცეფტუალურ სისტემაში მოქცევა, ამდენად, იგი პერსპექტიული, მოქნილი და, რაც მთავარია, პროდუქტიული შეიძლება აღმოჩნდეს ამ მიმართულებით მუშაობის დროს.

ლიტერატურა

1. უზნაძე დ. ნ. ძილი და სიზმარი, თბ., 1936.
2. უზნაძე დ. ნ. პოსტპიანოტური შთაგონების თეორიისათვის, ფუნქც. ნერვ.დაავად. ინსტიტ-ის შრომები, თბ., 1936, ტ. 1.
3. უზნაძე დ. ნ. ზოგადი ფსიქოლოგია. შრომები, ტ. 3—4 თბ., 1964.
4. უზნაძე დ. ნ. ბავშვის ფსიქოლოგია, შრომები, ტ. 5, თბ., 1967.
5. Автономова Н. С. О некоторых философско-методологических проблемах психологической концепции Жака Лакана. В кн.: «Бессознательное: природа функции, методы исследования», под общей редакцией А. С. Прангишвили, А. Е. Шерозия, Ф. В. Бассина, т. 3, Тб., 1978.
6. Бассин Ф. В., Прангишвили А. С., Щерозия А. Е., К истории и современной постановке вопроса. В кн.: Бессознательное..., т. 1, Тб., 1978.
7. Вольперт И. Е. Психотерапия. Л., 1972.
8. Звегинцев В. А. Проблема взаимоотношения языка и мышления и НТР. «Вопросы философии», 1977, № 4.
9. Калаидаришвили А. С. Каменецкий С. А. Анализ гипнобильности при истерии в свете теории бессознательной психологической установки. В кн.: Бессознательное..., т. 2, Тб., 1978.
10. Ландышев А. А., Петров С. С. Внушаемость и установка. В кн.: Проблема внушаемости и психопатология. Рязань. 1975.
11. Леклер С. Бессознательное: иная логика. В кн.: Бессознательное..., т. 3, Тб., 1978.
12. Местнашвили М. Г. К психологической природе постгипнотического внушения (в детском и подростковом возрасте). Сб.: Вопросы психотерапии, М., 1966.
13. Мясисев В. Н. Принципиальные положения психотерапии. Сб.: Вопросы психотерапии. М., 1966.
14. Надирашвили Ш. А. Закономерности формирования и действия установок различных уровней. В кн.: Бессознательное..., т. 1, Тб., 1978.
15. Николава И. И. К диагностике восприимчивости к гипнозу. Труды ин-та функц. нерв. болезней. Тб., 1945, т. 2.
16. Прангишвили А. С. К проблеме бессознательного в свете теории установки: школа Д. Н. Узнадзе. В кн. Бессознательное..., т. 1, Тб., 1978.
17. Рожнов В. Е., Бурно М. Е. Учение о бессознательном и клиническая психотерапия: постановка вопроса. В кн.: Бессознательное..., т. II, Тб., 1978.
18. Узнадзе Д. Н. Экспериментальные основы психологии установки. Тб., 1961.
19. Узнадзе Д. Н. Формы поведения человека. Психологические исследования. М., 1966.
20. Чхартяшвили Ш. Н. Некоторые спорные проблемы психологии установки., Тб., 1971.
21. Шерозия А. Е. К проблеме сознания и бессознательного психического. Опыт интерпретации и изложения общей теории, т. II, Тб., 1973.
22. Шертюк Л. Скрытое лицо бессознательного: Фрейд и гипноз. В кн.: Бессознательное..., т. 2, Тб., 1978.
23. Шибутани Т. Социальная психология, М., 1969.

Р. Т. САКВАРЕЛИДЗЕ

ПСИХОЛОГИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ БЕССОЗНАТЕЛЬНОГО И ОБОСНОВАНИЕ МЕТОДОВ ПСИХОТЕРАПИИ

Резюме

Проблема бессознательного на современном этапе тесно связана с практикой психотерапии. Одной из задач при этом является теоретическое обоснование методов психотерапии на основе общей теории бессознательного.

При рассмотрении теории психоанализа оказывается, что она не в состоянии обосновать методы, созданные вне рамок ее школы.

Логика постановки вопроса требует рассмотреть и теорию установки в данном контексте. Выявление принципиальных возможностей теории установки в деле обоснования методов психотерапии показывает, что эта теория может являться перспективной и продуктивной в решении соответствующих прикладных проблем.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

Д. А. ЧАРКВИАНИ

ЗНАЧЕНИЕ ТРУДОВЫХ УСТАНОВОК В ИССЛЕДОВАНИИ ПСИХОЛОГИЧЕСКОГО КЛИМАТА ОРГАНИЗАЦИИ

Существующее многообразие в определении понятия психологического климата результируется не только в концептуальных расхождениях, но и в различиях эмпирических подходов исследования социальных и психологических характеристик той или иной организации. Настоящая статья не касается вопроса различий, существующих в литературе в отношении определения психологического климата, более подробный анализ которого можно найти у ряда зарубежных и советских авторов [1, 6]. Данное явление нами исследуется эмпирически на основе определенных теоретических положений, суть которых состоит в следующем.

Отличают друг от друга организационный и психологический климат. При изучении первого основной интерес направлен на выявление свойств внутренней организационной среды, т. е. на объективные характеристики, например, величина учреждения, его формальная структура, его цели и задачи и т. п. Организационная среда, в свою очередь, в процессе трудовой деятельности своеобразно отражается в субъекте, она воспринимается и интерпретируется им. Субъективное отражение, т. е. перцепцию объективных характеристик организационного климата можно рассмотреть как психологический климат организации. Когда речь идет о психологическом климате, необходимо говорить и о трудовых установках, ибо именно они, вернее, их определенная целостность, совокупность создает ядро, основу первого. Таким образом, любую организацию можно рассмотреть с точки зрения объективных и субъективных показателей; естественно, что выбор стратегии эмпирических измерений зависит от конкретных целей исследования.

В предлагаемой работе эмпирически изучается вопрос о значении различных трудовых установок в определении психологического климата конкретной организации. Наша основная задача состоит в том, чтобы описать психологический климат определенной организации посредством исследования особых признаков трудовых установок, применяя при этом различные уровни корреляционного анализа. Под этим последним подразумевается уровень определения связей «между» разными установками и уровень исследования отношений элементов «внутри» отдельной установки. Этот разноуровневый анализ установок был осуществлен с учетом следующих, по нашему мнению, существенных признаков, присущих как совокупности установок, так и отдельной установке.

а) При изучении психологического климата в аспекте трудовых установок, в первую очередь, необходимо выявить **интенсивность** и **полярность** исследуемых переменных. Изучение этого вопроса на уровне отношений «между» установками означает классификацию исследуемых переменных, по крайней мере, на три категории — положительные, нейтральные и отрицательные. Исследование же на уровне связей «внутри» отдельной установки подразумевает классификацию определенных элементов установки, например, познавательных и эмоциональных на слабые, средние и высокие. Отметим, что на обоих уров-

ных исследования шкалы измерения установок дают возможность одновременного учета свойств интенсивности и полярности.

б) Определенные совокупности установок могут иметь разную степень согласованности, конгруэнтности между ее составными частями. Выявление степени согласованности для совокупности установок является важной характеристикой в определении психологического климата конкретной организации. Этот вопрос нами изучается посредством интеркорреляционного анализа установок, т. е. исследуются связи «между» установками. Свойство согласованности можно изучить и на уровне отдельной установки, рассматриваемой нами как единое когнитивных, эмоциональных и поведенческих элементов. В этом случае подразумевается интеркорреляционный анализ вышеуказанных элементов с точки зрения степени их взаимной конгруэнтности. Здесь мы говорим об уровне анализа «внутри» отдельной установки.

в) Изучение психологического климата организации подразумевает выявление связей между трудовой деятельностью и установками. Такое исследование имеет большое теоретическое значение для решения вопроса о детерминации установками эффективности трудовой деятельности. Кроме того, если даже игнорировать вышесказанное, рассматриваемая нами проблематика не будет освещена в достаточной мере без выяснения вопроса о сравнительной значимости той или иной установки или ее составных частей в смысле «чистой» корреляции с реальным поведением. Именно в этом аспекте мы изучаем корреляции разных установок с критерием оценки трудовой деятельности субъектов, что будет соответствовать уровню анализа связей «между» установками. Тот же вопрос нами исследуется и на уровне анализа «внутри» отдельной установки, подразумевающий выявление корреляций между ее элементами и критерием оценки трудовой деятельности. В этом случае мы изучаем мотивационные аспекты трудовых установок.

На этом последнем вопросе нам хочется остановиться особо. Многочисленные исследования социальных установок выявили их мотивационные особенности [3, 4, 5]. Впоследствии эти свойства интенсивно изучались в отношении трудовых установок [2, 7, 8, 9, 10]. На основе анализа вышеуказанных работ можно выделить следующие эмпирические характеристики трудовых установок, учет которых, по нашему мнению, необходим при исследовании психологического климата любой организации. Во-первых, необходимо выделить две категории результатов трудовой деятельности — первичные и вторичные. К первичным относятся результаты, т. е. цели, непосредственно касающиеся самого процесса работы, например, качество и производительность труда; вторичными являются результаты, вытекающие из работы, они есть следствие трудовой деятельности, к ним можно отнести, например, зарплату, продвижение по службе и т. п. Во-вторых, необходимо выделить такую характеристику, как включенность в работу, представляющую собой степень значимости для человека его трудовой активности. В-третьих, нужно отметить, что не все трудовые установки одинаково важны в трудовом процессе и в равной степени коррелируют с реальной активностью человека. В этом отношении существенным является как объективное, так и субъективное содержательные сходства установок, скажем, таких пар, как отношение к руководителю — отношение к администрации и отношение к труду — отношение к продукту труда. В-четвертых, отметим, что эмпирическое изучение вышеуказанных переменных дает возможность выявления мотивационной иерархии результатов, т. е. целей трудовой активности субъекта или коллектива в целом, что является важнейшей характеристикой психологического климата.

МЕТОД ИССЛЕДОВАНИЯ

Испытуемые. Исследование было проведено в одном из научно-исследовательских институтов г. Тбилиси. Испытуемые — 42 молодых научных сотрудника — в индивидуальном порядке давали ответы на опросник, состоящий из 97 признаков. В исследовании участвовали еще 5 заведующих отделами данного института, ответившие на 5 вопросов - признаков.

Измерение установок. 1) Включенность в трудовую деятельность. Одним из самых распространенных измерений включенности при исследовании трудовых установок является шкала, разработанная К. Лоделом и М. Кеннер [8]. Финальная часть ее состоит из двух вариантов измерения установки ликертовского типа. В первом варианте 20 признаков, во втором — 6 признаков, включающих все факторы, добытые этими авторами в результате факторного анализа. В предлагаемой работе мы использовали оба варианта (более детально относительно данной шкалы см. вышеуказанную работу). 2) Установки на различные параметры организационного климата: отношение к собственному труду, отношение к продукту собственного труда, отношение к организации, в которой он работает, отношение к непосредственному руководителю и отношение к администрации. Измерение этих установок осуществлялось шкалами ликертовского типа, первоначальные варианты которых были разработаны совместно сотрудниками НИИ психологии им. Д. Узнадзе АН ГССР (рук. Д. Чарквиани) и ГФ ВНИИТЭ (рук. В. Челидзе). Каждая шкала измерения указанных трудовых установок в нашем исследовании состояла из 10 признаков. 3) Установка на конкретное поведение, т. е. научную трудовую активность в исследуемом нами институте и ее отдельные компоненты, в эмпирическом аспекте фактически представляющие собой отдельные установки на первичные и вторичные результаты научной работы, измеряемые по формуле В. Вруума [10]. Согласно данной эмпирической модели конкретную активность можно описать как функцию трудовой установки, представляющую собой сумму показателей ожиданий (субъективная вероятность достижения целей) и валентности (значимость или притягательность этих целей), касающихся возможных результатов, вытекающих из трудовой деятельности субъекта, т. е. $У$ (установка) = $\sum O$ (ожидания) $\times V$ (валентность). В качестве результатов трудовой деятельности мы взяли следующие 11 возможных последствий-целей: продуктивность в работе, качество работы (обе являются первичными), повышение зарплаты, возможности продвижения по службе, повышение авторитета среди сотрудников, реализация семейных ожиданий, практическая помощь людям, проявление собственных способностей и умений, хорошие отношения с администрацией института, хорошие отношения с непосредственным руководителем, прославление института собственной работой. Установка измерялась одновременно по двум семиступенчатым шкалам (11 признаков в каждой): по шкале субъективной вероятности достижения вышеуказанных результатов и по шкале субъективной значимости этих же результатов. Эмпирически была определена установка на трудовую деятельность с учетом всех вышеуказанных целей, т. е. $\sum OВ$ предполагаемых результатов; мы также будем говорить о следующих независимых компонентах этой установки: $\sum OВ$ первичных и $\sum OВ$ вторичных результатов трудовой деятельности. И, наконец, O и V в отдельности, относительно возможных результатов трудовой активности.

Критерий оценки трудовой деятельности. Испытуемые оценивали

девятиступенчатой шкалой собственную трудовую деятельность по следующим 5 параметрам: качество, продуктивность, активность, личная инициатива и степень реализации собственных умений и потребностей. Суммарный показатель выступал в качестве критерия оценки субъектом собственной работы. Кроме того, по тем же параметрам трудовую активность наших испытуемых оценивали их непосредственные руководители, т. е. заведующие отделами. В данном случае применялась семиступенчатая шкала оценивания, суммарный показатель которой представлял собой критерий оценки трудовой деятельности испытуемых. Коэффициент ранговой корреляции между этими двумя критериями оценок был равен 0,45 ($P < 0,01$), что указывает на высокое согласие в оценке трудовой деятельности между подчиненными и руководителями исследуемой организации. Этот результат дал нам возможность объединить полученные оценки и высчитать суммарный индекс обеих шкал, применяя его в качестве критерия оценки реального поведения испытуемых.

РЕЗУЛЬТАТЫ ИССЛЕДОВАНИЯ

Интенсивность и полярность установок. Данный вопрос нами рассматривается с точки зрения отличия средних показателей различных установок от среднего показателя по шкале их измерения. Результаты представлены в таблице 1. Данные таблицы указывают, что отрицательная установка обнаруживается лишь в случае отношения к продукту труда, где разница между средним показателем этой установки и средним по шкале равна — 3,06 ($P = 0,95$). Нейтральные по содержанию установки выявлены в обеих вариантах включенности в трудовую деятельность и в случае отношения к администрации. Что касается других видов установок, то они статистически значимо отличаются от средней по шкале и являются положительными по содержанию. Эти результаты проявляют общую картину психологического климата данной организации.

Таблица 1

Средние показатели установок и их отличие от среднего показателя по шкале

| Установки | \bar{x} | Границы \bar{x} | По шкале | $\bar{x} - \bar{x}_1$ |
|----------------------------|-----------|-------------------|----------|-----------------------|
| Включенность (1) | 40,28 | 39,14—43,02 | 42 | + 1,72 |
| Включенность (2) | 17,41 | 16,07—18,85 | 18 | + 0,59 |
| Отношение к организации | 37,41 | 35,48—39,32 | 30 | + 7,41* |
| Отношение к продукту труда | 26,94 | 25,32—28,48 | 30 | — 3,06* |
| Отношение к труду | 35,63 | 33,78—37,42 | 30 | + 5,63* |
| Отношение к руководителю | 40,50 | 38,52—42,48 | 30 | + 10,50* |
| Отношение к администрации | 28,45 | 25,86—30,94 | 30 | + 1,55 |
| Σ ОВ труда | 256,44 | 230 — 382,5 | 99 | +157,44* |

* $P = 0,95$

Степень согласованности установок. Для выяснения степени согласованности, конгруэнтности обсуждаемых нами трудовых установок был проведен интеркорреляционный анализ, результаты которого представлены в таблице 2. Данные таблицы указывают, что самый высокий показатель корреляции получен между включенностью (1) и отношением к труду, где $r = 0,51$ ($P < 0,01$). Отметим, что отношение к организации находится в значимой корреляции лишь с отношением администрации, где $r = 0,42$, ($P < 0,01$). Особо интересным является то, что отношение к руководителю значимо не коррелирует ни с одной из установок. В аспекте психологического климата исследуемой организации можно сказать, что, по-видимому, наши испытуемые отноше-

ние к организации в какой-то мере отождествляют с отношением к администрации, поэтому можно предположить, что деятельность администрации будет влиять на установку к организации в целом. Кроме того, можно допустить, что отношение к руководителю для испытуемых слабо связано с другими аспектами их научно-организационной деятельности, т. е. данная установка как бы «выпадает» из совокупности других трудовых установок.

Т а б л и ц а 2

Интеркорреляция между установками

| Установки | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|-------------------------------|------|--------|--------|------|--------|-------|
| 1. Включенность (1) | 0,08 | 0,43** | 0,51** | 0,21 | 0,24 | 0,34* |
| 2. Отношение к организации | | -0,07 | 0,19 | 0,09 | 0,42** | 0,26 |
| 3. Отношение к продукту труда | | | 0,43** | 0,09 | 0,28 | 0,38* |
| 4. Отношение к труду | | | | 0,25 | 0,36* | 0,32* |
| 5. Отношение к руководителю | | | | | 0,16 | 0,25 |
| 6. Отношение к администрации | | | | | | -0,12 |
| 7. Σ ОВ труда | | | | | | |

* $p < 0,05$ ** $p < 0,01$

Связь установок с критерием оценки трудовой деятельности.

Этот вопрос исследовался с точки зрения корреляционного анализа между разными установками и критерием оценки трудовой активности испытуемых. Результаты даются в таблице 3. Как было выше отмечено, критерий оценки трудовой деятельности включал два параметра — активность и качество. Поэтому наряду с комбинированной оценкой мы включили и эти два параметра. В смысле различия между показателями связи установок с критериями активности и качества нужно отметить показатели, касающиеся включенности (1), где в оценке активности $r = 0,52$ ($P < 0,01$), а в оценке качества $r = 0,27$; в остальных случаях не обнаруживается различий между двумя аспектами оценки критерия поведения, поэтому основное внимание уделим связи установок с комбинированной оценкой.

ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ცდისპირი (მათი საერთო რიცხვი კი უდრიდა 100 კაცს) იყო სხვადასხვა პროფესიის უმაღლესი განათლების მქონე პირი და მათი ასაკობრივი დიაპაზონი შეადგენდა 22-დან 55 წლამდე.

* * *

უპირველეს ყოვლისა, გვინდა აღვნიშნოთ, რომ იმ 50 რუსულის მცოდნე ქართველი ცდისპირიდან, რომლებმაც ცდებში მიიღეს მონაწილეობა 75%-მა თარგმანების გაცნობის შემდეგ კატეგორიულად განაცხადა, რომ არც რუსთაველის და არც ბარათაშვილის არც ერთი თარგმანი არ გადმოსცემს ორიგინალს სრულფასოვნად, რომ ამა თუ იმ თარგმანის მიერ ორიგინალს მხოლოდ მიახლოებით გადმოცემაზე შეიძლება ლაპარაკი და მათ შეუძლიათ შედარებით

კარგი თარგმანი დაასახელონ. დანარჩენი ცდისპირები ასე კატეგორიულად არ გამოხატავდნენ ამ აზრს, მაგრამ მათი შენიშვნები და მთელი ქცევა იგივეზე მიუთითებდა. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, არც ერთ ცდისპირს არც ერთი თარგმანი არ მოეწონა იმდენად, რომ უშუალოდ შესდგომოდა შეფასებას. ამ პროცედურას წინ უსწრებდა უცმარისობის განცდა. ცდისპირები საკმაო ხანს ანდომებდნენ თარგმანების შერჩევა-შეფასებას, განსაკუთრებით საუკეთესო თარგმანის აჩვენებას (რამდენიმე ცდისპირმა უარიც კი განაცხადა საუკეთესოს დასახელებაზე). ეს სავესებით გასაგები და ბუნებრივი შედეგია. ჩვენს წინაშე კიდევ ერთხელ მთელი სიმწვავეთ წამოიჭრა მხატვრული მეტყველების და მხატვრული თარგმნის ფსიქოლოგიური პრობლემა, რომელიც ასეთი სახით დგება: შეიძლება თუ არა ისეთი მაღალმხატვრული ნაწარმოების სრულყოფილი თარგმანი, როგორცაა „ფეხვისტყაოსანი“ ან „მერანი“?

პრობლემა უწყვეტირდება დებულებას ყოველი ცალკეული ენის ელემენტი, ყველასათვის საერთო ობიექტური სამყაროსადმი საკუთარი მისადაგომების მოცემულობის შესახებ (დ. რამიშვილი). ამ მისადაგომების ყოველი სიტყვის მნიშვნელობა მოცემულ ენაზე უშუალოდ გვეძლევა. მათი გადატანა მეორე ენაზე დიდ სიძნელეს ქმნის, ხშირად შეუძლებელიცაა¹. მხოლოდ მხატვრული სიტყვის დიდ ოსტატს, ძალუძს ტოლფასოვანი თარგმანის შექმნა. ასეთი კონგენიალური თარგმანის მაგალითები ბევრია, მაგალითად, ქუქოვსკის მიერ შილერის ბალადების თარგმანი, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს ისევ შინაარსის თავისუფალი გადატანაა, ფაქტიურად, ამავე შინაარსზე ხდება ახალი ნაწარმოების შექმნა.

* * *

ვიდრე ჩვენი ცდების ანალიზს შევუდგებოდეთ, საჭიროა იმ კრიტერიუმის დასახელება, საიდანაც გამომდინარე ეაწარმოებთ ამ ანალიზს. კრიტერიუმი, უწინარეს ყოვლისა, უნდა ეხებოდეს შინაარსის ობიექტურ დამთხვევას. თარგმანთან მიმართებაში ობიექტური ნიშნავს არა მარტო ლოგიკური შინაარსის დამთხვევას ორივე ენაზე, არამედ ფორმის შესაძლებელ მიახლოებასაც. დავუწყეთ ლოგიკური შინაარსის ანალიზით.

ორიგინალის ლოგიკურ შინაარსს ყველაზე ზუსტად ე. წ. ბუქარედი თარგმანი გადმოსცემს. ბუქარედში, ჩვეულებრივად, ძალიან დაწვრილებით და კონკრეტულადაა გაშლილი ორიგინალის შინაარსი. ასეთი თარგმანები ჩვენ ჩვენი ცდისპირებისათვის არ მიგვიწოდებია, ვინაიდან, და ამაში ყველა დაგვეთანხმება, ეს არ არის მხატვრული თარგმანი, ანუ მოცემული მხატვრული ნაწარმოების ეკვივალენტი, იმიტომ რომ აქ გადმოცემულია მხოლოდ ლოგიკური შინაარსი და სრულიად უგულებელყოფილია ორიგინალის ინდივიდუალური ფორმა. ამრიგად, ბუქარედი თარგმანი „უსულო“ ანუ „პრეპარირებულ“ თარგმანს წარმოადგენს.

გავაკეთოთ ამ თვალსაზრისით ჩვენს მიერ ცდაში გამოყენებული „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტის თარგმანების ცდისპირების მიერ მოცემული შეფასე-

¹ ეს, რასაკვირველია, არ იქმნის ყველა სიტყვაზე. არის სიტყვები, რომელთა უშუალო შინაარსი, სხვადასხვა ენაზე ხდება ერთმანეთს.

ბის ანალიზი. ანალიზი გვინდა დავიწყოთ უარყოფითი შეფასებების მიხედვით, ვინაიდან, ლოგიკურია, რომ ცდისპირების მიერ ყველაზე ცუდად მიჩნეული თარგმანი უნდა უახლოვდებოდეს ბჭკარედ თარგმანს, შორს უნდა იყოს ორიგინალიდან ფორმით ანუ, როგორც ჩვენი ცდისპირები ამბობდნენ „სტილით“. ყველაზე დაბალი შეფასება ჩვენთან მიიღო ვ. ცაგარელის თარგმანმა. რუსული ენის მცოდნე ქართველ ცდისპირთა 40%-მა დაასახელა იგი, როგორც ყველაზე ცუდი და მხოლოდ 4%-მა როგორც ყველაზე კარგი. ჩვენი აზრით, ეს გამოწვეულია იმით, რომ ცაგარელი ძალიან ახლოს მიყვება ორიგინალს. მაგალითად ავიღოთ თუნდაც პირველი აფორიზმი.

„უხედავ გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინებეს!“

არაფერია საკვირველი იმაში, რომ ქართველი მკითხველი ამ დიდებულ აფორიზმს განსაკუთრებით განიცდის და ამიტომაც უფრო აქცევს ყურადღებას მის გადატანას რუსულ ენაზე. ხშირად ამ აფორიზმის უხეირო თარგმანი „აფუქება“ მათ შეხედულებას მთელ თარგმანზე. აი როგორ თარგმნა ეს აფორიზმი ცაგარელმა:

«Щедрой будь! У океана есть прилив и есть отливы!» თარგმანი იმდენად პროზაულია, რომ არავითარი დიდებულების განცდას არ იწვევს. ცაგარელის თარგმანის ბჭკარედულმა ხასიათმა მას დააკარგინა არა მარტო ორიგინალის ინდივიდუალური ფორმა, არამედ საერთოდ პოეტური ფორმაც. ჩვენი ცდისპირები აღნიშნავენ, რომ ცაგარელის თარგმანი არა მარტო სიტყვა-სიტყვითი ხასიათისაა, არამედ მას არ გააჩნია რიტმი და მელოდიურობა, რის ქვეშაც უნდა ვიგულისხმობთ მხატვრული ფორმის უქმარობა.

რაც შეეხება დადებით შეფასებას, ქართველებმა ყველაზე მაღალი შეფასება მისცეს ვ. პეტრენკოს თარგმანს. ცდისპირთა 52 %-მა შეათასა იგი როგორც ორიგინალისაღმი მაქსიმალურად შესატყვისი, ანუ როგორც ყველაზე კარგი თარგმანი და მხოლოდ 4 %-მა მისცა მას ყველაზე ცუდის კვალიფიკაცია. ცდისპირები აღნიშნავენ, რომ ეს თარგმანი, სხვებთან შედარებით, უფრო სრულფასოვანია როგორც შინაარსის გადმოცემის, ასევე ფორმის შენარჩუნების თვალსაზრისით. ეს, ჩვენი აზრით, საესებით სამართლიანი დახასიათება, აიხსნება იმით, რომ ამ თარგმანს, სხვებთან შედარებით, უფრო მეტი ემოციონალური სიმწვავე გააჩნია. მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი პეტრენკოს თარგმანიდან. ამ ავტორმა „დიდათა და წვრილთა“ გადაიტანა პირდაპირ — «*нильшим и малым*» და ამით დიდ ემოციონალურ დატვირთვას მიაღწია, ვინაიდან „დიდის“ და „პატარას“ დაპირისპირებას როგორც ასეთს აქვს დიდი ემოციონალური შინაარსი², მაშინ როდესაც სხვა ავტორებს რუსთაველის ეს სიტყვები გაშლილი, დაკონკრეტებული სახით აქვთ გადმოტანილი («*С знатью как и с бедняками*») — Ш. Нуцубидзе, «*Вельмож и нищих*» — Г. Цагарели, «*Для рабов и для господ*» — М. Заболоцкий). ამით ღარიბდება რუსთაველის ამაღლებული განზოგადება. რუსთაველის ეს შესანიშნავი დაპირისპირება ასეთნაირად, პირდაპირ თარგმნილი, როგორც ვთქვით, თითქმის ემოციური გაჯერებულობით განიცდება რუსულადაც (ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საუბარი გვაქვს რუსული ენის მცოდნე ქართველებზე).

² „დიდის“ და „პატარას“ ემოციონალურ სიმძაღრზე იხილეთ დ. რამიშვილის და ლ. გერსამიას წერილები კრებულში: «*Психология речи и некоторые вопросы психолингвистики*», Тб., 1979.

ასევე ემოციურად დატვირთულია პეტრენკოს მიერ პირველი აფორიზმის თარგმანიც: «Воды снова притекают, вытекая из морей!». აქ თითქოს შინა-არის სრული დამთხვევაა, მაგრამ ცაგარელის თარგმანისაგან განსხვავებით, «Щедрой будь! У океана есть прилив и есть отливы!», როგორც ერთმა ცდის-პირმა აღნიშნა (ოქმი № 12), ეს დამთხვევა პეტრენკოსთან არ უშლის ხელს შედარების ემოციურობას.

ჩვენი აზრით, აქ ნათლად ჩანს ფორმის სპეციფიკობის ხელშეასახები განცდა, რომელიც გამომდინარეობს თვითონ შინაარსის განცდიდან.

ეს დებულება შეიძლება განიმარტოს კიდევ ერთი მაგალითით. ჩვენს მიერ გამოყენებულ მასალებში არის შემდეგი სტროფი: „მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედგმს ალვა რგულია...“ ზოგ თარგმანში (ნუცუბიძე, ცაგარელი, ბალმონტი) სიტყვა „ალვა“ თარგმნილია როგორც «алоя». უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ქართულ, ასევე რუს ცდისპირებში „ალვას“ ასეთი თარგმანი ამ კონტექსტში გაკვირვებას, ამ სიტყვის უადგილობის განცდას და, ზოგ შემთხვევაში, აღშფოთებასაც კი იწვევდა. «алоя»-ს არაშესატყვისობას ყურადღება მიაქცია ცდის ორივე ნაწილში ცდისპირთა 40%-მა. რამ გამოიწვია ეს? ალვის სახე რუსთაველთან სიმბოლიურ ხასიათს ატარებს. იგი იხმარება როგორც ზნეობრივი კატეგორიის (მაგალითად, ჩვენს მიერ გამოყენებულ მასალაში), ასევე გარეგნული მშვენიერების დასახასიათებლად (მაგ., როდესაც ლაპარაკია აეთანდღლზე „პავსო ალვას, ედემის ხეს“ 74—1, ან სხვა ადვილას „ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ეფეხი პირ-გამეხებული, არცა მზე პევანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული“; 522,2).

„ეფეხისტყაოსნის“ იმ გამოცემებში, რომლებსაც ლექსიკონები აქვთ თანდართული, მაგალითად, 1957 წლის გამოცემის ლექსიკონში ვკითხულობთ „ალვის“ შემდეგ ახსნას: ალვა (1) ალვის ხე, იგი პოემაში ბიბლიური ედემის მცენარედ არის მიჩნეული. შეიძლება იგი ქართული სახელი იყოს „საროსი“ (სპ.) ანუ „კეობაროზისა“ (ბერძნ.) (2) სურნელოვანი ნივთიერება (მცენარეული წარმოშობისა); რომელიც საკმევლად, სასიამოვნო სუნის დასაყენებლად იხმარებოდა, მაგ., „ეყნოსა სუნი ალვისა, ქართაგან მონატაციისა“, 330,1 [1,343] იგივე ახსნა ეძლევა „ალვას“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენს მიერ გამოყენებულ საექსპერიმენტო მასალაში „ალვა“ მიუთითებს მაღალ ზნეობრივ კატეგორიაზე, კერძოდ, სიუხვეზე, ფართო გაგებით. ქართველი მკითხველისათვის ეს ხატი ემოციურად ძალიან დატვირთულია, ვინაიდან სწორედ აქ იგი ყოველივე ამაღლებულთან და ლამაზთან არის დაკავშირებული. „ალვას“ „алоя“-დ თარგმნა თითქოს შეურაცხყოფს ქართველ მკითხველს (და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნია, ქართული ენის არამცოდნე რუსებსაც), თუმცა სხვადასხვა მთარგმნელთან სხვადასხვა ხარისხით. მაგალითად, ცაგარელს ნახმარი აქვს „сень алоя“. ეს პირდაპირ სიცილს იწვევს ჩვენ ცდისპირებში, განსაკუთრებით რუსებში. ხოლო «Расцветь ты как алоя» ბალმონტთან განსაკუთრებით უხეშად და სატირიკულადაც კი უღერდა, როგორც ქართველებისათვის, ასევე რუსებისათვის. ერთმა რუსმა ცდისპირმა გვითხრა: «Мне бы не хотелось цвести как алоя» (ოქმი № 75). როგორც ჩანს, სწორედ ამ ხატმაც (алоя) ხელი შეუწყო ბალმონტის, ნუცუბიძის და, განსაკუთრებით, ცაგარელის თარგმანების დაბალ შეფასებას.

„ალვის“ რუსთაველისადმი, შედარებით, შესატყვისი თარგმანი მოცემული აქვს პეტრენკოს (дерево райское), და შეიძლება, ამახი ცხელი შეუწყო ამ თარგმანის მაღალშეფასებას. ხოლო რაც შეეხება მ. ზაბოლოცკის თარგმანს, რომელიც დადებითი შეფასებით ქართველ ცდისპირებთან მეორე ადგილზე გამოვიდა პეტრენკოს შემდეგ, მას „ალვას“ თარგმანი საერთოდ მოცემული არ აქვს.

საინტერესოა ის, რომ ცდისპირები პროტესტს აცხადებდნენ «алюа»-ს და არა «кипариса»-ის ან «дерево райское»-ს წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ცდისპირთა დიდმა უმრავლესობამ არც კი იცოდა რომ „ალვა“ «кипарисა»-ს ან «дерево райское»-ს ნიშნავს, იმიტომ რომ შეკითხვისას ისინი ამბობდნენ, რომ „ალვა“ რუსულად ითარგმნება როგორც «тополь» (მაგ. ოქმი №-4).

მასაღამე, ზოგი ცდისპირი ცნობიერად და ზოგი არაცნობიერად გრძნობდა, რომ ჩვენს მიერ გამოყენებულ ნაწყვეტში «алюа» არ არის „ალვა“-ს ეკვივალენტი. და ეს გრძნობა არ არის საფუძველს მოკლებული. აი სიტყვა «алюа»-ს რუსული განმარტება: «Алюа (греч. алоа)-1. Африканское дерево из семейства лилейных, в нашем климате комнатное, декоративное (бот.). 2. Высушенный горький сок этого растения применяемый в медицине» [4].

რუსულის მცოდნე ქართველებისათვის, ისევე როგორც რუსებისათვის სიტყვა «алюа»-ს მნიშვნელობა ამ სიტყვის გამოყენების პრაქტიკით არის განსაზღვრული. ზოგ ცდისპირში როგორც ვთქვით, ეს ცნობიერად და ზოგში კი არაცნობიერად აისახება. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ერთ-ერთი ქართველი ცდისპირის ჩვენება: «Алюа წარმომიღგენია სახლში ქოთანში და არა ედემის ხის სიმბოლოდ» (ოქმი №9). ამრიგად, არც ქართველებისათვის და არც რუსებისათვის რუსული სიტყვა «алюа» არ არის ქართული „ალვის“ ეკვივალენტი.

როგორ გამოიყურება რუსი ცდისპირების მონაცემები მიღებული რუსთაველის მასალზე ჩატარებული ცდების შედეგად? უპირველესად ყოვლისა თვალში გვეცემა ქართველების და რუსების რაოდენობრივი მონაცემების სიახლოვე. ხოლო თვისობრივი ანალიზის დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ ყველაზე კარგი თარგმანის არჩევანს. როგორც ვთქვით, რუსულის მცოდნე ქართველებმა ასეთად მიიჩნიეს პეტრენკოს თარგმანი. რუსებთან პეტრენკოს თარგმანმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა და მოწონების მხრივ პირველ ადგილზე ზაბოლოცკის თარგმანი გამოვიდა. ამის მიზეზი, რამოდენიმე ცდისპირმა თვითონ ახსნა მაგ.

«Хотела выбрать как самый лучший перевод Петренко, но «навоз» помешал» (ოქმი №-53). ხოლო ერთმა ცდისპირმა პირდაპირ იკითხა: «Почему «навоз?» (ოქმი №-88). ამაშია მიზეზი იმისა თუ რატომ იმატა რუსებთან პეტრენკოს თარგმანის უარყოფითმა დახასიათებამ. მაგრამ, ვიმეორებთ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა რუსმა ცდისპირმა უხეშად და უცნაურად ჩათვალა პეტრენკოს მიერ გამოყენებული შედარებები (розы—навоз, большим—малым) ამ თარგმანმა რუსებთან მაინც ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო ზაბოლოცკის შემდეგ, და მისი უხეში შედარებები ზოგ ცდისპირს ძალიან მოეწონა. აი ზოგიერთი რუსი ცდისპირის აზრი პეტრენკოს თარგმანზე: «Лучше всех перевод Петренко. Хороши сравнения... Все с хорошим намеком» (ოქმი №90). «Очень нравится Петренко. Я не знаю грузинского языка и не читала оригинала, но по-моему по духу он ближе всех» (ოქმი №-94) და სხვა ასეთი.

ზოგი რუსი ცდისპირი პეტრენკოს და ზაბოლოცკის თანაბრად მაღალ შეფასებას აძლევდა, უჭირდა მათ შორის საუკეთესოს არჩევა. საერთოდ კი, როგორც ვთქვით, ზაბოლოცკის თარგმანმა მიიღო ყველაზე მაღალი შეფასება ჩვენ რუს ცდისპირებთან, ხოლო ქართველებთან მან მეორე ადგილი დაიკავა პეტრენკოს შემდეგ. ამ ორი თარგმანის დადებითი შეფასება საერთოდ ორივე ჯგუფში, ყველა დანარჩენ თარგმანებთან შედარებით, მაღალი აღმოჩნდა, რაც სტატისტიკურმა დამუშავებამაც უჩვენა. ზაბოლოცკის თარგმანის კარგი დახასიათების დასაბუთებას ცდისპირები ცდილობდნენ ამ თარგმანში რითმისა და შინაარსის კარგი შეთანხმებით, კარგად გამოხატული მორალით და ამავე დროს თავისუფალი და მშვიდი ლექსის წყობით. უნდა აღინიშნოს, რომ ზაბოლოცკის თარგმანი საკმაოდ შორისაა სიტყვასიტყვითი თარგმანისაგან და შედარებით თავისუფალია.

როგორც ვხედავთ, ქართველების და რუსების შეფასებები თითქმის ერთხვევა ერთმანეთს. რაც შეეხება განსხვავებას, პეტრენკოსა და ზაბოლოცკის შეფასებებს შორის, აქ საქმე მხოლოდ ერთ სიტყვას ეხება. ამ ერთმა სიტყვამ გადაიყვანა პეტრენკოს თარგმანი რუსებთან მეორე ადგილზე. ლაპარაკია პეტრენკოს მიერ „навоз“-ის ხმარებაზე. ქართველი მკითხველი შეჩვეულია რუსთაველის სტროფს: „ვარდთა და ნეხეთა ვინათგან, მზე სწორად მოეფინების“, მასში „ნეხეთა“-ს არსებობას და ისე არ ეჩოთირება იგი.

რუსთაველს ნახშირი აქვს „ნეხეთა“, რაც მასთან ყოველივე მდაბიოს და ცუდს ნიშნავს და სწორედ ეს მრავლობითი ფორმა („ნეხეთა“), რომელიც თანამედროვე ქართულში არ იხმარება ქმნის გარკვეულ ემოციურ ტონს, იგი სულ სხვანაირად განიცდება ვიდრე „ნეხი“ ქართველების და „навоз“-ი რუსების მიერ. სწორედ ამან განაპირობა ზაბოლოცკის თარგმანის პრიორიტეტი რუსებთან და მის მიერ გამოყენებულმა „сурьян“-მა როგორც „ნეხეთა“-ს ეკვივალენტმა არ მოჭრა ყური, რუს ცდისპირებს.

რუსთაველის მასალაზე ჩატარებული ცდების შედეგების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები თამამად შეიძლება გადავიტანოთ იმ შედეგებზე, რომლებიც ბარათაშვილის „მერანია“-ს მასალაზე ჩატარებული ცდების შედეგად მივიღეთ, ვინაიდან აქ უფრო რელიეფურად გამოჩნდა გარკვეული კანონზომიერება, რომელიც უმთავრესად იმაში გამოიხატება, რომ აქ რუსულის მცოდნე ქართველები და რუსები უფრო ერთსულოვანნი იყვნენ როგორც დადებით, ასევე უარყოფით არჩევანში. კერძოდ, როგორც ქართველებმა, ასევე რუსებმა ყველაზე ცუდ თარგმანად დაასახელეს ევტუშენკოს თარგმანი, ხოლო ყველაზე მაღალი შეფასება ორივე ჯგუფში გაფრინდაშვილის თარგმანმა მიიღო.

რა დასკვნები შეიძლება გაკეთდეს? მხატვრული თარგმანის შემთხვევაში საქმე შეეხება ორიგინალის შინაარსის ისეთ გადატანას, რომელიც მოცემული შინაარსის საუკეთესო გამოვლინებას წარმოადგენს. ყოველი შინაარსი ყოველთვის ისწრაფვის მისთვის ადეკვატური მხატვრული ფორმისაკენ. ამისათვის სხვადასხვა ენებს სხვადასხვა შესაძლებლობები გააჩნიათ. სწორედ აქედან გამომდინარეობს განსვლა ორიგინალსა და თარგმანს შორის და ამ განსვლის აუცილებლობა ტექსტის მხატვრული შინაარსის შენარჩუნებისათვის, ვინაიდან მხატვრულ შინაარსს ანუ ფორმას ინარჩუნებენ არა იმდენად მნიშვნელობის ლოგიკური კომპონენტები, რამდენადაც, მრავალ შემთხვევაში, მოცემული მნიშვნელობის პერიფერიიდან წამოსული მომენტები.

ლიტერატურა

1. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ი. აბულაძის, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქტორობით, თბ., 1957.
2. დ. რაშიშვილი, მეტყველების განსხვავებულ სახეთა ფსიქოლოგიური ბუნებისათვის, თბ., 1963.
3. Актуальные проблемы теории художественного перевода, т. 2, 1967.
4. Толковый словарь русского языка. под ред. Д. Н. Ушакова, т. 1, М., 1935.
5. P. Newmark, Some Problems of Translation. Fremdsprachen, 1978, № 4.

Р. Г. ДЖВАРИШВИЛИ

К ПСИХОЛОГИЧЕСКОЙ ПРОБЛЕМЕ ХУДОЖЕСТВЕННОГО ПЕРЕВОДА

Резюме

В работе теоретически и экспериментально обосновывается необходимость учета контекста как имеющего определенную форму и играющего решающую роль в процессе перевода вообще и особенно в аспекте художественного.

Проведенные эксперименты доказали, в частности, что художественный перевод предусматривает такой перенос содержания оригинала, который является лучшим выявлением именно данного содержания и что содержание всегда стремится к адекватной художественной форме. При этом разные языки имеют разные возможности. Отсюда и расхождение между оригиналом и переводом и необходимость такого расхождения для сохранения художественного содержания текста, поскольку художественное содержание или форму сохраняют не столько логические компоненты значения, а во многих случаях моменты, идущие от периферии данного значения.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

ა ხ ა ლ ი თ ა რ მ მ ა ნ ე მ ბ ი

ივ. კანჭი

ზნეობის მიტაფიზიკის დაფუძნება

426

მაშასადამე, ყოველივე, რაც ემპირიულია, არა მარტო სრულიად გამოუსაღებარია ზნეობის პრინციპთან შესაბამებლად, როგორც მისი დანამატი, არამედ უაღრესად მცენებელიცაა თვით ზნეთა სიწმინდისათვის, რომელთა უპირობოდ კეთილი ნების საკუთრივი და ყოველივე ფასზე აღმატებული ღირებულებაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ქმედების პრინციპი თავისუფალია იმ შემთხვევით მიზეზთა ყოველივე ზეგავლენისაგან, რომელთაც მხოლოდ ცდა იძლევა. ზედმეტი სიფრთხილე არ მოგვივა, თუ ყოველთვის და ყველგან გვეხსომება ამ დაუდევრობით, ან, თუ გნებავთ, მდაბიო აზროვნებით გამოწვეული ხიფათი, რომელიც თავს იჩენს ამ პრინციპის ძიებისას ემპირიულ მამოძრავებელ მიზეზებსა და კანონებში; ვინაიდან აღმანიის დაქანცული გონება სიამოვნებით ისვენებს ამ სარეცელზე და, ტბილ ზმანებებში ვახვეული (რომლებიც მას აიძულებენ, იუნონას ნაცვლად ღრუბელს ჩაეკონოს), ზნეობას შეაპარებს სრულიად სხვადასხვა წარმოსახვის ნაწილებისაგან შეკოწიწებულ უმსგავსობას, რომელიც წააგავს ყველაფერს, რის დანახვასაც კი მასში მოვიწადინებთ, არ ჰგავს მხოლოდ სათნოებას (Tugend) იმის თვალში, ვისაც ერთხელ მაინც უხილავს იგი მისი ქეშმარიტი სახით*.

ამგვარად, კითხვა ასე დგას: ყ ე ვ ლ ა გ ო ნ ი ე რ ი ა რ ს ე ბ ი ს ა თ ე ი ს აუცილებელი კანონია თუ არა ის, რომ თავიანთი ქმედებანი ყოველთვის იმ მაქსიმუმის მიხედვით შეაფასონ, რომელთა მიმართ თვითონ მათ შეუძლიათ ისურვონ, რომ ეს მაქსიმები საყოველთაო კანონებად იქცენ? თუ ეს ყველა გონიერი არსებისათვის აუცილებელი კანონია, მაშინ იგი, როგორც ასეთი, (სავსებით a priori) უნდა უკავშირდებოდეს საზოგადოდ გონიერი არსების ნების ცნებას. მაგრამ ამ კავშირის აღმოსაჩენად, რაც უნდა ძლიერ ვეწინააღმდეგებოდეთ ამას, აუცილებელია გადაიდგას ერთი ნაბიჯი ჩვენი სფეროს გარეთ, სახელდობრ, მეტაფიზიკისაკენ.—თუმცაღა მეტაფიზიკის იმ დარგისაკენ, რომელიც განსხვავდება სპეკულატური ფილოსოფიისაგან—სახელდობრ, ზნეობის მეტაფიზიკისაკენ. პრაქტიკულ ფილოსოფიაში, სადაც ჩვენი ძიების საგანია არა მიზეზები იმისა, რაც ხ დ ე ბ ა, არამედ—კანონები იმისა, რაც უ ნ დ ა მ ო ხ დ ე ს, თუნდაც ეს არასოდეს არ ხდებოდეს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ობიექტურ-პრაქტიკული კანონები, ჩვენ არ გვჭირდება, ხელი მივყოთ იმ მიზეზთა გამორკვევას, თუ რატომ მოგვწონს ან არ მოგვწონს რაიმე, რით განსხვავდება მარტოდენ შეგრძნებით

427

დასაწყისი იხ. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1980, № 1, 2.

* სათნოების მისი ქეშმარიტი სახით ხილვა სხვა არაფერია, თუ არ ზნეობის წარმოდგენა გრძნობადის ყოველივე მინარევისა და საზღაურის, ან თავისმოყვარეობის ყოველგვარი ყალბი სამკაულის გარეშე. თუ რაოდენი ძალით ჩრდილავს მაშინ იგი ყოველივე დანარჩენს, რაც მიდრეკილებებს მიზიდველად ეჩვენება, ამას ყოველი ჩვენგანი ადვილად მიხვდება გონების თუნდაც სულ მცირე დაძაბვითაც კი, თუკი ამ გონებას ჭერ კიდევ არ დაუპარავს ყოველივე აბსტრაქციის უნარი.

6. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1980, № 3

გმოწვეული სიამოვნება გემოვნებისაგან და განსხვავდება თუ არა ეს უკანასკნელი გონების საერთო კმაყოფილებისაგან; რას ემყარება სიამოვნებისა და უსიამოვნების გრძობა და როგორ წარმოსდგება აქედან სურვილები და მიღრეკილებები, ხოლო ამ უკანასკნელთაგან — გონების თანამონაწილეობით — მაქსიმები; რადგან ყოველივე ეს განეკუთვნება ემპირიულ მოძღვრებას სულის შესახებ, რაც ბუნების შესახებ მოძღვრების მეორე ნაწილი იქნებოდა, თუ მას, რამდენადაც იგი ემპირიულ კანონებს ემყარება, განვიხილავდით როგორც ბუნების ფილოსოფიას. აქ კი ლაპარაკია ობიექტურ-პრაქტიკულ კანონებზე, მაშასადამე, ნების მიმართებაზე საკუთარ თავთან, რამდენადაც მას (ნებას) მხოლოდ გონება განსაზღვრავს, ვინაიდან ყოველივე, რაც ემპირულს უკავშირდება, ამით თავისთავად უქმდება: საქმე ის არის, რომ, თუკი გონება მხოლოდ თავითონ განსაზღვრავს ქცევას (რისი შესაძლებლობის კვლევასაც ახლა ვაპირებთ), მან ეს აუცილებლად a priori უნდა მოახდინოს.

ნება მოიხრება, როგორც უნარი იმისა, რომ საკუთარი თავი სამოქმედოდ განსაზღვროს გარკვეულ კანონთა წარმოადგენის შესაბამისად. ასეთი უნარი მხოლოდ გონიერ არსებებში შეიძლება შეგვხვდეს. მაგრამ ის, რაც ნებას ემსახურება, როგორც მის მიერ თავისი თავის განსაზღვრის ობიექტური საფუძველი, მიზანია, და ეს უკანასკნელი, თუ იგი მარტოდენ გონების მიერ გვეძლევა, თანაბრად უნდა იყოს ძალაში ყველა გონიერი არსებისათვის. ხოლო იმას, რაც შეიცავს მხოლოდ იმ ქმედების შესაძლებლობის საფუძველს, რომლის შედეგსაც წარმოადგენს მიზანი, საშუალება (Mittel) ეწოდება. ნდომის (Begehren) სუბიექტური ძირი მამოძრავებელი მიზანია, ნებების ობიექტური ძირი კი — აღმძვრელი საფუძველი; აქედან — განსხვავება, ერთი მხრივ, მამოძრავებელი ზამბარებით გაპირობებულ სუბიექტურ მიზნებსა და, მეორე მხრივ, ობიექტურ, აღმძვრელ საფუძველებზე დამყარებულ მიზნებს შორის, რომლებიც ძალაშია ყოველი გონიერი არსებისათვის. პრაქტიკული პრინციპები ფორმალურია, თუ ისინი განყენებული არიან ყველა სუბიექტური მიზნისაგან; ეს პრინციპები მატერიალურია, თუ მათ საფუძველად უდევს სუბიექტური მიზნები და ამით, — გარკვეული მამოძრავებელი ზამბარებიც. ყველა მიზანი, რომლებსაც გონიერი არსება ნებისმიერად ისახავს, როგორც თავისი ქმედების შედეგებს (მატერიალური მიზნები), ოდენ რელატიურია; რადგან მხოლოდ და მხოლოდ მათი შეფარდება სუბიექტის თავისებურ ნდომის უნართან ანიჭებს მათ ღირებულებას, რომელიც, აქედან გამომდინარე, ვეღარ მოგვეცემს ზოგად, ყველა გონიერი არსებისათვის და, აგრეთვე, ყოველი ნებებისათვის ძალაში მყოფსა და აუცილებელ პრინციპებს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრაქტიკულ კანონებს. ამიტომაც, ყველა ეს რელატიური მიზანი მხოლოდ პიპოთეტური იმპერატივების საფუძველს წარმოადგენს.

მაგრამ, თუ დავუშვებთ, რომ არსებობს რაღაც ისეთი, რის არსებობაც თავისთავად აბსოლუტური ღირებულების მქონეა, რაც, როგორც მიზანი თავისთავად, შეიძლება გარკვეულ კანონთა საფუძველი იყოს, მაშინ მასში და მხოლოდ მასში გვექნება შესაძლო კატეგორიული იმპერატივის, — სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრაქტიკული კანონის, — საფუძველი.

ახლა კი ვიტყვი: ადამიანი და, საზოგადოდ, ყოველი გონიერი არსება არსებობს (existiert) როგორც მიზანი თავისთავად, არამხოლოდ რა-

გორც საშუალება, რომელიც ამა თუ იმ ნებათ თავისი სურვილისამებრ შეიძლება გამოიყენოს, არამედ იგი ყველა მის ქმედებაში, — როგორც თავის თავზე, ისე სხვა გონიერ არსებებზე მიმართულში, — ყოველთვის უნდა განიხილებოდეს, ა გ რ ე თ ვ ე, რ ო გ ო რ ც მ ი ზ ა ნ ი. მიდრეკილებათა ყველა საგანს მხოლოდ შეპირობებული ღირებულება აქვს; რადგან რომ არ არსებულყო მიდრეკილებები და მათზე დამყარებული მოთხოვნილებები, არც მიდრეკილებათა საგანს ექნებოდა რაიმე ღირებულება. მიდრეკილებები კი, როგორც მოთხენილების წყაროები, იმდენად მოკლებულნი არიან აბსოლუტურ ღირებულებას, რომლის გამოც შესაძლებელი იქნებოდა ისინი გვესურვა, რომ ყველა გონიერ არსებათა საერთო სურვილი, პირიქით, უფრო ამ მიდრეკილებების საგან სრული თავისუფლება უნდა იყოს. მაშასადამე, ჩვენი ქმედების მეშვეობით მოსაპოვებელ ყველა საგანთა ღირებულება მუდამ შეპირობებულია. არსებებს, რომელთა არსებობაც ჩვენს ნებას კი არ ემყარება, არამედ — ბუნებას, მიუხედავად ამისა — თუკი ისინი არაგონიერი არსებები არიან, — მაინც აქვთ ოდენ რელატიური ღირებულება, ვითარცა საშუალებებს, და ამიტომ ნ ი ე თ ე ბ ი (Sachen) ეწოდებათ. გონიერ არსებებს, პირიქით, პ ი რ ო ვ ნ ე ბ ე ბ ს (Personen) ეწოდებათ, ვინაიდან მათი ბუნებავე გამოყოფს მათ დანარჩენთაგან, როგორც მიზნებს თავისთავად, ე. ი. როგორც ისეთ რასმე, რაც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მარტოდენ საშუალებად, და ამით ყოველივე თვითნებობას ზღუდავს (და პატივისცემის საგანს წარმოადგენს). ამგვარად, ეს მიზნები არა მარტო სუბიექტურია მიზნებია, რომელთა არსებობაც როგორც ჩვენი ქმედების შედეგი, ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს ა ა ღირებული, არამედ ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ი ზ ნ ე ბ ი ა; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისეთი რამ არის, რისი არსებობაც თავისთავად მიზანია, თანაც ისეთი მიზანი, რომლის ადგილასაც ვერ დაეყენებდით ვერავითარ სხვა მიზანს, რომელსაც ეს პირველი მხოლოდ საშუალებად გამოადვებოდა, ვინაიდან ამგვარი მიზნის გარეშე ვერ ვპოვებდით აბსოლუტური ღირებულებების მქონე რასმე; მაგრამ თუ ყოველივე ღირებულება შეპირობებული და, ამდენად, შემთხვევითი იქნებოდა, მაშინ შეუძლებელი გადებოდა გონებისათვის რაიმე უმაღლესი პრაქტიკული პრინციპის პოვნა.

ასე და ამრიგად, თუ არსებობს უმაღლესი პრაქტიკული პრინციპი და კატეგორიული იმპერატივი ადამიანური ნებისათვის, იგი ისეთი უნდა იყოს, რომელიც, — გამოდის რა იმის წარმოდგენიდან, რაც აუცილებლად მიზანია ყოველი ადამიანისათვის, რადგან იგი მ ი ზ ა ნ ი ა თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ, — შეადგენს ნების ო ბ ი ე ქ ტ უ რ პრინციპს, და, ამგვარად, შეუძლია გამოდგეს საყოველთაო პრაქტიკულ კანონად. ამ პრინციპის საფუძველი შემდეგია: გ ო ნ ი ე რ ი ბ უ ნ ე ბ ა ა რ ს ე ბ ო ბ ს რ ო გ ო რ ც მ ი ზ ა ნ ი თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ. ადამიანს აუცილებლად ასე წარმოუდგენია საკუთარი არსებობა; ამდენად, ეს ადამიანის ქმედებათა სუბიექტური პრინციპია. მაგრამ ასევე წარმოუდგენია თავისი არსებობა ყოველ სხვა გონიერ არსებასაც სწორედ იმავე გონებისმიერ მოსაზრებათა საფუძველზე, რომლებიც ძალაშია ჩემთვისაც*; მაშასადამე, ეს პრინციპი, ამასთანავე, ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი პრინციპიცაა, საიდანაც, როგორც უმაღლესი პრაქტიკული საფუძვლიდან, შესაძლებე-

* ამ დებულებას აქ ვაყენებ, როგორც პოსტულატს. მის საფუძველს ბოლო მონაკვეთში ნახათ.

ლი უნდა იყოს ნების ყველა კანონის გამოყვანა. ამრიგად, პრაქტიკული იმპერატივი შემდეგი იქნება: მოიქეცი ისე, რომ ადამიანობა (Menschheit), როგორც შენი, ისე ყოველი სხვა პიროვნების სახით, შენთვის მუდამ ქამს იყოს მიზანიც და არასოდეს — მხოლოდ საშუალება. ვნახით, შესაძლებელია თუ არა ამის განხორციელება.

ზემოთ განხილულ მაგალითებს რომ დაეუბრუნდეთ, შემდეგს დავინახეთ:

პი რ ვ ე ლ ი: საკუთარი თავის მიმართ აუცილებელი მოვალეობის ცნებიდან გამომდინარე, ის, ვინც თვითმკვლელობას განიზრახავს, თავის თავს ეკითხება: უთავსდება თუ არა მისი ქმედება, ადამიანობის, როგორც თავის თავადი მიზნის, იდეას. თუ იგი, მძიმე მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, საკუთარ თავს სპობს, მაშინ იგი ერთ-ერთ პიროვნებას (თავის თავს) იყენებს მხოლოდ როგორც საშუალებას, რათა შეინარჩუნოს ასატანი მდგომარეობა სიცოცხლის ბოლომდე. მაგრამ ადამიანი არ არის ნივთი, ე. ი. არ არის ისეთი რამ, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მხოლოდ საშუალება, არამედ იგი, თავის ყველა ქმედებაში, ყოველ დროს, განხილულ უნდა იქნეს, როგორც მიზანი თავისთავად. მაშასადამე, არ შემიძლია ადამიანს, ჩემი თავის სახით, მოვექეცი ისე, როგორც მომესურება — დავასახირო, წავახდინო, ან მოვკლა. (მე აქ გვერდს ავუვლი ამ პრინციპის უფრო დეტალურ განსაზღვრას, რათა თავიდან ავიცილო ყოველგვარი გაუგებრობა, მაგალითად, გვერდს ავუვლი სხეულის ასოთა მოკვეთას თავის გადასარჩენად, საფრთხეს, რომელშიც თავს ვიგდებ სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით და სხვა; ეს განსაზღვრა საკუთრივ მორალის სფეროს ეკუთვნის).

მ ე ო რ ე: რაც შეეხება აუცილებელ, ანუ სავალდებულო, მოვალეობას სხვათა მიმართ, ის, ვისაც განზრახული აქვს, ყალბი პირობა მისცეს სხვებს, უმაღვე დაინახავს, რომ მას ჰსურს მეორე ადამიანი გამოიყენოს ოდენ საშუალებად, იმგვარად, რომ ეს უკანასკნელი არ იქნება, ამავე დროს, თავის თავში მიზნის შემცველი. რადგან ის, ვისი გამოყენებაც განვიზრახე ასეთი დაპირების შეწყობით, ვერ დაეთანხმება ჩემს მოპყრობას მის მიმართ და, მაშასადამე, შეუძლებელია თვითონ შეიცავდეს თავის თავში ამგვარი ქმედების მიზანს. ეს შეუთანხმებლობა სხვა ადამიანთა პრინციპთან კიდევ უფრო გვეცემა თვალში, თუ დავიმოწმებთ სხვათა თავისუფლებისა და საკუთრების ხელყოფის მაგალითებს. რადგან აქ ნათლად მოჩანს, რომ ადამიანთა უფლებების შემლახველს განზრახული აქვს სხვათა პიროვნების გამოყენება მარტოოდენ საშუალებად, არ ითვალისწინებს რა, რომ ისინი, როგორც გონიერი არსებები, მუდამ შეფასებულ უნდა იქნენ, აგრეთვე, როგორც მიზნები, ე. ი. მხოლოდ როგორც ისეთი არსებები, რომლებიც თავიანთ თავშიაც უნდა შეიცავდნენ სწორედ ამავე ქმედების მიზანს*.

* ნუ ეფიქრებთ, თითქოს აქ ტრივიალური: quod tibi non vis fieri etc! გზის მაჩვენებლად ან პრინციპად გამოდგებოდეს, ვინაიდან იგი მხოლოდ გამოყვანილია, თუმცა კი სხვადასხვაგვარი შეზღუდვებით, ამ პრინციპიდან; იგი ვერ იქნება საყოველთაო კანონი, რადგან არ შეიძლება საკუთარი თავის მიმართ მოვალეობათა საფუძველს და არც სხვათა მიმართ სიყვარულის მოვალეობათა საფუძველს (რამეთუ ზოგიერთი სამოცნებოთ დათანხმდებოდა, მის მიმართ სხვებს არ გამოეჩინათ სიკეთე, ოღონდაც თვითონ მას თავიდან აეცილინა მათთვის სიკეთის ქმნა), და, დასასრულ — არც სავალდებულო მოვალეობებს ერთმანეთის მიმართ; მართლაცადა, ბოროტმოქმედი ხომ ამ საფუძველზე მოქმენიდა საბუთებს დამსჯელ მსაჯულთა წინააღმდეგ და ა. შ.

მესამე: რაც შეეხება საკუთარი თავის მიმართ შემთხვევითს (პატივსაცემად) მოვალეობას, საკმარისი როდია, ქმედება არ ეწინააღმდეგებოდეს ადამიანობას. ჩვენი პიროვნების სახით, ვითარცა მიზანს თავისთავად, არამედ იგი მას უნდა ეთანხმებოდეს კიდევ. ადამიანს აქვს მონაცემები უფრო დიდი სრულქმნილებისა, რომლებიც განეკუთვნებიან ბუნების მიზნებს ჩვენს სუბიექტში წარმოდგენილი ადამიანობის მიმართ; მათი უგულებელყოფა, შესაძლებელია, შეთავსებადიც იყოს ადამიანობის, როგორც თავისთავადი მიზნის, შენარჩუნებასთან, მაგრამ შეუთავსებელია ამ მიზნისათვის ხელის შეწყობასთან.

მეოთხე: რაც შეეხება პატივსაცემ მოვალეობას სხვათა მიმართ, ბუნებისმიერი მიზანი, რომელიც ყველა ადამიანს მოეპოვება, მათს საკუთარ ბედნიერებაში მდგომარეობს. ადამიანობა, რასაკვირველია, იარსებებდა მაშინაც, არავისაც რომ არ შეემატებინა რაიმე სხვათა ბედნიერებისათვის, მაგრამ, ამავე დროს, არც რაიმე დაეკლო მისთვის წინასწარი განზრახვით; მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ნეგატიური და არა პოზიტიური თანხმობაა ადამიანობასთან, როგორც მიზანთან თავისთავად, თუკი ყოველი ჩვენგანი არ ცდილობს შეძლებისდაგვარად ხელი შეაშველოს სხვათა მიზნებს. რადგან თუ გვინდა, ამ წარმოდგენამ სრულად მოახდინოს თავისი შემოქმედება ჩემზე, მაშინ იმ სუბიექტის მიზნები, რომელიც მიზანია თავისთავად, რამდენადაც შესაძლებელია, ჩემი მიზნებიც უნდა იყოს.

ეს პრინციპი — რომ ადამიანობა და ყოველი გონიერი ბუნება საერთოდ მიზანია თავისთავად (რაც ყოველი ადამიანის ქმედებათა თავისუფლების უმაღლესი შემზღვეველი პირობაა)—ცდიდან არ არის მიღებული: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იგი საყოველთაოა, რამდენადაც იგი ეხება ყველა გონიერ არსებას საერთოდ, ხოლო იმისათვის, რომ ყველა მათ მიმართ რაღაც განსაზღვროს, ვერავითარი ცდა ვერ იკმარებს; მეორეც, იმიტომ, რომ მისში ადამიანობა წარმოდგენილია არა როგორც ადამიანთა მიზანი (სუბიექტურად), ანუ ისეთი საგანი, რომელსაც მართლა თავისთავად იხდიან მიზნად, არამედ — როგორც ობიექტური მიზანი, რომელსაც, ვითარცა კანონს, რავინდარა მიზნებიც არ უნდა გვექონდეს ჩვენ, მართებს იყოს ყველა სუბიექტური მიზნის უმაღლესი შემზღვეველი პირობა; მაშასადამე, იგი წმინდა გონებიდან უნდა აღებდეს სათავეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველი პრაქტიკული კანონმდებლობის საფუძველი ობიექტურად ძვეს საყოველთაობის წესსა და ფორმაში, რაც მას (პირველი პრინციპის მიხედვით) ანიჭებს ძალას, იყოს კანონი, — ყოველ შემთხვევაში, ბუნების კანონი, — ხოლო სუბიექტურად — მიზანში; მაგრამ ყველა მიზნის სუბიექტი ხომ ყოველი გონიერი არსებაა, როგორც მიზანი თავისთავად (მეორე პრინციპის თანახმად): აქედან კი გამომდინარეობს ნების მესამე პრაქტიკული პრინციპი, როგორც საყოველთაო პრაქტიკულ გონებასთან მისი თანხმობის უმაღლესი პირობა, — ყოველი გონიერი არსების ნების, როგორც საყოველთაოდ კანონმდებელი ნების, იდეა.

ამ პრინციპის თანახმად, უარიყოფა ყველა მაქსიმა, რომელიც ვერ თავსდება ნების საკუთარ საყოველთაო კანონმდებლობასთან. მაშასადამე, ნება უბრალოდ კი არ დაემორჩილება კანონს, არამედ დაემორჩილება იმგვარად, რომ იგი განიხილებოდეს, აგრეთვე, როგორც თვითკანონმდებელია,



უპირველეს ყოვლისა, ამიტომვე, კანონს დაქვემდებარებული (რომლის შექმნელადაც მას შეუძლია თავისი თავი ჩათვალოს).

მართალია, ეს იმპერატივები, როგორც ისინი ზემოთ წარმოვადგინეთ, — სახელდობრ, წარმოვადგინეთ ქმედებათა ბუნების წესრიგისებრი საყოველთაო კანონშესატყვისობის, ან გონიერი არსებების, როგორც თავისთავადი მიზნების, საყოველთაო უპირატესობის თვალსაზრისით, — გამორიცხავდნენ თავიანთი მბრძანებლური ძალის განსაზღვრაში ყოველივე ინტერესის, ვითარცა მამოძრავებელი ზამპარის, მონაწილეობას და გამორიცხავდნენ მას სწორედ იმიტომ, რომ ეს იმპერატივები წარმოადგენალი იყო როგორც კატეგორიული; მაგრამ ჩვენ მათი კატეგორიულობა მხოლოდ დაფუძვით, რადგან მისი დაუშვებლობა არ შეგვეძლო, თუკი მოვალეობის ცნების ახსნა გვინდოდა. ხოლო იმის დამტკიცება, რომ არსებობს პრაქტიკული დებულებები, რომლებიც კატეგორიულად ბრძანებენ, თავისთავად ვერ მოხერხდა, ისევე, როგორც ამის დამტკიცება საერთოდ შეუძლებელია აქ, ამ მონაკვეთში; მაგრამ ერთი რამ კი მაინც შეიძლება მოხერხდეს: იმის ჩვენება, რომ უარის თქმა ყოველგვარ ინტერესზე, მოვალეობის კარნახით გამოწვეული ნებების შემთხვევაში, როგორც ჰიპოთეტურისაგან კატეგორიული იმპერატივის სპეციფიკურად განმასხვავებელი ნიშანი, შეიძლება მინიშნებული ყოფილიყო თვით იმპერატივში, მასში შემავალი რომელიმე განსაზღვრის მეშვეობით, და ამას აქვს კიდევაც ადგილი პრინციპის აქ მოცემულ მესამე ფორმულაში, სახელდობრ, ყოველი გონიერი არსების ნების, როგორც საყოველთაოდ კანონმდებელი ნების, იდეაში.

432

მართლაც, თუ ამგვარ ნებას მოვიაზრებთ, მაშინ, თუმცა კანონებს დაქვემდებარებული ნება შესაძლოა ამ კანონთან ჯერ კიდევ ამა თუ იმ ინტერესის მეშვეობით იყოს დაკავშირებული, მაგრამ ნება, რომელიც თვითონ არის უმაღლესი კანონმდებელი, სწორედ ამ მიზეზის გამო, ვერ იქნება დამოკიდებული ამა თუ იმ ინტერესზე; რადგან ამგვარ დამოკიდებულ ნებას თავად დასჭირდებოდა კიდევ სხვა კანონი, რომელიც მასში თავისმოყვარეობისეულ ინტერესს შეზღუდავდა იმ პირობის მეშვეობით, რომ იგი საყოველთაო კანონად გამოსადეგი ყოფილიყო.

ამგვარად, ყოველივე ადამიანური ნების, როგორც ყველათავისი მაქსიმიის მეშვეობით საყოველთაოდ კანონმდებელი ნების, პრინციპი*, თუკი ამ პრინციპს სულაც სისწორე გააჩნია, საეხებით შესაფერისი იქნებოდა კატეგორიული იმპერატივისა იმით, რომ იგი, სწორედ საყოველთაო კანონმდებლობის იდეის გამო, არ ემყარება არავითარ ინტერესს და, მაშასადამე, ყველა შესაძლო იმპერატივებს შორის მარტოოდენ მას შეუძლია იყოს უპირობო (unbedingt); ან, კიდევ უკეთ რომ ვთქვათ ამ დებულების შებრუნებით: თუკი არსებობს კატეგორიული იმპერატივი (ე. ი. კანონი გონიერი არსების ყოველი ნებისათვის), მას მხოლოდ ის შეუძლია გვიბრძანოს, რომ ყოველივე ექმნათ საკუთარი ნების, როგორც ისეთის, მაქსიმიდან ამოსვლით, რომელსაც შეიძლება საგნად ჰქონდეს, აგრეთვე, საკუთარი თავიც, როგორც საყოველთაოდ კანონ-

* აქ შემოძლია თავი ავარიდო ამ პრინციპის ამხსნელი მავალითების მოყვანას, რადგან ამ მიზანს შეიძლება გამოადგეს ყველა ის მავალითი, რომლებითაც ზემოთ განვმარტეთ კატეგორიული იმპერატივი და მისი ფორმულა.

მდებელი; რადგან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება პრაქტიკული პრინციპი და ის იმპერატივი, რომელსაც ეს პრინციპი ემორჩილება, უპირობო, ვინაიდან მას არ შეიძლება საფუძვლად ედოს რაიმე ინტერესი.

თუ ახლა გადავხედავთ ღღემდე არსებულ ყველა იმ ცდას, რომლისთვისაც კი ოდესმე მიუძღირათ ზნეობის პრინციპის გამოსაძიებლად, ჩვენს ვაკვირვებას აღარ გამოიწვევს ის, თუ რატომ ასცდა მიზანს უკლებლო ყველა ეს ცდა. ხედავდნენ, რომ ადამიანი თავისი მოვალეობის მიერ კანონზეა მივაჭებული, მაგრამ აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ იგი ემორჩილება მხოლოდ თავის საკუთარსა და მაინც საყოველთაო კანონმდებლობას, და რომ იგი მხოლოდ ვალდებულია იმოქმედოს საკუთარი ნების შესაბამისად, რომელიც, ბუნების მიზნის მიხედვით, საყოველთაოდ კანონმდებელი ნებაა. მართლაც, თუ იგი (ეს ნება) წარმოედგინათ, როგორც მარტოოდენ კანონს (სულერთია რომელს) დაქვემდებარებული, მაშინ კანონს თან უნდა ზღვებოდა რაღაც ინტერესი, როგორც სტიმული, ან მაიძულებელი, ვინაიდან იგი, როგორც კანონი, არ აღმოცენებულა მისი (ადამიანის) ნებიდან, არამედ ამ ნებას რაღაც სხვა აიძულებდა, ამა თუ იმ სახით ემოქმედა კანონის შესაბამისად. მაგრამ ეს სრულიად აუცილებელი დასკვნა წყალში ყრის მთელ იმ შრომას, რაც გაწეულ იქნა მოვალეობის უმაღლესი საფუძვლის მოსაძებნად. რადგან ამის შედეგად პოულობდნენ არა მოვალეობას, არამედ — მოქმედების აუცილებლობას, გარკვეული ინტერესიდან გამომდინარე. ეს უკანაყნელი შეიძლება საკუთარი ან სხვისი ინტერესი ყოფილიყო. მაგრამ მაშინ იმპერატივი ყოველთვის შეპირობებული აღმოჩნდებოდა და სრულიად ვერ გამოდგებოდა ნორალურ მცნებად. ამგვარად, მე მსურს, ამ ჩვენს მიერ დახასიათებულ პრინციპს ნების ავტონომიის პრინციპი ვუწოდო, წინააღმდეგ ყოველი სხვა პრინციპისა, რომელსაც მე ამის გამო ჰეტერონომიას მივაკუთვნებ.

ყოველი გონიერი არსების ცნებას — არსებისა, რომელიც არ შეიძლება თავის თავს არ განიხილავდეს, როგორც თავისი ნების ყველა მაქსიმის მეშვეობით საყოველთაოდ კანონმდებელს, რათა ამ თვალსაზრისიდან ამოსვლით შეათვასოს საკუთარი თავი და თავისი ქმედებანი — მიეყვარათ სხვა, მასთან დაკავშირებულ და მეტად ნაყოფიერ ცნებასთან, სახელდობრ, მიზანთა სამეფოს (Reich der Zwecke) ცნებასთან.

მაგრამ სამეფო (Reich) მე მესმის, როგორც სხვადასხვა გონიერ არსებათა სისტემატური დაკავშირება საერთო კანონების მეშვეობით. ხოლო ვინაიდან კანონები მიზნებს მათი საყოველთაო მნიშვნელობის მიხედვით განსაზღვრავენ, ამიტომ, თუ მოვახდენთ განყენებას გონიერ არსებათა პირადი ურთიერთგანსხვავებულობისაგან და, აგრეთვე, მათი კერძო მიზნების ყოველივე შინაარსისაგან, მაშინ ყველა მიზანთა მთლიანობა (როგორც გონიერი არსებებისა, ვითარცა მიზნებისა თავისთავად, ისე ყოველი მათგანის მიერ დასახული კერძო მიზნებისა) შეიძლება მოვიზროთ როგორც სისტემატურ კავშირში მყოფი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც მიზანთა სამეფო, რომელიც შესაძლებელია ზემოხსენებული პრინციპების მიხედვით.

მართლაც, ყველა გონიერი არსება ექვემდებარება კანონს, რომლის თანახმადაც, ყოველი მათგანი თავის თავსა და ყველა დანარჩენს ყოველ ჯამს უნდა მოეპყრას, აგრეთვე, როგორც მიზანს თავისთავად და არასოდეს — როგორც მხოლოდ საშუალებას. ხოლო აქედან

იბადება გონიერ არსებათა სისტემატური კავშირი მათთვის საერთო ობიექტური კანონების მეშვეობით, ე. ი.—სამეფო, რომელსაც შეიძლება ეწოდოს მიზანთა სამეფო (რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ იდეალია), ვინაიდან ამ კანონებს მხედველობაში აქვს სწორედ ამ არსებათა, როგორც მიზნებისა და საშუალებების, მიმართება ერთმანეთთან.

მაგრამ გონიერი არსება მიზანთა სამეფოს წევრი (Glied) იქნება იმ შემთხვევაში, თუ იგი, თუმცაჲ მასში საყოველთაოდ კანონმდებელია, მაგრამ იმავედროულად თვითონ ექვემდებარება ამ კანონებს. იგი ამ სამეფოს ეკუთვნის, როგორც განმგებელი (Oberhaupt), თუ იგი, როგორც კანონმდებელი, არაა დაქვემდებარებული სხვისი ნებისადმი.

434

გონიერ არსებას, წევრი იქნება ის, თუ განმგებელი, მართებს ყოველდროს თავისი თავი განიხილოს კანონმდებლად ნების თავისუფლების წყალობით შესაძლებელ მიზანთა სამეფოში. მაგრამ ამ უკანასკნელის ადგილი მას შეუძლია დაიკვიდროს არა ოდენ თავისი ნების მაქსიმის მეშვეობით, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ იგი სრულიად დამოუკიდებელი არსებაა, რომელსაც არ გააჩნია მოთხოვნილება და რომლის უნარიც, მისი ნებისადმი ადეკვატური, არაფრით შეზღუდული არ არის.

მაშასადამე, მორალი მდგომარეობს ყოველი ქმედების მიმართებაში კანონმდებლობასთან, რომლის წყალობითაც (და მხოლოდ მისი წყალობით) შესაძლებელია მიზანთა სამეფო. მაგრამ ეს კანონმდებლობა თვით ყოველ გონიერ არსებაში უნდა გვხვდებოდეს და იგი უნდა გამომდინარეობდეს ამ არსების ნებიდან, რომლის პრინციპიც, მაშასადამე, ასეთია: ვიმოქმედოთ მხოლოდ და მხოლოდ ისეთი მაქსიმის მიხედვით, რომ მასთან (ამ მაქსიმასთან) შეთავსებადი იყოს ისიც, რომ იგი საყოველთაო კანონია. მაშასადამე, ვიმოქმედოთ მხოლოდ ისე, რომ ნებას შეეძლოს, თავისი მაქსიმის მეშვეობით, საკუთარ თავს განიხილავდეს აგრეთვე როგორც საყოველთაოდ კანონმდებელს. თუ მაქსიმები თავიანთი ბუნებითვე აუცილებლობით არ ეთანხმებიან გონიერ არსებათა, როგორც საყოველთაოდ კანონმდებელთა, ამ ობიექტურ პრინციპს, მაშინ ამ პრინციპის მიხედვით ქმედების აუცილებლობას დაერქმევა პრაქტიკული იძულება, ანუ მოვალეობა (Pflicht). მოვალეობა არ მოუღის მიზანთა სამეფოს განმგებელს, მაგრამ იგი მოუღის მის ყველა წევრს და ყველას—თანაბარი ზომით.

ამ პრინციპის მიხედვით ქმედების პრაქტიკული აუცილებლობა, ანუ მოვალეობა, სრულიადაც არ ემყარება გრძნობებს, ლტოლევებსა და მიდრეკილებებს, არამედ—მარტოოდენ გონიერ არსებათა ურთიერთდამოკიდებულებას, რომელშიც გონიერი არსების ნება მუდამ უნდა განიხილებოდეს, აგრეთვე, როგორც კანონმდებელი, ვინაიდან სხვაგვარად იგი ვერ შეძლებდა მოეზრებინა მოვალეობა, როგორც მიზანი თავის თავად. ამრიგად, ნების, როგორც საყოველთაოდ კანონმდებლის, ყოველი მაქსიმა გონებას მიმართებაში მოჰყავს ყოველ სხვა ნებასთან და, აგრეთვე, ყოველივე ქმედებასთან თავისი თავის მიმართ, და ამას იგი აკეთებს არა რომელიმე სხვა პრაქტიკული აღძვრელი საფუძვლის გამო, ან მომავალი სარგებლობის გათვალისწინებით, არამედ გონიერი არსების ღირსების (Würde) იდეიდან გამომდინარე, რომელიც (ეს გონიერი არსება) არ ემორჩილება სხვა რამ კანონს, თუ არა იმას, რომელსაც თვითონვე დაადგენს.

მიზანთა სამეფოში ყოველივეს აქვს ან ფასი (Preis), ან ღირსება (Würde). იმას, რასაც ფასი აქვს, შეიძლება რაღაც სხვა ჩაენაცვლოს ეჭვი-

ვალენტის სახით; ხოლო ის, რაც ყოველივე ფასს აღემატება, და, ამგვარად, ყოველივე ექვივალენტს გამოირჩევა, ღირსების მქონეა.

იმას, რაც საერთო ადამიანურ მიდრეკილებებსა და მოთხოვნებთანაა მიმართებაში, საბაზრო ფასი (Marktpreis) აქვს; სამოყვარულო ფასი (Affectionspreis) აქვს იმის, რაც წანამძღვრად არ გულისხმობს მოთხოვნის და ისე შეესაბამება გარკვეულ გემოვნებას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი სულიერი ძალების ოდენ უმიზნო თამაშით მისაღებ სიამოვნებას; ხოლო იმას, რაც წარმოადგენს პირობას, რომლის (და მხოლოდ მისი) მეშვეობითაც რაღაც შეიძლება იყოს მიზანი თავისთავად, აქვს არა წმინდა რელატიური ღირებულება, ე. ი. ფასი, არამედ—შინაგანი ღირებულება, ანუ ღირსება.

ამგვარად, მორალი არის ის პირობა, რომლის (და მხოლოდ მის) შემთხვევაშიაც გონიერ არსებას ძალუქს იყოს მიზანი თავისთავად; ვინაიდან მხოლოდ მისი მეშვეობით არის შესაძლებელი მიზანთა სამეფოს კანონმდებელი წევრობა. ამგვარად, მარტოოდენ ზნეობა და ადამიანობა, რამდენადაც ამ უკანასკნელს ზნეობის უნარი შესწევს, არის ის, რასაც ერთადერთს ღირსება გააჩნია. სიმარჯვესა და მუშაობაში სიბეჭითეს საბაზრო ფასი აქვს; გონებასახვილობას, ცხოველ ფანტაზიასა და გუნება-გახსნილობას — სამოყვარულო ფასი; ხოლო სიტყვის ერთგულებას, პრინციპებიდან (და არა ინსტინქტიდან) გამომდინარე კეთილმოსურნეობას — შინაგანი ღირებულება. ვერც ბუნებაში და ვერც ხელოვნებაში ვერ ვიპოვით ისეთ რასმე, რითაც ისინი შეცვლიან ამ უკანასკნელთ მათი უქონლობის შემთხვევაში; რადგან მათი ღირებულება მდგომარეობს არა იმ შედეგებში, რაც მათგან გამომდინარეობს, არა იმ მოგებასა და სარგებელში, რაც მათ მოაქვთ, არამედ — ზრახვებში, ე. ი. ნების მაქსიმუმში, რომლებიც მზად არიან ქმედებებში ამ სახით გამოვლინდნენ, თუნდაც ამ ზრახვებს წილად არ ჰხედეს არავითარი წარმატება. ამგვარი ქმედებანი არც საჭიროებენ რაიმე რეკომენდაციას ამა თუ იმ სუბიექტური განწყობილების ან გემოვნების მხრივ, არც რაიმე უშუალო სიმპათიას ან გრძნობას მათ მიმართ, რათა მათ უშუალო კეთილგანწყობითა და მოწონებით შევხედოთ: ისინი უშუალო ყურადღების საგნად დაგვისახავენ იმ ნებას რომელიც მათ ახორციელებს, და ამას არაფერი სჭირდება, გარდა გონებისა, რათა ამ უკანასკნელმა ეს ქმედებები ნებას მოსთხოვოს და არა ლიქნით დასტყუოს, რაც, გარდა ამისა, როცა საუბარი შოვალეობას ეხება, წინააღმდეგობაც იქნებოდა. ამგვარად, ეს შეფასება საშუალებას გვაძლევს, ასეთი წესით აზროვნების ღირებულება ღირსებად შევიცნოთ და ამ ღირსებას იგი ყოველივე ფასზე შეუდარებლად მაღლა აყენებს, რომლის (ფასის) ღირსებასთან გატოლება და შედარებაც სრულიად შეუძლებელია მისი (ღირსების) სიწმინდის ხელყოფის ვარაშე.

მაშ, რა უნდა იყოს ის, რაც ზნეობრივად კეთილ ზრახვას, ანუ სათნოებას, ესოდენ დიდი პრეტენზიების უფლებით მოსავეს? ესაა მონაწილეობა საყოველთაო კანონმდებლობაში, რის საშუალებასაც იგი

436

აძლევს გონიერ არსებას და ამით მას გამოსაღვეს ხდის მიზანთა შესაძლებელი სამეფოს წვერობისათვის, რისთვისაც იგი საკუთარი ბუნებითვე იყო მოწოდებული, ვითარცა მიზანი თავისთავად და, სწორედ ამდენად, ვითარცა კანონმდებელი მიზანთა სამეფოში, ბუნების ყველა კანონთაგან თავისუფალი და მხოლოდ იმ კანონთა მორჩილი, რომლებსაც თვითონვე დაადგენს და რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია მისი მაქსიმები საყოველთაო კანონმდებლობას (რომელსაც, ასევე, თვითონაც ემორჩილება) გკუთვნოდეს. რადგან არაფერს აქვს სხვა ღირებულება, თუ არა ის, რომელსაც მის კანონი უსაზღვრავს. ხოლო თავად კანონმდებლობას, რომელიც ყოველივე ღირებულების განმსაზღვრელია, შეუძლებელია, სწორედ ამის ძალით არ გააჩნდეს ღირსება, ანუ უპირობო, შეუღარებელი ღირებულება, და ერთადერთი სიტყვაა „აქტივისტი“ (Achtung) გამოხატავს შესაფერისად იმ დაფასებას, რასაც გონიერი არსება მას მიუზღავს. მაშასადამე, ადამიანური და ყოველი გონიერი ბუნების ღირსების საფუძველს ავტონომია წარმოადგენს.

ზნეობის პრინციპის წარმოდგენის ზემოთ მოყვანილი სამი სახე, არსებითად, მხოლოდ ერთი და იმავე კანონის ამდენივე ფორმულაა, რომელთაგან ყოველი ცალკეული თავისთავად მოიცავს ორ დანარჩენსაც. მაგრამ მათ შორის არის განსხვავებაც, თუმცა იგი სუბიექტური უფროა, ვიდრე ობიექტურ-პრაქტიკული, და მოწოდებულია, სახელდობრ, იმისათვის, რომ გონებისეული იდეა ჭერეტას (გარკვეული ანალოგიის მიხედვით) და ამის მეშვეობით — ვრძნობას მოუახლოვოს. ყველა მაქსიმას მოეპოვება, სახელდობრ:

1. ფორმა, რომელიც მდგომარეობს საყოველთაობაში; და მაშინ ზნეობრივი იმპერატივის ფორმულა ასე გამოიხატება: მაქსიმები ისე უნდა იქნეს შერჩეული, თითქოს მათ ბუნების საყოველთაო კანონების ძალა უნდა ჰქონდეთ;

2. მატერია, სახელდობრ, მიზანი; და მაშინ ფორმულა მიუთითებს, რომ გონიერი არსება, როგორც მიზანი თავისი ბუნების შესაბამისად, მაშასადამე, როგორც მიზანი თავისთავად, ყოველი მაქსიმისათვის უნდა იყოს ყველა ოდენრელატიური და ნებისმიერი მიზნის შემზღვეველი პირობა.

3. ყველა მაქსიმის სრული განსაზღვრა შემდეგი ფორმულის მეშვეობით: ყველა მაქსიმა საკუთარი კანონმდებლობიდან ამოსვლით უნდა ეთანხმებოდეს მიზანთა შესაძლებელ სამეფოს, ვითარცა ბუნების* სამეფოს. აქ წინსვლა ხდება ნების ფორმის ერთიანობის (Einheit) (ნების საყოველთაობის), მატერიის (ობიექტთა, ანუ მიზანთა) სიმრავლისა (Vielheit) და მათი სისტემის ყოველადობის (Allheit), ანუ ტოტალობის, კატეგორიების მეშვეობით. მაგრამ უმჯობესია, თუ ზნეობრივი შეფასების დროს მუდამ მაკრი მეთოდის მიხედვით ვიმოქმედებთ და საფუძველად ავიღებთ კატეგორიული იმპერატივის ზოგად ფორმულას: იმოქმედებ მაქსიმის მიხედვით, რომელსაც შეუძლია თავისი თავი ამასთანავე საყოველთაო კანონად აქციოს. ხოლო თუ

437

* ტელეოლოგია ბუნებას განიხილავს, როგორც მიზანთა სამეფოს, მორალი კი მიზანთა შესაძლებელ სამეფოს განიხილავს, როგორც ბუნების სამეფოს. იქ მიზანთა სამეფო თეორიული იდეაა იმის ასახსნელად, რაც არსებობს. აქ კი იგი პრაქტიკული იდეაა, რათა რეალიზებულ იქნეს ის, რაც არ არსებობს. მაგრამ რაც შეიძლება სინამდვილედ იქცეს ჩვენი მოქმედების შედეგად და სწორედ ამ იღერს შესაბამისად.

მოვისურვებთ ზნეობრივ კანონს, იმავდროულად, განხორციელების გზა მივცეთ, ძალზე სასარგებლო იქნება სწორედ ერთი და იგივე საქციელი განვიხილოთ ხსენებული სამი ცნების მიხედვით და ამის შემდეგ, რამდენადაც შესაძლებელია, იგი ჭკრეტას მოვეუახლოვით.

ახლა კი შევეძლია დავამთავროთ იმით, რითაც დაიწყეთ, სახელდობრ, უპირობოდ კეთილი ნების ცნებით. ის ნებაა უპირობოდ კეთილი, რომელიც ვერ იქნება ბოროტი, მაშასადამე, რომლის მაქსიმაც, თუ მას საყოველთაო კანონად ვაქცევთ, ვერასოდეს ვერ იქნება წინააღმდეგობაში საკუთარ თავთან. მაშასადამე, ეს პრინციპი მისი (ამ ნების) უმაღლესი კანონიკაა: იმოქმედე ყოველთვის იმ მაქსიმის მიხედვით, რომლის საყოველთაოდაც, როგორც კანონისა, შეგიძლია იმავდროულად ისტრევი; ეს არის ერთადერთი პირობა, რომლის შემთხვევაშიაც ნება ვერასოდეს ვერ იქნება წინააღმდეგობაში თავის თავთან, და ამგვარი იმპერატივი კატეგორიულია. ვინაიდან ნების, როგორც ყველა შესაძლო ქმედებისათვის საყოველთაო კანონის, მნიშვნელობა (Gültigkeit) ანალოგიურია საყოველთაო კანონების მიხედვით სავანთა არსებობის საყოველთაო დაკავშირებისა, რომელიც წარმოადგენს იმას, რაც ფორმალურია ბუნებაში საერთოდ, კატეგორიული იმპერატივი შეიძლება ასეც გამოიხატოს: იმოქმედე იმ მაქსიმების მიხედვით, რომელთაც შეუძლიათ იმავდროულად თავიანთი თავიც ჰქონდეთ საგნად, ვითარცა ბუნების საყოველთაო კანონები. ასეთია, ამგვარად, უპირობოდ კეთილი ნების ფორმულა.

გონიერი ბუნება იმით გამოირჩევა ყოველივე დანარჩენისაგან, რომ იგი თავს თავს თვითონვე უსახავს მიზანს. ეს მიზანი ყოველი კეთილი ნების მატერია იქნებოდა, მაგრამ, ვინაიდან შემზღვეველი პირობის (ამა თუ იმ მიზნის მიღწევა) არმქონე უცილობლად კეთილი ნების იდეაში უსათუოდ უნდა მოხდეს განყენება ყოველივე მისაღწევი (zu bewirkenden) მიზნისაგან (ანუ ისეთისაგან, რომელიც ყოველ ნებას მხოლოდ რელატიურად კეთილს გახდიდა), ამიტომ მიზანი აქ მოაზრებულ უნდა იქნეს არა როგორც მისაღწევი, არამედ როგორც თავის თავადი (selbstständiger); მაშასადამე, მოაზრებულ უნდა იქნეს მხოლოდ ნეკატიურად, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც ისეთი მიზანი, რომლის წინააღმდეგაც არასოდეს არ უნდა ვიმოქმედოთ, რომელიც, მაშასადამე, არასოდეს არ უნდა შეფასდეს მარტოდენ როგორც საშუალება, არამედ ყოველი ნებებისას მუდამ უნდა შეფასდეს, აგრეთვე, როგორც მიზანი. ეს მიზანი კი სხვა ვერაფერი იქნება, თუ არა თვით ყველა შესაძლო მიზნის სუბიექტი, ვინაიდან ეს უკანასკნელი, ამავე დროს, შესაძლო უპირობოდ კეთილი ნების სუბიექტია; რადგან მას ვერ დავაყენებთ ვერც ერთი სხვა საგნის უკან ისე, რომ წინააღმდეგობაში არ ჩავვარდეთ. ამგვარად, პრინციპი: „ყოველ გონიერ არსებას (შენ თავს და სხვებს) მოექცი იმგვარად, რომ მას შენს მაქსიმაში ჰქონდეს, ამავე დროს, თავისთავადი მიზნის მნიშვნელობა“, არსებითად, იგივეა, რაც პრინციპი: „მოიქციე ისეთი მაქსიმის მიხედვით, რომელიც, ამავე დროს, საკუთარ თავში შეიცავს თავისთავად საყოველთაო მნიშვნელობას (allgemeine Gültigkeit) ყოველი გონიერი არსებისათვის“. რადგან, თუ ყოველი მიზნის მისაღწეველ ამას თუ იმ საშუალების გამოყენებისას მე ჩემს მაქსიმას ვზღუდავ იმ პირობით, რომ მას საყოველთაოდ ძალა ჰქონდეს, ვითარცა კანონს ყოველი სუბიექტისათვის, ეს იგივეა, რაც ის პრინციპი, რომ მიზნების სუბიექტი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვით გონიერი არსება, ქმედებათა ყველა მაქსიმებს საფუძვლად უნდა დაედოს, რო-

გორც უმაღლესი შემზღუდველი პირობა ყველა საშუალებათა გამოყენებისას, მაშასადამე, მუდამ, აგრეთვე, როგორც მიზანი და არასოდეს—როგორც მხოლოდ საშუალება.

